ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

www.atb.ge
ახალი ამბები 24 საათის განმავლობაში
www.atb.ge

ოთხშაბათი, 13 აპრილი, 2011 №87 (5468) ფასი: 30 თეთრი

# სად წაიღო ხელისუფლებამ 500 მილიონი დოლარი

რა სარგებლობას მოგვიტანს ევრობონდები

გვ.3

2013 წელს გადასახდელი გვაქვს 1 მილიარდ 399 მილიონი ლარის ვალი, რაც თავის დროზე შევარდნა ემ კი არა, ამ ხელისუფლებამ დატოვა



## ხელისუფლებას გასაფუძებელი ჯერ კიდევ ბევრი აქვს

გვ.2

ოპოზიცია ერთმანეთს კი არა, სააკაშვილს უნდა დაუპირისპირდეს!





## ლევან გაჩეჩილაძე პარიზში „ცუდი ყოფაქცევისთვის“ დააკავეს

გვ.2



## დემოკრატიის შუქურის დაძახებით ეს ხელისუფლება გაირყვნა

გვ.5



## ხელისუფლება ვადამდელი არჩევნების დანიშვნას აპირებს?

გვ.4





გვ.6

## რუსეთი აფხაზეთში თურქული დიასპორის გაძლიერებას არ დაუშვებს



## პატიმართა სიკვდილის გამომწვევი მიზეზი წამებაა!

გვ.4



## ლეიბორისტები ვანო მერაბიშვილს პოლიციელთა მოსყიდვაში ედავებიან

გვ.3

## ნინო ბურჯანაძე ოქრუაშვილის განცხადებებს პასუხობს

გვ.2



3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

3 ადამიანის უფლებათა ცენტრი ლადო ვარძელაშვილს ანტისემიტიზმს სდებს ბრალად

5 საქართველოში ონკოლოგიური დაავადების დიაგნოზით ალრიცხვაზე 33 ათასი ადამიანია აყვანილი

3 საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევაზე შეზღუდვები არ არის

6 ცხინვალის რეგიონსა და რუსეთს შორის მიმოსვლა შეწყვეტილია

## ნინო ბურჯანაძე ოქრუაშვილის განცხადებებს პასუხობს



„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებებს არაკორექტულს უწოდებს და „ქართული პარტიის“ ლიდერებს განცხადების ერთმანეთთან შეთანხმებას ურჩევს.

როგორც „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, მას არ აიტერესებს, რას ამბობს მასზე ოქრუაშვილი.

— არაკორექტულობა, ზოგადად, აღარავისგან მიკვირს, მაგრამ ერთი პარტიის შიგნით მაინც თუ შეთანხმდებიან, ვინ რას ამბობს, კარგი იქნება, — აღნიშნა ბურჯანაძემ.

შეგახსენებთ, ირაკლი ოქრუაშვილმა „კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ვრცელ ინტერვიუში ნინო ბურჯანაძე „ინტრიგების ხლართვაში“ დაადანაშაულა. როგორც მან განაცხადა, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ქართულ პოლიტიკურ პროცესებს „თერჯოლის რაიკომის ჭრილიდან“ უყურებს.

**მედიანიუსი**

## ეკა ბესელია ზოგიერთი პარტიის ოქრუაშვილისეულ შეფასებას ეთანხმება



საზოგადოებრივი მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ხელმძღვანელი ეკა ბესელია ეთანხმება ირაკლი ოქრუაშვილის იმ განცხადებას, სადაც ოქრუაშვილი ზოგიერთ პოლიტიკურ პარიტიას „ნაფტალინდაყრილს“ უწოდებს.

ბესელიას თქმით, 2007 წლის ცნობილმა გამოსვლებმა ძალიან ბევრი მიძინებული პარტია გააცოცხლა და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოიყვანა.

— ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ 2007 წლის ცნობილმა გამოსვლებმა ძალიან ბევრი პოლიტიკური ძალა, რომელიც არავის ახსოვდა, პოლიტიკურ ასპარეზზე გამოიყვანა. ეს არის ფაქტი და რეალობა, — განაცხადა ბესელიამ, თუმცა ამ პოლიტიკური პარტიების დასახელებისგან თავი შეიკვა.

— ჩემგან ამ პოლიტიკური პარტიების დაკონკრეტება, ვინც მაშინ ნაფტალინში იყო, არ მგონია კორექტული იყოს. ვინც გაიხსენებს 2007 წელს , რამდენი პოლიტიკური პარტია იყო აქტიური და რამდენი პარტია ჩადგა შემდეგ პოლიტიკურ ასპარეზში, იოლად მიხვდება, ვის ეხება ეს განცხადება, — აღნიშნა ბესელიამ.

**მედიანიუსი**

## ლევან გაჩეჩილაძე პარიზში „ცუდი ყოფაქცევისთვის“ დააკავეს



„ქართული პარტიის“ ლიდერი, ლევან გაჩეჩილაძე პარიზის შარლ დე გოლის აეროპორტში „ცუდი ყოფაქცევისთვის“ დააკავეს. ტელეკომპანია „იმედის“ ინფორმაციით, ინციდენტი, რასაც დაკავება მოჰყვა, 8 აპრილს მოხდა, როდესაც ლევან გაჩეჩილაძე თანაპარტიელ ეროსი კიწმარიშვილთან ერთად „აირზენას“ თვითმფრინავით პარიზში მიემგზავრებოდა.

გავრცელებული ინფორმაციით, გაჩეჩილაძე თვითმფრინავის ბორტზე ნასვამ მდგომარეობაში ავიდა, მგზავრობის პერიოდში გამომწვევად იქცეოდა, სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა ბორტგამცილებლებსა და ხომალდის მეთაურს და ცემით ემუქრებოდა, რასაც არაერთი გაფრთხილების შემდეგ ოქმის გამოწერა და პარიზის შარლ დე გოლის აეროპორტში დაფრენისთანავე ოპოზიციონერი ლიდერის ადგილობრივი პოლიციისთვის გადაცემა მოჰყვა. ლევან გაჩეჩილაძე საფრანგეთის პოლიციამ, სავარაუდოდ, ჯარიმის გადახდის შემდეგ გაათავისუფლა.

ავიაკომპანია „აირზენა“ მომხდარს ოფიციალურად ადასტურებს. თავად ლევან გაჩეჩილაძეს კი, ინციდენტთან დაკავშირებით, კომენტარი ჯერჯერობით არ გაუკეთებია.

**ინტერპრესნიუსი**

# ხელისუფლებას გასაფუჭებელი ჯერ კიდევ ბევრი აქვს

### ოპოზიცია ერთმანეთს კი არა, სააკაშვილს უნდა დაუპირისპირდეს!

ნათია ხურცილავა

**ინტერვიუ კონსერვატიული პარტიის ლიდერ ზვიად ძიძიგურთან**

***— ბატონო ზვიად, რას იტყვით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშზე, რომელიც საკმაოდ კრიტიკულია. თუმცა, ხელისუფლება ამას არ იზიარებს...***

— როდესაც ოპოზიცია საუბრობს დარღვევებსა და დანაშაულებზე, რომელიც ქვეყანაშია, მაშინ ამბობენ, რომ ოპოზიცია გაბოროტებულია, ურეიტინგოა, შეურაცხადია და ამიტომ ამბობს ამ ყველაფერს. როდესაც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი თავის დოკუმენტში დაწერს, რომ ქვეყანაში მაღალი დონის კორუფციაა, მედია თავისუფალი არ არის, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები დაცული არ არის, პატიმრები ნაწამებნი არიან, დევნილების უფლებები დარღვეულია, ამ ყველაფერზე საუბარია ამ დოკუმენტში, მეტი რა უნდა დაწეროს დიპლომატიურმა ორგანომ. რა თქმა უნდა, სახელმწიფო დეპარტამენტისგან ეს იყო ძალიან მკაცრი შეფასება. შევარდნაძის მმართველობის ბოლო პერიოდშიც კი არ მახსოვს ასეთი მკაცრი შეფასება ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან მაშინდელი დარღვევების შესახებ. ეს ძალიან სიმპტომატურია.

***— რა მესიჯია სახელმწიფო დეპარტამენტისგან?***

— ამერიკის შეერთებული შტატები უკვე თითს უქნევს მიხეილ სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას.

***— რამდენად იქნება მნიშვნელოვანი ხელისუფლებისთვის ამერიკის ეს შენიშვნა?***

— სააკაშვილმა ყველაზე კარგად იცის, რომ ასეთი ტიპის მესიჯები უმნიშვნელოვანესია. დღეს რვა პარტია ქუთაისში მოლაპარაკებებს გამართავს, რომელსაც ამერიკის საელჩოს წარმომადგენლობა მიჰყვება, ასევე ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციების პრაქტიკულად მთელი წარმომადგენლობა, დიპლომატიური კორპუსის მხრიდან დიდი დაინტერესებაა ამ პროცესის მიმართ, „რვიანის“ საქმიანობაზე, პრაქტიკულად, ეს ნიშნავს იმას, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის ოპოზიციის როლი პოზიტიურად არის შეფასებული დიპლომატიური კორპუსის მხრიდან. ეს ძალიან დიდი მნიშვნელობის პოლიტიკური მოვლენაა. სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას მოვუწოდებ, თუ კიდევ ვინმეს შერჩენია იქ საღი აზრი და განსჯის უნარი, ადეკვატური ნაბიჯები გადადგას.

***— რას გულისხმობთ ადეკვატურ ნაბიჯებში?***

— ვგულისხმობ იმას, რომ ერთმა ამომრჩეველმა ერთი ხმა მისცეს არჩევნებზე და ეს იყოს გარანტირებული. ამავე დროს, საქართველოს პარლამენტში დეპუტატები იმ პროპორციით იყვნენ წარმოდგენილი, რა პროპორციითაც ხმებს მიიღებენ. 2008 წლის არჩევნებში ოპოზიციამ, ჯამში, მილიონ 700 ათასი ხმა, ხელისუფლებამ — მილიონი ხმა, მაგრამ დღევანდელი პარლამენტი 120 ნაციონალისა და 30 ოპოზიციონერისგან შედგება. თუმცა, 30 დეპუტატიც არ არის, რადგან ჩვენ სადეპუტატო მანდატები დავხიეთ, მაგრამ ხედავთ, თანაფარდობა რამდენად დისონანსშია იმ პროპორციებთან, რომლებიც ხმების მიღების თვალსაზრისით არსებობს. აქედან გამომდინარე, ძალიან დიდია დაინტერესება, რადგან ჩვენი მოთხოვნა სამართლიანია. ამიტომაც უჭერს დიპლომატიური კორპუსი სამართლიან მოთხოვნებს მხარს. რვა



პარტია ვამბობთ, რომ ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია ხელისუფლების ცვლილება, ზოგადად პოლიტიკური ბალანსის ცვლილება არჩევნების გზით. ამ მიმართულებით ვსაქმიანობთ კიდეც.

***— თუმცა, მოლაპარაკების პროცესი ჩიხშია შესული. ფიქრობთ, რომ ხელშესახებ ცვლილებას მიაღწევთ?***

— ნიშნისმოგებით გვეუბნებიან: ხომ ხედავთ, არაფერი არ გამოდისო. განა არ ვიცოდით, რომ ერთ მშვენიერ დღეს ხელისუფლება „გაჭედავდა“ და ყველაფერზე უარს იტყოდა. ეს ვიცოდით, მაგრამ მაინც წავედით მოლაპარაკებებზე.

***— რომ ყველა რესურსი ამოწუროთ?***

— ჩვენ მხოლოდ საქართველოს მოსახლეობას კი არ უნდა დავანახვოთ, არამედ საერთაშორისო საზოგადოებასაც უნდა დავანახვოთ, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს, თანაც უკვე საქმეში ხალხი უნდა ჩავრთოთ. ბევრი ამბობს, რომ მოსახლეობაში არ არის საარჩევნო თემები პოპულარული. გარწმუნებთ, რომ გაცილებით პოპულარულია, ვიდრე რევოლუციური თემები. არავის არ უნდა, ამ ქვეყანაში ისევ ექსცესებით შეიცვალოს ხელისუფლება. ყველას მიაჩნია, რომ სწორი და მნიშვნელოვანი იქნება ამ დროს ხალხის ნება. ეს იქნება გადამწყვეტი. ამიტომ ეს პროცესი ჩიხში შესულად სულაც არ მიმაჩნია. ქუთაისის შეხვედრის შემდეგ თელავის შეხვედრა გვაქვს დაგეგმილი. ასევე ჩვენი საქმიანობა გრძელდება დიპლომატიურ კორპუსთან, საზღვარგარეთ. თუ ეს ჩიხში შესვლა ჰგონია ვინმეს, კატეგორიულად არ დავეთანხმები.

***— ხალხის ჩართვაზე საუბრობდით. ხალხი რა ფორმით უნდა ჩაერთოს?***

— როდესაც ხალხს შევხვდებით და ინფორმაციას მივაწვდით, რაშია საქმე, ეს თავისთავად ნიშნავს, რომ მოსახლეობა ჩვენს მხარდამჭერებად გადავაქციოთ, ამ პროექტის მხარდამჭერებად. ისინი ზოგადად არიან ასეთი ტიპის პროცესების მხარდამჭერები, მაგრამ მათ დეტალურად უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია. ამიტომ საინფორმაციო ხასიათის გასვლებს ვაკეთებთ. ჩვენი მხრიდან მოსახლეობა სერიოზულად იქნება ინფორმირებული ყველა იმ საკითხზე, რომლებიც ამ პერიოდში წამოიჭრა. სააკაშვილი ყველა თავის გამოსვლაში გაღიზიანებულად რომ საუბრობს „რვიანზე“, ლანძღვა-გინების რეჟიმში რომ არის გადასული, ეს ვინმეს ჩვენი ჩიხში შესვლა ჰგონია. ჩიხში ხელისუფლებაა შესული. როდესაც მათ არგუმენტები აქვთ, ასეთი გაღიზიანებულები და ჭკუაზე გადასულები არ არიან. მაშინ ისინი არგუმენტირებულად საუბრობენ.

***— ახლა არა აქვთ არგუმენტები?***

— რა არგუმენტი აქვთ, რომ რაიონის მაჟორიტარი დეპუტატები არ გვინდა ჩვენ, ოპოზიციას? ჩვენ შევთავაზეთ წინადადება, რომ მაჟორიტარებზეც თანახმა ვართ რაღაც ვარიანტების გათვალისწინებით. ამაზეც არ უნდათ, რომ წამოვიდნენ. მინდა, თქვენი მკითხველისთვის მცირე განმარტება გავაკეთო: დღევანდელი სისტემით მაჟორიტარული არჩევნები ნიშნავს, რომ სახელისუფლებო კანდიდატს მხარს უჭერს გამგეობა, უშიშროება, საბიუჯეტო რესურსი. ამის შედეგად სახელისუფლებო კანდიდატს 20-პროცენტიანი ფორა აქვს საარჩევნო მარათონში. ჩვენ ვამბობთ, რომ შეჯიბრება იყოს არა 300-მეტრიან, არამედ 500-მეტრიან დისტანციაზე, ანუ 30-პროცენტიანი ბარიერის ნაცვლად შემოვიღოთ 50-პროცენტიანი ბარიერი. ეს არის ის, რასაც ხელისუფლებას ვთავაზობთ, მაგრამ არც ეს უნდათ. მაშინ თქვან, რომ ყველა მაჟორიტარული ოლქის მოგება თვითონ უნდათ. თქვან, რომ 75-ვე მაჟორიტარული ოლქის მოგება უნდათ. ხელისუფლებას სურს, ორი მესამედი შეინარჩუნოს მომავალ პარლამენტში.

***— საკონსტიტუციო უმრავლესობა...***

— საკონსტიტუციო უმრავლესობა იმიტომ უნდათ, რომ სააკაშვილს ჯერ თავისი პოლიტიკური ბედი არა აქვს გადაწყვეტილი, არ იცის, რას იზამს. წავა თუ არა იმაზე, რომ მესამედ იყაროს კენჭი, თუ პრემიერს გადაულოცავს ყველა ძალაუფლებას, თუ თავს იმპერატორად გამოაცხადებს. ეს ჯერ არა აქვს გადაწყვეტილი, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის პარლამენტში სჭირდება საკონსტიტუციო უმრავლესობა, რომ ის კონსტიტუცია, რომელიც შეცვალეს და რომელსაც დემოკრატიული უწოდა, იმასაც ისევე უტირებს დედას, ისევე დაჩეხს, როგორც გააკეთა წინა კონსტიტუციის შემთხვევაში, მაგრამ ჩვენ ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვართ. ჩვენ ჩვენს ქვეყანაში სიახლე, განვითარება გვინდა. არ გვინდა ასეთი მაღალი ფასები, არ გვინდა ასეთი სოფლის მეურნეობა, არ გვინდა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ასეთი დაძაბული იყოს, არ გვინდა, ახალგორსა და კოდორზე იურისდიქცია ისევ არ ხორციელდებოდეს. არ გვინდა, რომ მასწავლებლებს, ექიმებს, დევნილებს ყრიდნენ „უპრაგონოდ“, ბოდიში ამ გამოთქმისთვის, ქუჩაში. გვინდა, რომ ტელემედია თავისუფალი იყოს, სამუშაო ადგილები იქმნებოდეს. ამის გაკეთება სააკაშვილს არ შეუძლია. მისმა რვაწლიანმა მმართველობამ უკვე დაადასტურა ის, რომ ყველაზე მეტი რისი გაკეთებაც შეუძლია სააკაშვილს, ეს არის. რაც შეეხება გაფუჭებას, მინდა, ნაციონალური მოძრაობის ლოზუნგის პერიფრაზი გავაკეთო: „გასაფუჭებელი მათ კიდევ ბევრი აქვთ“.

***— ბატონო ზვიად, თქვენ თქვით, რომ პრეზიდენტს თავისი პოლიტიკური მომავალი არა აქვს გადაწყვეტილი. როგორ ფიქრობთ, თუ ის პრემიერად იყრის კენჭს, დასავლეთი კარტბლანშს მისცემს?***

— არა, არ აძლევს, ეს სახეზეა. ამიტომაც სააკაშვილი თუ დღეს გაბრაზებულია, გაბრაზებულია არა მარტო ოპოზიციაზე, არამედ გაბრაზებულია იმ დიპლომატებზე, რომლებიც მას პირდაპირ ეუბნებიან, ოპოზიციის მოთხოვნა ამ შემთხვევაში სამართლიანიაო. როდესაც ოპოზიცია ქუჩაში იყო, მაშინ სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას ცალსახად ჰქონდათ მხარდაჭერა დიპლომატიური კორპუსისგან.

***— დღეს არა აქვთ?***

— დღეს პირიქით არის. დღეს ცალსახა მხარდაჭერა გვაქვს ჩვენ.

***— „რვიანს“?***

— დიახ. ამიტომაც არის აპატურაის, ნატოს ესოდენ მაღალჩინოსნის შეხვედრა „რვიანთან“, ევროკავშირის ელჩის შეხვედრა ჩვენთან, ამერიკისა და სხვა საელჩოების წარმომადგენლების მუდმივი მუშაობა „რვიანთან“. ეს თავისთავად ადასტურებს იმას, რომ დიდი ინტერესია ამ ფორმატისა და ამ პროცესის მიმართ.

***— ოქრუაშვილი „რვიანის“ მუშაობას, რბილად რომ ვთქვათ, აკნინებს...***

— მორატორიუმი გვქონდა გამოცხადებული „ქართულ პარტიასა“ და რვა პარტიას ერთმანეთთან, მაგრამ ირაკლი ოქრუაშვილმა თავისი განცხადებებით დაარღვია. მინდა ვურჩიო ბატონ ირაკლის, რომ პარიზიდან დანახული სინამდვილე, ეტყობა, რეალობას არის მოკლებული. სხვა რეალობის წინაშე ვიმყოფებით ყველანი. თუ ოპოზიციური პარტიები ენერგიას ერთმანეთთან კინკლაობაში არ დავხარჯავთ და დაპირისპირება იქნება სააკაშვილთან, ამ შემთხვევაში გაცილებით მოგებული იქნება საქმეც, საქართველოც და მისი მოსახლეობაც. ამიტომ თავს შევიკავებდი ოქრუაშვილის მწვავე კრიტიკისგან. მის გამოთქმებს სასიკვდილო დაპირისპირება მოჰყვა ბურჯანაძე-გაჩეჩილაძეს შორის. ახლა ისევ დაიწყო, რაც შეიძლება დიდი გაღიზიანებებით გაგრძელდეს პარტიებს შორის. ჩვენ ვწვალობთ, რომ ოპოზიციაში თანამშრომლობის ატმოსფერო იყოს, მაგრამ ამ საქმეში ეს კაცი აშკარად ხელს გვიშლის.


ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნინო კანდელაკი, მზია ქოჩიშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**ვებ-გვერდი** www. atb.ge **E-mail: axtaoba@mail.ru**



რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

## „სახალხო კრება“ და „არა“ ხელისუფლებას პროვოკაციის მოწყობაში ადანაშაულებენ

„სახალხო წარმომადგენლობითი კრების“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები და მოძრაობა „არა!“ გუშინწინ სოფელ დილომში გამართული აქციისას ხელისუფლების წარმომადგენლებს მათ პროვოცირებაში ადანაშაულებს.

როგორც გუშინ „სახალხო კრების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა „სახალხო კრების“ ოფისში გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადეს, ხელისუფლების მიერ გამოგზავნილი პირები მათ პროვოცირებას ცდილობდნენ და მათი მიზანი ახალგაზრდების ღია პროვოკაციაში გამოწვევა იყო.

— ჩვენ გვაქვს ძალიან ძლიერი ნერვები, თუმცა ჩვენი ღირსების შელახვას არავის ვაპატიებთ. სამართალი მოდის და სამართალი აუცილებლად ყველას კართან მივა, — განაცხადა „არა!“—ს წარმომადგენელმა.

შეგახსენებთ, გუშინწინ „სახალხო კრებამ“ სოფელ დილომში საპროტესტო აქცია გამართა. აქციაზე „სახალხო კრების“ წარმომადგენლებმა სოფელ დილმის ყოფილი გამგებელი დავით ქობელაშვილი კორუფციაში დაადანაშაულეს.

აქციაზე სოფელ დილმის მოსახლეობასა და „სახალხო კრების“ წარმომადგენლებს შორის შელაპარაკება მოხდა, რადგან დილმის მოსახლეობა დავით ქობელაშვილს იცავდა.

**მედიანიუსი**

## ლეიბორისტები ვანო მერაბიშვილს პოლიციელთა მოსყიდვაში ედავებიან



გუშინ ბრიფინგზე ლეიბორისტული პარტიის გენერალურმა მდივანმა იოსებ შატბერაშვილმა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და „საქართველოს ბანკს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება გააპროტესტა. მისი თქმით, აღნიშნული ხელშეკრულებით, პოლიციელებისთვის დაიწყება ბინების მშენებლობა შეღავათიანი კრედიტით, ანუ უპროცენტოდ. შატბერაშვილი ამ გადაწყვეტილებას პოლიციელთა მოსყიდვად აფასებს.

— ეს ყველაფერი გათვალისწინებულია იმისათვის, რომ პოლიციელებს, სიკვდილის ბრიგადებს, რეკეტიორებს შეექმნათ სასათბურე პირობები. ამით მერაბიშვილი ეცდება მოისყიდოს ისინი და აიძულოს ბინების შეძენა, რათა შემდგომ ადვილად მართოს მოსყიდული პოლიციელები, — განაცხადა შატბერაშვილმა. მისი განცხადებით, პოლიციელისთვის აშენებული ბინა დაახლოებით 50 ათასი დოლარი ეღირება.

— ამ თანხაზე უპროცენტო კრედიტის შემთხვევაში ყოველთვიური გადასახადი იქნება 600 დოლარი. თუ გავითვალისწინებთ, რომ პოლიციელის ხელფასი ამდენივეა, მაშინ ისინი იძულებულები იქნებიან მთელი ხელფასი გადაიხადონ ბინის კრედიტში და შემდგომ ისინი ფაქტობრივად უხელფასოდ დარჩებიან. ამის შემდეგ პოლიციელები მერაბიშვილის ნებისმიერ ბრძანებას შეასრულებენ, — დასძინა შატბერაშვილმა.

**მედიანიუსი**

# სად წაიღო ხელისუფლებამ 500 მილიონი დოლარი

### რა სარგებლობას მოგვიტანს ევრობონდები

ნანა მიშელაშვილი

**საპარლამენტო ოპოზიცია ფინანსთა მინისტრს არ ეთანხმება. უთანხმოების მიზეზი ევრობონდების გამოშვებაა. ოპოზიციის ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოს საგარეო ვალი იზრდება, ხელისუფლების წარმომადგენლები კი საწინააღმდეგოს ამტკიცებენ.**

რატომ მიიჩნევს ოპოზიცია, რომ მორიგი ვალის აღებით მთავრობა წინა ვალს ისტუმრებს? სად წავიდა 500 მილიონი დოლარი? ეს კითხვები პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ოპოზიციის მხრიდან ისმოდა. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა კახა ბაინდურაშვილს მოუწია, მანამდე კი ევრობონდების გამოშვებაზე პრემიერმა ისაუბრა. ნიკა გილაურის აზრით, ევრობონდების გამოშვებით საქართველოს საგარეო ვალის პრობლემა 2021 წლამდე აღარ ექნება.

ნიკა გილაურის თქმით, საქართველოს გასასტუმრებელი ჰქონდა საკმაოდ დიდი ვალი საერთაშორისო სავალუტო ფონდის და ევრობონდის, რომელიც 500 მილიონს შეადგენდა. ეს ვალი ევრობონდების გამოშვების შედეგად მთლიანად დაიფარება.

ევრობონდებთან დაკავშირებით დავა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე მას შემდეგ დაიწყო, რაც ფინანსთა მინისტრს კახა ბაინდურაშვილს ოპოზიციონერმა ლევან ვეფხვაძემ შეკითხვები დაუსვა.

კახა ბაინდურაშვილი ამტკიცებს, რომ საქართველომ ევრობონდები საკმაოდ დაბალ პროცენტში გამოუშვა. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ მელიქიშვილი ამტკიცებს, რომ ინვესტორთა მხრიდან მოთხოვნამ ემისიის მოცულობას გადააჭარბა, აქედან გამომდინარე, ძალზე მომგებიანი პირობებით განხორციელდა ევროობლიგაციების გამოშვება. — აღნიშნული მთლიანად მოხმარდება 2008 წელს გამოშვებული ევროობლიგაციების რეფინანსირებას. არანაირად ვალის გაზრდაზე საუბარი არ შეიძლება იყოს იქიდან გამომდინარე, რომ რეფინანსირებას ხმარდება აღნიშნული თანხა. ამავდროულად, მომსახურების პროცენტი უფრო დაბალია, ვიდრე წინა ევროობლაგაციებზე. ვალის მომსახურების ნაწილში კლება არის და პოზიტიური სურათია, — აღნიშნა ზურაბ მელიქიშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში.

კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, ევროობლიგაციები არის 10 წლიანი ვადით და ის ვალდებულება, რომელიც 2013 წლისთვის უნდა დაგვდგომოდა, 2021 წლისთვის ინაცვლებს.

კომიტეტის თავმჯდომარისგან განსხვავებული პოზიცია აქვს ოპოზიციონერ ვიცე-სპიკერს. ლევან ვეფხვაძის თქმით, დღეს ხელისუფლება გვაყვედრის, თითქოს ქვეყანა კატასტროფას გადაარჩინა, რადგან 2013 წელს გადასახდელი გვაქვს 1 მილიარდ 300 მილიონი ლარის ვალი, რაც თავის დროზე შევარდნაძემ კი არ დატოვა, არამედ ამ ხელისუფლებამ. — ნურავინ ნურავის ნურაფერს აყვედრებს, ჩვენ ნახევარი მილიონი დოლარი ვალი ავიღეთ წლიური 7 პროცენტით, რაც წელიწადში ნიშნავს 35 მილიონ დოლარის მომსახურებას, ახლა ეს ვალი 2021 წლამდე უნდა გადავფაროთ და ჯამში მივიღებთ სიტუაციას, რომ ნახევარ მილიონს კიდევ ნახევარ მილიონს ვამატებთ და ვალს ვისტუმრებთ. ასეთი ცუდი პირობებით, ჩვენ სახელმწიფო ვალი ცხოვრებაში არ აგვილია, შესაბამისად, ძალიან ცუდია, როდესაც მთავრობა ამით ამაყობს, — აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ.

რაც შეეხება მთავრობის პოზიციას ინვესტორების შემოსვლასთან დაკავშირებით, ვიცე-სპიკერს ამაზე საკუთარი მოსაზრება აქვს.

— რომელი ინვესტორი შემოვა? ფული გვასესხეს, რომელიც გასასტუმრებელია. რომელი ინვესტორები შემოვლენ? — იკითხა ჟურნალისტებთან საუბარში ლევან ვეფხვაძემ.

სანამ ვიცე-სპიკერი ფინანსთა მინისტრს კომიტეტის სხდომაზე შეკითხვებს დაუსვამდა, ლევან ვეფხვაძე კახა ბაინდურაშვილის დანახვას ცდილობდა, რადგან დეპუტატს წინ ტელეკამერები ეფარებოდნენ.

— თვალებში ვერ გიყურებთ, რადგან ტელეკამერები მანათებს, — დაიჩივლა ლევან ვეფხვაძემ.

— მე მგონი, ეგ მარტო კამერების ბრალი არ არის, — ხუმრობით უთხრა ზურაბ მელიქიშვილმა ლევან ვეფხვაძეს.

— კამერების ბრალია, — არ დაიბნა ვეფხვაძე და ფინანსთა მინისტრს რამდენიმე კითხვა ერთად დაუსვა.

ოპოზიციონერმა ვიცე-სპიკერმა ფინანსთა მინისტრს ერთი მაგალითი მოუყვანა, რომელიც ტელეკომპანია „იმედის“ მემონტაჟეს შეეხებოდა. ვეფხვაძის თქმით, თავის დროზე, „იმედში“ ერთი მემონტაჟე იყო, რომელმაც ვალი აიღო, რომელიც შემოეჭამა, შემდეგ მეორე ვალი აიღო, ისიც შემოეჭამა, შემდეგ სხვა ვალი აიღო და „გაიჭედა“, რადგან სესხი აღარ მისცეს. ვეფხვაძის თქმით, ეს გარკვეული პირამიდა იყო, რომელშიც მემონტაჟე ჩავარდა.



— სად წავიდა 500 მილიონი დოლარი, რომელსაც ახლა ვიხდით? — დაინტერესდა ლევან ვეფხვაძე.

ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი ასევე დაინტერესდა, მოგვიწევს თუ არა 13 წლის შემდეგ ერთი მილიარდის დაბრუნება?

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ვეფხვაძე ფინანსთა მინისტრს ედავებოდა, კანონის დარღვევის საკითხს შეეხება. ლევან ვეფხვაძის თქმით, პარლამენტმა კანონი 8 აპრილს დაამტკიცა, არადა, მთავრობა ამტკიცებდა, რომ ერთი დღით ადრე დაიწყო ფასიანი ქაღალდების გამოშვება.

— რატომ მოხდა ეს დროზე ადრე და არის თუ არა კანონის დარღვევა? კომიტეტის ფუნქციაა ზედამხედველობა გაუწიოს მთავრობის საქმიანობას, ამიტომ ამ საკითხით კომიტეტი უნდა დაინტერესდეს, — აღნიშნა ვეფხვაძემ.

ძველ ევრობონდებთან დაკავშირებით ფინანსთა მინისტრს შეკითხვა ედპ-ის წევრმა გურამ ჩახვაძემაც დაუსვა. ფინანსთა მინისტრმა დეპუტატს უპასუხა, რომ 2008 წელს შეიქმნა 2 სუვერენული ფონდი, რომლის მიზანი იყო მსხვილი პროექტების დაფინანსება.

კახა ბაინდურაშვილმა ვეფხვაძის მიერ დასმულ შეკითხვასაც უპასუხა, რომელიც მთავრობის მიერ ძველი ვალის გასტუმრებას შეეხება.

— ბატონმა ლევანმა სარკაზმით განაცხადა, ვისი ბრალიაო? ვისი ბრალია, მე ნამდვილად ვერ შემოგკადრებთ, ვერ გასწავლოთ რისი ბრალიც არის. ბრალი არის ჩვენი მეზობლის, რომელმაც გამოგვიცხადა ომი ამ პერიოდში და საქართველოში შემოიჭრა. აგვისტოს ბოლოს, სახსრების მობილიზება მოხდა, რაც საქართველოს ხელში იყო, არა მარტო ჩვენს ხელში რაც იყო, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობას მივმართეთ. ომის დასრულებიდან 5 დღის ვადაში, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მოგვცა პროგრამა, საიდანაც დაახლოებით 900 მილიონი დოლარის გამოყენების შესაძლებლობა მოგვეცა. ძალიან ეფექტურად და სწრაფად იმოქმედეს ჩვენმა მეგობრმა ქვეყნებმა, საიდანაც დახმარება გამოგვეყო, — აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა.

კახა ბაინდურაშვილის თქმით, ომის შემდეგ ყველაზე დიდი რისკი, რაც ქვეყანას გააჩნდა, ეს იყო ჰუმანიტარული კრიზისი, რომ დანგრეულიყო და ჩამოშლილიყო ეკონომიკა, მაგრამ მეზობლის სანუკვარი ოცნება არ განხორციელდა, რადგან საქართველოს მთავრობას რეზერვები გააჩნდა.

რატომ უშვებს ქვეყანა ევრობონდს? ეს შეკითხვა კომიტეტში ფინანსთა მინისტრმა დასვა და პასუხი თვითონვე გასცა.

— ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა, რომ კაპიტალი გაქვს და ამ კაპიტალით შეიძლება რაიმე კონკრეტული საქმე გააკეთო, მაგრამ ქვეყანას თუ არა აქვს საინვესტიციო ნიშნული, პრაქტიკულად, ინსტიტუციური პორტფელური ინვესტიციის შემოდინება საქართველოში შეუძლებელი იქნებოდა, — აღნიშნა კახა ბაინდურაშვილმა.

ფინანსთა მინისტრმა ლევან ვეფხვაძეს პასუხი იმაზეც გასცა, დაარღვია თუ არა მთავრობამ კანონი.

— 7 აპრილს განვაცხადეთ, რომ ვაპირებთ ევრობონდები გამოვუშვათ, ამის შემდეგ ჩვენ პროცესს დაველოდეთ და იურიდიული შეთანხმება ახლა ხდება,— აღნიშნა კახა ბაინდურაშვილმა.

ამდენად, ევრობონდებთან დაკავშირებით ოპოზიცია და მთავრობა საკუთარ მოსაზრებაზე დარჩა. ორივე მხარე საკუთარი პოზიციების სისწორეს კომიტეტის სხდომის შემდეგაც ამტკიცებდა.

## ადამიანის უფლებათა ცენტრი ლადო ვარძელაშვილს ანტისემიტიზმში ადანაშაულებს

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი„ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ლადო ვარძელაშვილს თანამდებობიდან გადადგომისაკენ მოუწოდებს. ამის მიზეზად მის მიერ ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და ფაშიზმის მხარდაჭერა სახელდება. ადამიანის უფლებათა ცენტრი ნათქვამის დასტურად 2 აპრილს ტელეკომპანია იმედის„ ეთერში გასულ გადაცემა „მხიარულთა და საზრიანთა კლუბს“ ასახელებს, რომლის ჟიურის ერთ-ერთი წევრი სწორედ ლადო ვარძელაშვილი იყო და რომელმაც ანტისემიტურ რეპლიკაზე არაადეკვატური რეაგირება მოახდინა. კერძოდ, ორგანიზაციის ინფორმაციით, გადაცემის მსვლელობისას შეკითხვაზე — „ჰიტლერის საუკეთესო ღირსება“ — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდმა „კოზა ნოსტრამ“ უპასუხა: „უფასო გაზი ყველა ებრაელის ოჯახში“.

— გულდასაწყვეტია, რომ დარბაზში მყოფმა საზოგადოებამ ამ რეპლიკაზე სრულიად არაადეკვატური აღტაცება და ოვაციები გამოხატა, ხოლო მხიარულთა და საზრიანთა კლუბის ჟიურის წევრებმა „კოზა ნოსტრას“ მოულოდნელად უმაღლესი შეფასება — 5-5 ქულა დაუწერეს. ადამიანის უფლებათა ცენტრს მიაჩნია, რომ თსსუ-ს გუნდის პასუხი დასმულ შეკითხვაზე არც სამხიარულოა და არც საზრიანი. მას ვერც უკბილო ხუმრობას ვუწოდებთ და ვერც შავ იუმორს. სინამდვილეში ეს არის ჩვეულებრივი ფაშიზმი, რომელსაც ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოება ერთმნიშვნელოვნად გმობს და ემიზნება, — ნათქვამია ცენტრის ინფორმაციაში.

არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები მიიჩნევენ, რომ ჟიურის წევრებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ისინი საჯარო პირები არიან და სამოქალაქო საზოგადოების, უპირველესად, ებრაელ ხალხს წინაშე ბოდიშის მოხდა ევალებათ. რაც შეეხება ლადო ვარძელაშვილს, ორგანიზაციის აზრით საზოგადოების წინაშე იგი უფრო მეტად არის ანგარიშვალდებული.

— ამის გამო მოვუწოდებთ მას, გადადგეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან, როგორც ამ თანამდებობისათვის შეუფერებელი პირი, — ნათქვამია ადამიანის უფლებათა ცენტრის ინფორმაციაში.

**მედიანიუსი**

## სუბარი სააკაშვილის შეცვლას გვპირდება

„ქართული პარტია“ დღევანდელი ხელისუფლების რეალური ალტერნატივაა და სააკაშვილის რეჟიმს უახლოეს მომავალში შეცვლის, — ამის შესახებ, „ქართული პარტიის“ თავმჯდომარე სოზარ სუბარმა გუშინპარტიის დუშეთის რაიონული ორგანიზაციის ოფისის გახსნაზე განაცხადა.

— არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, რა გზით და ფორმით შეიცვლება სააკაშვილის რეჟიმი. ხელისუფლება ცდილობს დააშინოს საზოგადოება, თითქოს ჩვენ რევოლუციისა და ამბოხისკენ ვისწრაფვით. ის, რაც 2003 წლის ნოემბერში მოხდა, დადებითი მოვლენა იყო. ეგვიპტესა და ტუნისში განვითარებულ პროცესებს მთელი მსოფლიო მიესალმა, ამიტომ თუ ანალოგიური რამ საქართველოშიც მოხდა, არავის უნდა ეშინოდეს. პირიქით, საქართველო უკეთესი მომავლისკენ გადადგამს ნაბიჯს, — აღნიშნა სოზარ სუბარმა.

მისი აზრით, 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ოპოზიციას შეეძლო თბილისსა და რამდენიმე რაიონში გამარჯვება მოიპოვებინა, მაგრამ ოპოზიციამ ეს შანსი ხელიდან გაუშვა.

**ინტერპრესნიუსი**

# საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევაზე შეზღუდვები არ არის

ნანა მიშელაშვილი

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების არჩევაზე შეზღუდვები აღარ იქნება.

კანონის დღეს მოქმედი რედაქციით, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა. პარლამენტში მომზადებული ახალი ცვლილებებით, ეს შეზღუდვა უქმდება.

დღეს მოქმედი რედაქციით, საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრის მიერ ფიცის დადებიდან ან საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან არა უგვიანეს 10 დღისა ტარდება საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომა, რომელზეც 5 წლის ვადით აირჩევა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. ამავე წესითა და ვადით აირჩევა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ორი მოადგილე.

ახალი კანონპროექტით, ამ წესს ახალი რეგულაცია ემატება, რომლის თანახმად თუ არჩევის მომენტისათვის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ან მოადგილის კანდიდატის, როგორც სასამართლოს წევრის, უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე დარჩენილია 5 წელზე ნაკლები, ისინი თანამდებობაზე აირჩევიან სასამართლოს წევრის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

კანონპროექტის ავტორები დეპუტატები პავლე კუბლაშვილი და ზვიად კუკავა არიან.

შეგახსენებთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ცხრა მოსამართლისაგან. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადა 10 წელია. საკონსტიტუციო სასამართლოს სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამ წევრს საქართველოს პარლამენტი ირჩევს სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედით, სამ წევრს ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

დღეს არსებული კანონით, საკონსტიტუციო სასამართლის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელება ხდება საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეთანხმებული წინადადებით.

„%!!

# ხელისუფლება ვადამდელი არჩევნების დანიშვნას აპირებს?

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ირინა სარიშვილთან

***— ქალბატონო ირინა, თქვენთვისაც ცნობილი იქნება ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნა, რომელიც საკმაოდ კრიტიკული იყო. როგორ ფიქრობთ, მოყვება ამას რაიმე დადებითი შედეგი?***

— რეალურად ხელისუფლება შეეცდება, რომ ყველა თავის მოქმედება გააპრავოს. ანუ მისცეს მას ისეთი სახე, რომ მოსადავებელი მასთან არავის არ ჰქონდეს. ის შეეცდება, რომ ამ გაპრავებაში დაიხმაროს ოპოზიცია, როგორც ეს არაერთხელ უქნია. ძალიან სასიამოვნოა, რომ ისეთი დამოკიდებულება, ყოველ შემთხვევაში, განცხადების დონეზე მაინც აღარ ჩანს დღევანდელი ხელისუფლების მიმართ საზღვარგარეთიდან, მაგრამ ძალიან ხშირად იქნება ეს შეერთებული შტატები თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია, მათგან მხოლოდ დეკლარაციის სახით ვისმენთ ხოლმე პოზიციების დაფიქსირებას. რეალურად კი ამ დეკლარაციის იქით საქმე არ მიდის. ეს ეხება აგვისტოს ომის შედეგებსაც და ძალიან ბევრ სხვა რამეს. მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს განცხადება ატარებს ფორმალურ ხასიათს. ეჭვი მეპარება, რომ დღეს სააკაშვილის მომყვანს გადაწყვეტილი ჰქონდეს სააკაშვილი შეცვალოს, თუმცა ისიც არის, რომ ის ძალა, რომელმაც მოიყვანა თავის დროზე სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძე ხელისუფლებაში, დღეს წაუგებელ თამაშს თამაშობს იმიტომ, რომ ამ ძალამ დაიკავა არა მხოლოდ ხელისუფლების პოზიციები, არამედ ოპოზიციის. რეალურად დღეს ანგაჟირებული და დღეს რეკლამირებული ოპოზიციის შემადგენლობას თუ გადავხედავთ, მე ლიდერები მყავს მხედველობაში და არა კონკრეტული ადამიანები, რომელთა სახელებსა და გვარებს, სამწუხაროდ, მხოლოდ იყენებენ და მეტი არაფერი. თუ გადავხედავთ, ამ ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაშიც კი ბევრი არაფერი არ შეიცვლება. ამითი იმის თქმა მინდა, რომ ყველაზე უკეთეს შემთხვევაში ეს განცხადება თუ რამეს უნდა ნიშნავდეს, შესაძლოა ნიშნავდეს იმას, რომ სააკაშვილს შესაძლოა არც არავინ დაეხმაროს, მაგრამ არც არავინ წინააღმდეგობა არ გაუწიოს. რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი მიშვებული იქნება ნებაზე. რას შეიძლება ნიშნავდეს საქართველოს შიგნით ყველაფრის ნებაზე მიშვება, მე მგონი ეს ძნელი წარმოსადგენი არ არის. ეს მდგომარეობა არ არის საქართველოს ხელისუფლებისთვის არასახარბიელო, იმიტომ, რომ მათ ყველაფერი აღებული აქვთ, ყველაფერს 100%-ით აკონტროლებენ. ამ ვითარებაში პროცესების ნებაზე მიშვება, ცოტა მძიმეა, ვიდრე დახმარება სააკაშვილისთვის, თუმც არც ისეთი საგანგაშო, რომ ამან რეალურად ხელისუფლების შენარჩუნებაში შეუშალოს ხელი. ერთადერთი, რამაც შეიძლება სააკაშვილის ხელისუფლებას რეალური საფრთხე შეუქმნას, ეს არის ოპოზიციის გაერთიანება.

***— რამდენად არის ოპოზიციის გაერთიანების შანსი?***

— ერთადერთი, ამ შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას რეალური საფრთხე და შესაძლოა ეს უფრო დიდი პროცენტით დასრულდეს ამ ხელისუფლების მარცხით, მაგრამ სამწუხაროდ, ამის წინაპირობები, რომ ოპოზიცია ერთმუშტად შეიკვრება თუნდაც მცირე ხნით მაინც, ეს არ ჩანს. პირიქით, ყველაზე მძლავრ დაჯგუფებებში, ყოველ შემთხვევაში, ვიზუალურად როგორც გვაწოდებენ ორ ყველაზე მძლავრ დაჯგუფებაში, იგულისხმება ვირტუალური ლიდერი ოქრუაშვილი და მისი ორგანიზაცია, ხოლო აქეთ სახალხო კრება. მათ შორის არის იმ დოზის წინააღმდეგობა, რომელიც მე მგონი უკვე პირადში გადავიდა.

***— ირაკლი ოქრუაშვილი შანსს არ უშვებს ხელიდან, რომ ნინო ბურჯანაძე და ბადრი ბიწაძე არ გააკრიტიკოს. ოქრუაშვილი აცხადებს, რომ ის, ვინც სააკაშვილს ფარდის უკან დამალვას სთხოვდა, ვერაფრით ვერ შეძლებს მის დამარცხებასო...***

— ეს კიდევ ცალკე თემაა, თუმცა თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ რაც მოხდა ძალიან ცუდია საქმისთვის, იმ საქმისთვის, რასაც ჰქვია ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა. ახლა ეს რატომ მოხდა, ეს მოხდა ხელისუფლების დაკვეთით თუ უტვინობით, ამას შედეგით თვალსაზრისით არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ყველა შემთხვევაში დაკვეთა თუ უტვინობა, მე არ ვიცი, ეს რომელია. ეს ერთი მეორეს ხელს არ უშლის, შეიძლება ერთიც იყოს და მეორეც და ეს გრძელდება დღემდე. თან ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ ძირითადად ამის გამხმოვანებელი არის ბიწაძეების ოჯახი. ამ შემთხვევაში ნინო ბურჯანაძეს იმდენად არ ვგულისხმობ, რამდენადაც ბადრი ბიწაძეს. ბიწაძის გამონათქვამებს თავი რომ დავანებოთ, იმის მტკიცება, რომ ეს სიმართლეა თუ ტყუილი, კიდევ უფრო მეტ ნავთს ასხამს ცეცხლზე. მიუნხენის ამბის ამგვარად ჩამოტანა, როგორც ეს ბიწაძემ ჩამოიტანა, ასევე გაგრძელება ამ ამბის, მე საერთოდ ეჭვი მეპარება, რომ იქ ერთი სიტყვა სიმართლე ეთქვას მას, მაგრამ არა აქვს მნიშვნელობა ახლა ამას, სიმართლე თქვა თუ ტყუილი. ვგულისხმობ იმას, რომ თითქოს მას დაარტყა გაჩეჩილაძემ და შემდეგ გაიქცა. მე გაჩეჩილაძეს ძალიან კარგად ვიცნობ და მას ქუჩაში კაცური ურთიერთობები ბიწაძეზე კარგად ესმის. ბიწაძის მხრიდან ამ ყველაფრის გაფორმებაც გასაგებია, ან უტვინობაა, ან პირდაპირი დირექტივა სააკაშვილისგან, რომ



გაგრძელდეს ეს დავა.

***— ფიქრობთ, რომ ეს ხელისუფლების თამაშია?***

— იცით რა, ხელისუფლების თამაშია, ოღონდ კიდევ ხაზს ვუსვამ, რომ ან ეს ხელისუფლებას არ დაუგეგმავს და უბრალოდ პროვოცირება მოხდა იქიდან გამომდინარე, რომ ოპოზიციის გარკვეული ნაწილი აღმოჩნდა ძალიან უგუნური, ან პირდაპირ დაგეგმა და პირდაპირ დავალება შესრულდა თავიდან, როცა ასეთი განცხადება გაკეთდა, მიუხედავად იმისა, თავის დროზე როცა გაისმა ბრალდება გაჩეჩილაძის მიმართ, სიმართლე იყო იმ განცხადებაში თუ არა. ამ ეტაპზე ასეთი განცხადებების კეთება ნებისმიერ შემთხვევაში ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. ხანდახან შეიძლება ვერც დაგეგმო და შენმა მოწინააღმდეგემ გაჩუქოს თავისი უგუნურებით რაღაც ისეთი, რაც ძალიან გაწყობს. მე ვერ გეტყვით, აქედან რომელი მოხდა, თუმცა შედეგი მივიღეთ აბსოლუტურად იგივე. ამიტომ ისევ დავუბრუნდეთ ჩვენს თემას, ოპოზიციის ამდაგვარი დაპირისპირების შემთხვევაში და იმ პირობებში თუ სააკაშვილს გარედან დახმარება აღარ ექნება, რაშიც პირადად მე ეჭვი მეპარება, მაგრამ დავუშვათ ეს ასე იყოს და სააკაშვილი მხოლოდ თავის თავზე იყოს დამოკიდებული, როცა ოპოზიცია თვითონ ასეთი გააფთრებით ებრძვის ერთმანეთს, აბსოლუტურად გაუგებარია, რა იმედი შეიძლება გვქონდეს ჩვენ ამ ვითარებაში წარმატების? ჩემი აზრით, აუცილებლად ექნება ხელისუფლებას გეგმა რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა საგანგებო პირობებში, საგანგებო ვითარებიდან გამომდინარე. დაახლოებით იმდაგვარად, როგორც ეს მოხდა 7 ნოემბრის შემდეგ, ანუ რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, ოღონდ საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში შესაძლოა უფრო გამწვავდეს ვითარება და შესაძლოა საერთოდ საგანგებო მდგომარეობამდეც მივიდეს საქმე. ჩემი ღრმა რწმენით, რაც არ უნდა მოხდეს ამ გაზაფხულზე, ჩაწყნარება მოხდება, ამასაც ხელისუფლება გეგმავს, კონფლიქტური სიტუაციის აგორება მოხდება. ამის მოვლა, სამწუხაროდ, დაქუცმაცებული ოპოზიციის პირობებში ხელისუფლებას შეუძლია. რაში სჭირდება ხელისუფლებას რიგგარეშე არჩევნები, ძნელი გამოსაცნობი არ არის. სააკაშვილს არ უნდა ძალაუფლების დათმობა. ერთადერთი გზა მისთვის არის პრემიერმინისტრობა და ჩვეულებრივ რიგით არჩევნებში ძალიან გაუჭირდება მას ისეთი უმრავლესობის აღება, რომ მან მიიღოს ხმათა საკმარისი რაოდენობა. როგორი მოღალატეც არ უნდა იყოს ოპოზიცია, ღიად ის თავის სახელს და გვარს არ დააფიქსირებს სააკაშვილის პრემიერმინისტრობისთვის. ბუნებრივია, მას სჭირდება უფრო გარანტირებული წარმატება საპარლამენტო არჩევნებში. თუ 7 ნოემბრის შემდგომ პროცესებს გავიხსენებთ, ადვილი წარმოსადგენია, რა შეიძლება მოხდეს თუ ეს განმეორდა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების წინ.

***— საუბრობენ იმის შესახებ, რომ ხელისუფლება სერიოზული რეპრესიებისთვის ემზადება და შესაძლოა ოპოზიციონერი ლიდერების დაჭერები დაიწყოსო...***

— არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, მე ღმერთმა დამიფაროს სააკაშვილის ადგილზე ყოფნისგან, მაგრამ მის ადგილას რომ ვიყო, ამ ოპოზიციის ლიდერებს ციხეში კი არ ჩავსვამდი, ძეგლებს დავუდგამდი და გადიდებული სურათებით ჩამოვიკიდებდი კაბინეტში. იმიტომ, ის ამდენი ხანი რომ ხელისუფლებაშია, ეს არაიმდენად მისი და მისი მთავრობის დამსახურებაა, რამდენადაც ასეთი ოპოზიციის.

***— ენდიაის კვლევებს რაც შეეხება, საზოგადოებას ეჭვი არ ეპარება, რომ ეს კვლევები ხელისუფლების მიერ იყო შეკვეთილი, თუმცა მეორე ადგილზეა ალასანიას პარტია და არა სხვა რომელიმე ოპოზიციური პარტია...***

— ეს აბსოლუტურად არარეალური მონაცემებია, ეს იგივეა, რომ ნაციონალურ მოძრაობას ჩაეტარებინა ეს კვლევა. ენდიაის, როგორც ჩანს, აერია რაღაც, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში და ეტყობა გონიათ, რომ მათი სახელის პირველ ნაწილს თუ იმეორებს რომელიმე პარტია, მათ შორის ნაციონალური მოძრაობა, ეს იმას ნიშნავს, რომ მათი მონაცემებიც ერთნაირი უნდა იყოს. ჯერ ერთი, არც ერთი მონაცემით არ შეიძლება, რომ ასეთი უპირატესობით იყოს წინ ნაციონალური მოძრაობა, თუ საერთოდ წინ არის. რაც შეეხება ალასანიას, ალასანიაზე არ უნდა გამოვრიცხოთ ის, რომ ალასანია შემონახული ჰყავს მათ უკან მდგომ ძალებს და აქედან გამომდინარე ატივტივებს მას ტალღაზე. ალასანია ოჯახის წევრების გარდა, მე მგონი, არც არავის აღარ ახსოვს, დღეს ისეთი სიტუაციაა. ამიტომ აბსოლუტურად წარმოუდგენელია, რომ ალასანია მეორე ადგილზე კი არა, საერთოდ რომელიმე ადგილზე იყოს. ის არც კომენტარებს აკეთებს, არც აქტიურობს და საერთოდ ძალიან დათმო მან თავისი პოზიციები, რომელიც თავიდან ჰქონდა. თავიდან, როცა ალასანია გამოჩნდა პოლიტიკაში, მას არაჩვეულებრივი საფუძველი ჰქონდა, ბევრად უკეთესი, ვიდრე ოქრუაშვილს ან ბურჯანაძეს, უბრალოდ, მან რამდენიმე მძიმე შეცდომა დაუშვა და ამის შემდეგ გადაინაცვლა უკანა პლანზე. რა თქმა უნდა, ამ ქვეყანაში დასტურდება ის, რომ ქვა რომ დადო, თუ მას გაუკეთებ შესაბამის პიარს, შემდეგ ის ქვა უფრო პოპულარული ხდება, ვიდრე ადამიანი, თუმცა ჯერჯერობით ალასანიას მეორე ადგილზე ლაპარაკი ძალიან სასაცილოა.

***— ასევე მინდა გკითხოთ სახალხო დამცველის მოხსენების შესახებ, რომელსაც საკმაოდ დიდი რეზონანსი მოყვა და ითქვა, რომ სწორედ ამ თემებზე დაყრდნობით გააკეთა ამერიკის დეპარტამენტმა ეს კრიტიკული დასკვნაო...***

— მე თავიდანვე მინდოდა ამაზე საუბარი, უბრალოდ გამომრჩა ამის თქმა. რაც შეეხება ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის რეაქციას, როგორც წესი, ყოველთვის ეხმიანება ხოლმე იმ საკითხებს, რომელიც პირდაპირ შეხებაშია ადამიანის უფლებების დაცვასთან, პირველ რიგში კი პატიმრების უფლებების დაცვასთან. რა თქმა უნდა, ეს ძალიან კარგია, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით არაფერს არ ნიშნავს. ამიტომაც არ მეჩვენება მე მაინცდამაინც იმედის მომცემად შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება. გარემონტებულ ციხეებში ძალიან მარტივად შეიძლება ვიზუალურად, რამდენიმე დღით გაუმჯობესდეს პატიმრების მდგომარეობა, თუ ეს ხელისუფლებს მოუნდება. მე ეჭვი არ მეპარება, რომ ამ თვალსაზრისით ხელისუფლება უმტკივნეულოდ გადადგამს ნაბიჯებს მდგომარეობის გამოსასწორებლად და არ არის გამორიცხული, რომ ამ ნაბიჯების შემდეგ, იმავე დეპარტამენტის მეორე განცხადება ვიხილოთ, სადაც უკვე შეაქებენ ხელისუფლებას გადადგმული ნაბიჯების გამო. აქ ხომ არ იყო საუბარი უკანონო პატიმრობაზე, არ იყო საუბარი იმაზე, რომ მოსამართლეები საერთოდ არ იღებენ გადაწყვეტილებას. ამ სისტემაში შეუძლებელია, გამარჯვებაზე აღარ არის ლაპარაკი, სამართლის დაფიქსირებაც კი. სამწუხაროდ საუბარი იყო მხოლოდ პატიმრების მდგომარეობაზე და რატომ გახდნენ ისინი პატიმრები და საიდან გამომდინარეობს თუნდაც მათი მდგომარეობა, ამაზე საუბარი არ მიდის.

***— თქვენ მიგაჩნიათ, რომ ხელისუფლების გეგმა მუშაობს და ამ გაზაფხულზე არაფერ ახალს არ ელით?***

— რაც არ უნდა მოხდეს, დღევანდელი მოცემულობით და დღევანდელი ძალთა განლაგებით, ყველაფერი შეიძლება გამოიყენოს ხელისუფლებამ თუ თვითონ არ დაგეგმა, ამას ხაზს ვუსვამ. ერთადერთი, რამაც შეიძლება ეს მდგომარეობა გადაარჩინოს და დღევანდელ ხელისუფლებას ამ გაზაფხულსავე შეუქმნას რეალური საფრთხე, ეს არის ოპოზიციის ერთიანობა, რომლის წინააღმდეგაც სააკაშვილს უკვე მიღებული აქვს სერიოზული ზომები და ამ ზომების შედეგს ჩვენ, სამწუხაროდ, ვხედავთ.

# პატიმართა სიკვდილის გამომწვევი მიზეზი წამებაა!

## ციხეებში ტუბერკულოზი მ ვინვარებს და ავადმყოფ პატიმრებს ისევ კოლონიებში აგზავნიან

გულიკო ბალაძე

ციხეებში ტუბერკულოზი მძვინვარებს და ავადმყოფ პატიმრებს ისევ კოლონიებში აგზავნიან

გულიკო ბალაძე

ადამიანის უფლებების დამცველი გიორგი თევზაძე პატიმრების გაუსაძლისი მდგომარეობის გამო პროტესტს გამოთქვამს. ის უერთდება „წინააღმდეგობის მოძრაობას“ სახელწოდებით „მეც პატიმარი ვარ“.

გიორგი თევზაძე ამბობს, რომ ბოლო დროს ციხეებში კიდევ უფრო გახშირდა პატიმართა ცემის, წამებისა და გაურკვეველ სიტუაციაში გარდაცვალე-



ბის ფაქტები.

იგი პროტესტს გამოთქვამს ასევე ციხეებში პატიმართა წამებებისა და უკანონოდ ადამიანების დაპატიმრების გამო. იგი მოითხოვს საყოველთაო ამნისტიას.

თევზაძის თქმით, საქართველოს ხელისუფლებას უკვე 40 ათასი პატიმარი ჰყავს. აქედან ნახევარზე მეტი უკანონოდაა გასამართლებული.

***— ბატონო გიორგი, სახალხო დამცველის მოხსენებაში აღნიშნულმა პატიმართა წამების ფაქტებმა რეალური გახადა ციხეებში არსებული მდგომარეობა. თქვენ, როგორც უფლებადამცველსა და ადვოკატს, რა ფაქტები გაქვთ?***

— სასჯელთაღსრულების დაწესებულებაში პატიმართა მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტები გახშირდა, თუმცა ამის შესახებ პატიმართა ოჯახის წევრები ხმამაღლა საუბარს ვერ ბედავენ. ადვოკატებიც იძულებული ვართ, არ გავახმაუროთ ამა თუ იმ პატიმრის ვინაობა, რადგანაც ესა თუ ის პატიმარი ამის გამო შესაძლოა აწამონ ან ცემონ. თქვენ წარმოიდგინეთ, გარდაცვლილი პატიმრების მშობლებიც კი ვერ ბედავენ, წამების გამო მოკლული ახლობლის შესახებ ხმამაღლა განაცხადონ. 2011 წლის 11 მარტს ხუდადოვის კლინიკაში გარდაიცვალა 31 წლის მალხაზ მუზაშვილი. ახლობლების მტკიცებით, ცხედარს წამების კვალი აღენიშნებოდა. მასთან ერთად კლინიკაში მიიყვანეს 8 ნაცემი პატიმარიც. გარდაცვლილი პატიმრის და, მადონა მუზაშვილი, ამტკიცებს, რომ მისი ძმა, მალხაზ მუზაშვილი, სასტიკად ნაცემი კლინიკაში მიიყვანეს. პატიმართა ცემა თვეში ორჯერ მაინც ხდება, თითქოსდა ეს სავალდებულო აქცია იყოს.

გასულ წელს ციხეებში 142 პატიმარი გარადაიცვალა, აქედან 70 ტუბერკულოზით იყო დაავადებული, დანარჩენებს კი წამების კვალი აღენიშნებოდათ. ჯერ კიდევ განუკურნებელი პატიმრები ციხის საავად-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# საკრებულოს ფრაქცია ნავთობის ფასებზე მონიტორინგს განახორციელებს

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „თავისუფალი საქართველო“ ნავთობის ფასებზე მონიტორინგს განახორციელებს. აღნიშნული გადაწყვეტილება გუშინ საკრებულოში საწვავის ფასებთან დაკავშირებით ფრაქციის მიერ გამართულ სხდომაზე მიიღეს.

„თავისუფალი საქართველოს“ სხდომაში მონაწილეობას იღებდნენ ფრაქციის თავმჯდომარე კახა კუკავა. ნავთობის ასოციაციის ხელმძღვანელი ვანო მთვრალაშვილი, დამოუკიდებელი ექსპერტები ბექა კემულარია და ზურაბ კუკულაძე და მოძრაობა „თავისუფალი საქართველო“-ს წარმომადგენლები.

სხდომაზე ასევე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ უახლოეს დღეებში ნავთობკომპანიები ფრაქციას წარუდგენენ წერილობით ინფორმაციას ნავთობის ფასების სტრუქტურის შესახებ.

მედიანიუსი

## საქართველოში ონკოლოგიური დაავადების დიაგნოზით აღრიცხვაზე 33 ათასი ადამიანია აყვანილი

საქართველოში ონკოლოგიური დაავადების დიაგნოზით 33 ათასი ადამიანია აღრიცხვაზე აყვანილი.

როგორც „მედიანიუსს“ ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის დირექტორის მოადგილემ მაკა მაღლაკელიძემ განუცხადა, ყოველწლიურად ონკოლოგიური დაავადების 7 ათასამდე ახალი შემთხვევა ფიქსირდება. მაკა მაღლაკელიძის განმარტებით, დაავადების პიკი საშუალოდ 55 წელზე მოდის. ასევე იმატა 20 და 25 წლის ადამიანებში ონკოლოგიურმა დაავადებებმა.

— დაავადების მთავარი გამომწვევი მიზეზი მეტწილად კანცეროგენია, ასევე არაჯანსაღი ცხოვრების წესი, — აღნიშნა მაღლაკელიძემ

მისი თქმით, დაავადების პრევენციისთვის საჭიროა ჯანსაღი ცხოვრების წესი, ჯანსაღი კვების რაციონი, ჰიგიენური ნორმების დაცვა, მსუბუქი დაავადებებს მკურნალობა და ონკოლოგიურ დაავადებებზე დროული რეაგირება. ამასთან, მაკა მაღლაკელიძემ ისიც აღნიშნა, რომ დაავადების ადრეულ სტადიებში გამოვლინების რიცხვა იმატა, რაც პოზიტიური ფაქტია.

**მედიანიუსი**

## სახალხო კრება მარნეულში აქციას გამართავს

„სახალხო წარმომადგენლობითი კრების“ ახალგაზრდული ფრთა, მოძრაობა „არა!“ და „სახალხო კრების“ მოძრაობის „სამართალი მოდის“ წევრები დღეს მარნეულის გამგეობასთან საპროტესტო აქციას გამართავენ.

როგორც „მედიანიუსს“ სახალხო კრების პრესსამსახურიდან აცნობეს, კრების მარნეულის წინაამდეგობის კომიტეტს დახმარებისთვის სოფელ ხიხანის მოსახლეობამ მიმართა, რომელთა თქმითაც, სოფელში აჭარიდან ჩასახლებულ ეკომიგრანტებს, სოფლის გამგებლის ზაზა დეკანოიძისა და მისი მოადგილის მამუკა დორეულის დანაშაულებრივი ქმედებების გამო, საცხოვრებლად გაუსაძლისი პირობები შეექმნათ, რაც, პირველ რიგში, მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო მიწების გარეშე დატოვებაში გამოიხატება. მოსახლეობის ინფორმაციით, სოფლის წყლით უზრუნველსაყოფი ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად გამოყოფილი 200 ათასი ლარი არამიზნობრივად დაიხარჯა და შვიდი კილომეტრის ნაცვლად მხოლოდ ერთი კილომეტრი სიგრძეზე გამოიცვალა წყლის მილები.

**მედიანიუსი**

## საქართველოს პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკოს სამძიმრის წერილი გაუგზავნა

საქართველოს პრეზიდენტმა ღრმა მწუხარება გამოთქვა მინსკში მომხდარი ტერორისტული აქტის გამო, რომელსაც უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა. სამძიმრის წერილში, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა ბელორუს კოლეგას გაუგზავნა, მიხეილ სააკაშვილმა კიდევ ერთხელ დაგმო ტერორიზმის ნებისმიერი გამოვლინება და საქართველოს მთავრობის სახელით, მზადყოფნა გამოთქვა ნებისმიერი სახის დახმარება გაუწიოს ბელორუს ხალხს. ქვეყნის პირველი პირი, თავისი და ქართველი ხალხის სახელით უსამძიმრებს დაღუპულთა ოჯახებს და თანაგრძნობას უცხადებს მომხდარის გამო.

**მედიანიუსი**

# დემოკრატიის შუქურის დაძახებით ეს ხელისუფლება გაირყვნა

გერა მამულაშვილი

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ 2919 წლის ანგარიში გამოაქვეყნა. დოკუმენტში ნათქვამია. რომ გასულ წელს საქართველოში ირღვეოდა ადამიანის ირითადი უფლებები, მათ შორის პატიმრების, ი ულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები. პრობლემათა შორის ასევე დასახელებულია კანონის შერჩევითი გამოყენება, მედიაზე ზეწოლა, მთავრობაში მაღალი თანამდებობის პირების კორუფცია და ოკუპირებულ ტერიტორიებზე უმთავრესად ეთნიკური ქართველების უფლებების დარღვევის ფაქტები.**

— ჩვენთვის ყურადსაღებია ის კრიტიკული მოსაზრებები, რომელიც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშშია გამოთქმული, — აცხადებს პრეზიდენტ სააკაშვილის პრეს-სპიკერი მანანა მანჯგალაძე. მისივე თქმით, მნიშვნელოვანია ასევე მოხსენების ის ნაწილი, სადაც კონკრეტულ პროგრესზეა საუბარი.

— აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ სხვა ქვეყნების შეფასებებს თუ გავეცნობით, საქართველოსთან მიმართებაში ეს დახასიათება უდავოდ ძალიან პროგრესულია, — აცხადებს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძე. მისივე თქმით, ანგარიშის ნაწილს ქართული მხარე არ ეთანხმება.

— ჩვენთვის ყველა ანგარიში, რომელსაც ჩვენი მეგობრები რეკომენდაციის სახით გვიწევენ, საყურადღებოა. ქართული მხარე მიესალმება ნებისმიერ კვალიფიციურ ანგარიშს განურჩევლად იმისა, რა საკითხებს შეეხება ეს ანგარიში. ეს ანგარიში შეიცავს ასახვას იმ პროგრესისა, რომელიც საქართველოში დაფიქსირდა და მიესალმება იმ პროგრესს, რომელიც ხორციელდება გასული წლების განმავლობაში. თუ გაეცნობით სხვა ქვეყნების შეფასებებს, მე თავს შევიკავებ ამ ქვეყნების დასახელებისგან, საქართველოსთან მიმართებაში ეს დახასიათება უდავოდ ძალიან პროგრესულია, — აცხადებს ნინო კალანდაძე.

**ამ თემაზე „ახალი თაობა“ უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტს ირაკლი სესიაშვილს ესაუბრება.**

***— როგორ აფასებთ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ბოლო დასკვნას საქართველოსთან დაკავშირებით?***

— პირველ რიგში გავითვალისწინოთ, რომ შეერთებული შტატები ჩვენი პარტნიორია და საქართველოსთან მომავალშიც სურს ასეთი ურთიერთობის გაგრძელება. ამიტომ, როდესაც აშშ ასეთ ანგარიშებს აქვეყნებს, ორ საკითხზე ფიქრობს: ერთი, რომ შეფასება ძალიან კრიტიკული არ იყოს და მეორე, ამ ქვეყანაში (რომლის მიმართაც ინტერესი აქვს) ვითარება გამოსწორდეს, კიდევ უფრო სტაბილური გახდეს და უფრო მეტი პარტნიორობა შეძლოს ვაშინგტონთან.

ამიტომ, რასაც დეპარ-




ტამენტის ანგარიშში ვკითხულობთ, ერთგვარი კეთილი რჩევა, კრიტიკაა ჩვენი ქვეყნის მიმართ. ბუშის შემდგომ, მით უმეტეს, არაბულ სამყაროში რევოლუციების შემდეგ შტატებმა დაინახა, რომ ქვეყანასთან სტრატეგიულ პარტნიორობას, გრძელვადიან პერსპექტივაში საფუძველი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს, როდესაც აქ არის დემოკრატია და სტაბილურობა.

ამ თვალსაზრისით, შეერთებულმა შტატებმა მიიღო სტრატეგიული გადაწყვეტილება და ზედმეტ დიპლომატიურ მიდგომას მოერიდა. პირდაპირ გადავიდა იმ მესიჯების გამოგზავნაზე, რომ საჭიროა ხელისუფლებამ რეალურად სერიოზული ნაბიჯები გადადგას. შტატები გამოდის ასევე საკუთარი ინტერესებიდან, რომ მისი პარტნიორი დემოკრატიული რელსების ერთგული იყოს.

***— რაც შეეხება უშუალოდ ანგარიშის შინაარსს?***

— მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებამ ეს შეფასება კრიტიკულად ჩათვალა, ვფიქრობ, რომ იგი მოკრძალებულად კრიტიკულია. მეტის დაწერაც შეიძლებოდა. თუმცა, შტატების დიპლომატიური მიდგომა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იმდენი ითქვა და იმ ფაქტების დადასტურებით, რაც თავად სახალხო დამცველის ანგარიშებში იქნა მოძიებული. ასევე, რაც არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებში იქნა ასახული. ამ ეტაპზე ეს საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ ხელისუფლება დაფიქრდეს მაინც.

***— ანგარიშის მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულებასაც შევეხოთ.***

— შეგვიძლია ერთგვარი ირონიით ვთქვათ, რომ ჩვენი ხელისუფლება სხვა ქვეყნების დამოკიდებულებაზე უფრო მეტად ზრუნავს, ვიდრე საკუთარ ხალხზე. რადგან ის, რაც ამ ანგარიშში წავიკითხეთ, ამაზე ყოველდღე საუბრობენ არასამთავრობოების წარმომადგენლები, ექსპერტები, ადამიანის უფლებების დამცველები, პოლიტიკური პარტიები. მაგრამ ხელისუფლება ერთი მხრივ ცდილობს ასეთი განცხადებები თავიდან აიცილოს, მეორე მხრივ კი ხშირად უარყოფს ასეთ ფაქტებს.

ვფიქრობ, ასეთი დამოკიდებულება სასაცილოა თავად ხელისუფლებისთვის. ანუ, როდესაც საკუთარ ხალხს არ უსმენ და მისი არ გჯერა. ათი ათასი კილომეტრის დაშორებით დაწერილ ანგარიშებზე კი პარლამენტის თავმჯდომარე მაშინვე გამოფხიზლდა და კომიტეტებს დაავალა დეპარტამენტის ანგარიშის შესწავლა. უბრალოდ სირცხვილია საკითხის მიმართ ასეთი დამოკიდებულება. სირცხვილია იმიტომ, რომ ეს პირდაპირ მიანიშნებს ჩვენი ხელისუფლების დამოკიდებულებაზე დემოკრატიის და ადამიანის უფლებების მიმართ. ხელისუფლებას სურს, რომ დემოკრატია ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ფურცელზე, განცხადებებში იყოს და არა რეალურად. იყოს ის, რასაც საზოგადოება ითხოვს — თავისუფლებას, ღირსებას, რაც ამ ხალხს ისედაც ბუნებრივად ეკუთვნის.

ამიტომ ვურჩევდი პარლამენტის თავმჯდომარეს, ყველა იმ ჩინოვნიკს, ვინც ნაწილობრივ, ან მთლიანად აღიარებს იმ დანაშაულობებს, თუ არადემოკრატიულ ქმედებებს, რაც ანგარიშშია, ერთხელ მაინც კეთილი ინებონ და მოუსმინონ საკუთარ ხალხს. მერწმუნეთ, ეს შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტზე მაღლა დგას. ჩვენ დეპარტამენტისგან განსხვავებით ამ ყველაფერს საკუთარ ტყავზე განვიცდით. უფრო სწორად, ვიცით როგორც მისი დიაგნოზი, ასევე მკურნალობის საშუალებები. მაგრამ თუ ჩვენ ხელისუფლებას სურს, რომ მხოლოდ უცხოურ ანგარიშებში გამოსწორდეს ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხი, მაშინ ეს სხვადასხვა პიარტექნოლოგიებით არის შესაძლებელი. რასაც ჩვენი ხელისუფლება ხშირად მიმართავს კიდევაც.

***— მაგალითად?***

— საქართველო ბიზნესის კეთების თუ დაწყების თვალსაზრისით ნომერ პირველი ქვეყანაა. იცით, ეს როგორ მოხდა? ბატონმა სააკაშვილმა უცხოეთში გაგზავნა რამდენიმე ექსპერტი, რომლებმაც შეისწავლეს თუ რა პარამეტრებით გამოითვლება ბიზნესის დაწყების რეიტინგები. ჩამოვიდნენ და ეს საკითხები ისე დაალაგეს, რომ რეიტინგებში პირველებში ვყოფილიყავით.

თუ ჩვენ გვინდა, ამ რეიტინგებით ვიცხოვროთ, ამით ვჭამოთ, ვიარსებოთ და დემოკრატია გვქონდეს, კი ბატონო, ასე კიდევ რამდენხანს ვიქნებით, მაგრამ ამ გზით საბოლოოდ ცრუ ქვეყანაში აღმოვჩნდებით, რასაც ნელ-ნელა ვემსგავსებით კიდევაც.

***— დეპარტამენტის ამ ბოლო დასკვნის მიმართ ერთგვარი დაბნეულობაც ხომ არ შეინიშნება ხელისუფლებაში; საგარეო უწყებამ ანგარიშის სულისკვეთება მხოლოდ ნაწილობრივ მიიღო, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ სრულად...***

— ხელისუფლებას სჩვევია და ცდილობს თავი ისე წარმოაჩინოს, რომ დასავლეთის რჩევებს იზიარებს, მაგრამ ბოლომდე არ ეთანხმება. ამით სურს თავი წარმოაჩინოს, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკის მატარებელმა. რომელსაც უფლება და უნარი აქვს, რაღაცეებზე დათანხმდეს და რაღაცეებზე არა. ეს არის ხელისუფლების მეთოდოლოგია.

რეალურად, ისევ ჩემ მიერ გამოთქმულ აზრს დავუბრუნდები; შეეკითხეთ ხალხს და იმაზე ათჯერ უფრო მეტს იტყვის, შესაბამის ფაქტებსაც მოიყვანს, ვიდრე ეს დეპარტამენტის ანგარიშში არის ასახული. მაგრამ დააკვირდით: ხელისუფლებამ აქცენტი ისევ იმაზე გააკეთა, რომ ჩვენ ამდენი პრობლემები არ გვაქვსო. ანუ, აქ არის რაღაც პრობლემები, მაგრამ ამაზე რეალურად ნაკლები გვაქვსო. რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ხელისუფლებაში ადამიანის უფლებების გამოსწორების ნება არ არსებობს. იმის ნება, რომ რეალური დამოკრატიზაცია დაიწყოს.

ხელისუფლებას მხოლოდ ის სურს, რომ სხვადასხვა რეიტინგეში საქართველო მაღალ საფეხურებზე იყოს. რაც უფრო დრო გავა, ამის შანსები სულ უფრო ნაკლები ექნება. რადგან ადრე თუ გვიან, დასავლეთს მობეზრდება ეს ყველაფერი და სათქმელსაც ბოლომდე იტყვიან. როგორც ეს შეერთებულმა შტატებმა გააკეთა. რადგან დემოკრატიის შუქურის დაძახებით ეს ხელისუფლება გაირყვნა. ამ გარყვნაში კი შეერთებულმა შტატებმა საკუთარი წილი დანაშაულისა იგრძნო. მომავალში თუ ჩვენი ხელისუფლება ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად რეალურ ნაბიჯებს არ გადადგამს, შეიძლება ცოტა სხვა ტიპის სიებშიც აღმოვჩნდეთ.



***— ბოლო შეფასების გამწვავება საერთაშორისო ფონის გარდა ქვეყანაში არსებულ შიდარეალობებსაც რამდენად უკავშირდება; მომავალ არჩევნებს და მზადებას არჩევნებისშემდგომი პერიოდისთვის?***

— მინდა იმედი მქონდეს, რომ დასავლეთი საქართველოში მორიგი ფარსის აღიარებას არ დაუშვებს. დასავლეთი შეშფოთებულია იმით, რომ საქართველოში ადრე თუ გვიან სიტუაცია შეიძლება უკონტროლო გახდეს. იმ თვალსაზრისით, რომ მართლა ყელში ამოუვიდეთ ეს ხელისუფლება. დასავლეთს, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებს ეს არ აწყობს. ამიტომ დასავლეთი მაქსიმალურ რესურსს ჩადებს იმისთვის, რომ არჩევნებამდე ქვეყანა მომზადებული მივიდეს. რათა სიტუაცია ფეთქებადსაშიში არ გახდეს. ეს ბევრ რამეზე იქნება დამოკიდებული. პირველ რიგში საქართველოს მოსახლეობის რეაქციაზე იმ არაკანონიერ მოქმედებაზე ან უფლებების დარღვევაზე, რასაც ხელისუფლება სჩადის და მომავალშიც ჩაიდენს.

ჩვენი რეაგირების გარეშე, ხელისუფლებას ერთგვარად ვახალისებთ, რომ საკუთარი ტერორი გააგრძელოს. მარტივად შეხედეთ, ებრაელი ბიზნესმენების დაკავების სურათს. ხელისუფლებამ ეს არ გათვალა; წინა შემთხვევებში სხვა ბიზნესმენებთან, მათ შორის უცხოელებთან ეს გაუვიდა. დღეს მან არ გათვალა ამ დაკავებასთან დაკავშირებული რისკები და ხელისუფლება ჩიხშია, ვერც წინ მიიწევს და ვერც უკან. საბოლოო ჯამში, ეს ძალიან უარყოფითად აისახა ჩვენს ქვეყანაზე. როდესაც დაშვებული შეცდომები ხელისუფლებაზე და მის ძალაუფლებაზე აისახება, აი მაშინ გამოფხიზლდებიან ისინი.

***— რაც შეეხება ოპოზიციას, რამდენად არის მზად სწორად გაიგოს ის მესიჯები, რაც თუნდაც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ბოლო მოხსენებიდან გამომდინარეობს?***

— ჩემი აზრით, ამ ეტაპზე ოპოზიცია თევზაობით არის დაკავებული. ამ თევზაობისას გადაგდებულ ანკესზე რა თევზი ამოდის, ოპოზიციამ ეს ჯერ არ იცის. რას ვგულისხმობ ამაში? დღეს ოპოზიცია ცდილობს ყველა მიმართულებით გარკვეული ფონი და საძირკველი გაიმაგროს. ეს იქნება დასავლეთთან, საზოგადოებასთან თუ ხელისუფლებასთან და ერთმანეთთან ურთიერთობა. ამასთან პირდაპირ ვთქვათ, რომ დღევანდელი ოპოზიცია ხელისუფლებასთან მიმართებაში არათანაბარ პირობებშია. ძალთა ბალანსი იმდენად დარღვეულია, რომ ოპოზიციას რომც ძალიან უნდოდეს, საკუთარ თავს მაინც ვერ გადაახტება.

საზოგადოებაში ძალიან ბევრი კრიტიკაა, რომ ჩვენი ოპოზიცია უუნაროა; მე პირადად ასე არ ვფიქრობ. ნელნელა ოპოზიციური სპექტრი პოლიტიკურად იხვეწება. ამის მიმართ დიდი აღმაფრენა არ გვაქვს, მაგრამ დადებითი ტენდენცია აშკარაა. ჩნდებიან ძალები, რომლებიც ფრონტს სხვადასხვა მიმართულებით ხსნიან. შეიძლება ზოგი მომწონდეს, ზოგი არა, მაგრამ ზოგადად პროცესს მივესალმები. ასე თუ ისე, ოპოზიციის რიგებში იგივე მემარცხენეობა და მემარჯვენეობა იკვეთება. რაც, საბოლოო ჯამში, ნორმალურ პოლიტიკურ პროცესამდე მიგვიყვანს.

უბრალოდ, ძალიან ბევრი რამ ისევ და ისევ ჩვენს საზოგადოებაზე არის დამოკიდებული, თუ როგორ წაიკითხავენ ამას ჩვენი საზოგადოებრივი წრეები. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტებისთვის, ჩემთვისაც კრიტიკა გაცილებით მარტივი საქმეა, მინდა პოზიტივი შევიტანო და ვთქვა, რომ დღეს ოპოზიცია გაცილებით რეალისტურია და განსხვავებულია თავისი ხედვებით; ეს კი საზოგადოებას თავისუფალი არჩევანისთვის მეტ საშუალებას მისცემს. ეს მოხდება იგივე მემარჯვენეობა-მემარცხენეობასთან მიმართებაში იგივე პოლიტიკური ორგანიზაციების მოქმედებებთან დაკავშირებით და ა.შ.

ყოველთვის ვამბობდი, რომ ოპოზიციის ერთობა ხელოვნურია. მირჩევნია იყოს მოქმედების დივერსიფიკაცია, იყოს ბრძოლის რამდენიმე ფრონტი და თითოეულმა მათგანმა პოლიტიკური მოქმედებით ერთმანეთს ზურგი გაუმაგრონ. მაგრამ მთავარი უნდა იყოს სახელმწიფოებრივი ინტერესები და არა პირადი ამბიციები. მხოლოდ ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება საერთო მიზნის მიღწევა. ოპოზიციურ ძალებში კი ჯერ კიდევ მეტობს ვიწროპოლიტიური ინტერესები.

# რუსეთი აფხაზეთში თურქული დიასპორის გაძლიერებას არ დაუშვებს

## აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ დევნილების უფლებები უნდა დაიცვას!

თეა მარხვაი ე

**ჩვენი ხელისუფლება დევნილებს რატომღაც ცუდად გადაეკიდა. დევნილების დევნის ფაქტები არაერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ გააპროტესტა. პროტესტი მშობლიურმა ოპოზიციამ და არასამთავრობოებმაც გამოხატეს. პოლიტიკოსებმა ბევრჯერ მოითხოვეს დევნილთა მინისტრის გადაყენება.**

კობა სუბელიანის გადაყენებას სააკაშვილი არ აპირებს. თავად სუბელიანი ოპოზიციას ჭორების გავრცელებაში ადანაშაულებს. თუმცა დევნილების დევნის ფაქტები აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნაშიც მოხვდა, რამაც ჩვენი ხელისუფლება ცოტათი შეაწუხა.

დევნილების დევნის ფაქტებთან დაკავშირებით აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება ხმას არ იღებს. მათ პროტესტი არც მაშინ გამოუხატავთ, როცა სამართალდამცავებმა ადა მარშანია დააკავეს. ამ ფაქტმა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრ ვახტანგ ყოლბაიას განცხადება გააკეთებინა. რატომ ექცევა ხელისუფლება დევნილებს ასე სასტიკად, რა მიზნით ჩავიდა სერგეი ბაღაფში თურქეთში, რას არ დათმობს რუსეთი, რატომ უნდა დაეგმოთ ადა მარშანიას დაკავება, ამ თემებზე „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ გენერალური მდივანი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ვახტანგ ყოლბაია:**

— ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა დიდმა ნაწილმა საკუთარ თავზე გამოსცადა სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების მართვის უკანონო, ძალადობრივი, შეურაცხმყოფელი მეთოდების სიმწარე. სამწუხაროდ, ხელისუფლების სისასტიკის განსაკუთრებული სამიზნე დევნილები აღმოჩნდნენ. ასობით ოჯახი სრულიად უკანონოდ, ძალის გამოყენებითა და დამცირებით დროებითი საცხოვრებლებიდან გამოასახლეს და გაუსაძლის პირობებში საცხოვრებლად გაიმეტეს. ხელისუფლება არაფრად აგდებს სხვადასხვა უწყების წინ პროტესტის ნიშნად მომიტინგე და მოშიმშილე დევნილებს. სააკაშვილის ხელისუფლებას არ აინტერესებს, რა აწუხებს ადამიანებს, რომლებსაც დაკარგული აქვთ საკუთარი სახლ-კარი, დაკარგული ჰყავთ ნათესავები და ახლობლები. ხელისუფლების დამოკიდებულება ამ ადამიანების მიმართ ხშირ შემთხვევაში ცინიკური და შეურაცხმყოფელია. სამართალდამცავები მშვიდობიანი აქციის მონაწილე, საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით ქუჩაში მდგომ დევნილებს სრულიად უკანონოდ აკავებენ და ასამართლებენ. სააკაშვილის ხელისუფლების მიერ სრულიად უკანონოდ იქნენ დაკავებულნი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ქალბატონი ადა მარშანია, დევნილები ოჩამჩირიდან, გალიდან, გაგრიდან და სოხუმიდან. ეს ადამიანები ხელისუფლებამ კანონიერი პროტესტის გამოხატვის გამო დასაჯა. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სააკაშვილის დამნაშავე ხელისუფლების ნაწილია, სამარცხვინოა ის დამოკიდებულება, რომელსაც აღნიშნული უწყება დევნილების მიმართ იჩენს. სამარცხვინოა, როცა აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობას არ აინტერესებს არც საცხოვრებლიდან ძალით გამოგდებული, ფოცხოეწერში გადასახლებული და ფაქტობრივად სასიკვდილოდ განწირული, ულუკმაპუროდ, უმუშევრად დარჩენილი დევნილებისა და არც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ბედი.

***— ადა მარშანიას დაკავებასთან დაკავშირებით პროტესტი არც აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს გამოუთქვამს და არც პარლამენტს. მარშანია წლების განმავლობაში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი. თქვენი აზრით, რისი ბრალია ეს დუმილი?***

— ეს დუმილი ჩემთვისაც გაუგებარია. ეს დუმილი ალბათ იმის ბრალია, რომ დღეს ადა არის ოპოზიციაში, უპირისპირდება ხელისუფლებას და ამიტომაც არ გააპროტესტეს მისი დაკავება. გასაგებია, რომ არ მოსწონთ ადას პოზიცია, მაგრამ მას ხომ აქვს თავისი აზრის გამოხატვის



უფლება. ის არის დეპუტატი და ვალდებულია, დაიცვას დევნილთა უფლებები. ის ამას აკეთებს. ის დააკავეს, რითიც მისი უფლებები დაარღვიეს. აფხაზეთის უმაღლესი საბჭო ვალდებული იყო, ეს ფაქტი გაეპროტესტებინა.

***— ადა მარშანია დაკავებიდან რამდენიმე საათში გაათავისუფლეს. იქნებ ამიტომ აღარ გამოხატა პროტესტი უმაღლესმა საბჭომ?***

— მე არ ვიცი ზუსტი მიზეზი, თუ რატომ არ მოხდა ამ ფაქტის გაპროტესტება. როგორც მითხრეს, სასამართლო პროცესზე იყო გია გვაზავა. კი ბატონო, გაათავისუფლეს ადა, მაგრამ მას მაინც აჰკიდეს სასჯელი. 400-ლარიანი ჯარიმა სასჯელია, აბა რა არის. დაკავების გამო მისთვის ბოდიში რომ მოეხადათ, ხმას არ ამოვიღებდი. მაგრამ ადამიანს სასჯელი აჰკიდეს ტყუილად. ის სასამართლომ ცნო დამნაშავედ. მას საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა ედება ბრალად. მე ვარ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი. მე ვაპირებდი, საბჭოს სახელით განცხადება გამეკეთებინა. სამწუხაროდ, ვერ ვიპოვე მხარდამჭერი. ამიტომაც გადავწყვიტე, ცალკე დამეფიქსირებინა ჩემი პროტესტი. მე კიდევ ერთხელ ვაპროტესტებ ადას დაკავებას. ასევე ვაპროტესტებ იმ არაადამიანურ დამოკიდებულებას, რომელსაც ხელისუფლება დევნილების მიმართ იჩენს.

***— ბატონო ვახტანგ, მოდით, საუბრის თემა შევცვალოთ და თურქეთში ბაღაფშის ვიზიტზე ვისაუბროთ. ის წლების განმავლობაში ცდილობდა თურქეთში ჩასვლას. ანკარა მას ამის უფლებას არ აძლევდა. ახლა ბაღაფშმა ამის უფლება მიიღო. პროტესტი არც ჩვენს ხელისუფლებას გამოუთქვამს. რაშია საქმე?***

— ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა აფხაზეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს. ისინი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უჭერენ მხარს, ამასთან, ნელ-ნელა ცვლიან დამოკიდებულებას აფხაზეთის მიმართ. ისინი ნელ-ნელა გვაგებენ იმ აზრს, რომ აფხაზეთის იზოლაციაში მოქცევა ამ კონფლიქტს არ მოაგვარებს. ამ ვიზიტთან დაკავშირებით თურქეთის საგარეო უწყებამ სასწრაფოდ გაავრცელა განცხადება. მათი მტკიცებით, ეს არ იყო ოფიციალური ვიზიტი და ბაღაფში იქ არასამთავრობოების მიწვევით იმყოფებოდა. ამბობენ, რომ ეს ვიზიტი თურქეთში მოქმედი არასამთავრობოების მიერ იყო ორგანიზებული. თურქეთში საკმაოდ მრავალრიცხოვანი დიასპორაა და მათ უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია აქვთ შექმნილი.

***— არის ვარაუდები, რომ ბაღაფში იქ თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებსაც შეხვდა. თქვენი აზრით, შეიძლებოდა, ბაღაფშს თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლები შეხვედროდნენ?***

— მე არ გამოვრიცხავ, ბაღაფში იქ შეხვედროდა ხელისუფლების, მათ შორის, გავლენიანი წრეების წარმომადგენლებს. წლების განმავლობაში ამ საკითხების შესწავლით ვიყავი დაკავებული. ვიცი, რომ თურქეთის ხელისუფლებაში აფხაზურ დიასპორას სერიოზული გავლენები აქვს. მართალია, ეს არაოფიციალური ვიზიტი იყო, მაგრამ, არა მგონია, ამან უკვალოდ ჩაიაროს.

***— უკვალოდ არ ჩაივლისო, ამბობთ. თქვენი აზრით, შესაძლებელია, თურქეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიაროს?***

— არა მგონია, საქმე აქამდე მივიდეს. ვფიქრობ, თურქეთის მთავრობა მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას. ის ყველაფერს გააკეთებს, რომ ამ ვიზიტმა თბილისსა და ანკარას შორის ურთიერთობა არ გააფუჭოს. ბაღაფშის ვიზიტის ძირითად მიზანს აფხაზურ დიასპორასთან შეხვედრა წარმოადგენდა. მან მუჰაჯირებს კიდევ ერთხელ შესთავაზა აფხაზეთში დაბრუნება.

***— დაბრუნდებიან მუჰაჯირების ჩამომავლები აფხაზეთში?***

— არა მგონია, ეს გამოვიდეს. გასული საუკუნის 90-იან წლებში აფხაზეთში 2500 მუჯაჰირი დაბრუნდა. ისინი ყველანი ძველი აფხაზების შთამომავლები არიან. ამის მიუხედავად, მათმა უმეტესობამ იქ ვერ გაძლო და უკან დაბრუნდნენ.

***— რატომ გაიქცნენ მუჰაჯირების ჩამომავლები აფხაზეთიდან?***

— მიზეზი უამრავია. ფაქტი ის არის, რომ მათ ვერ მოიკიდეს ფეხი აფხაზეთში. ისინი სხვანაირ პირობებს არიან მიჩვეული. მათთვის მიუღებელი იყო იქ არსებული კრიმინალური ვითარება, ბიზნეს-გარემო და ეკონომიკური პირობები. ამის გარდა, იყო რუსეთი.

***— რუსეთი რა შუაშია?***

— რუსეთს არ აწყობს, რომ აფხაზეთში თურქული დიასპორა გაძლიერდეს.

***— ესენი ხომ აფხაზების ჩამომავლები არიან?***

— მიუხედავად იმისა, რომ აფხაზური დიასპორაა, მაინც თურქულ მხარეს წარმოადგენენ. საუკუნეზე მეტია იქ ცხოვრობენ და აბა რა იქნება. რუსეთი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ თურქეთში გადასახლებულმა მუჰაჯირებმა აფხაზეთში ფეხი ვერ მოიკიდონ.

***— ბოლო დროს აფხაზებს რუსებთან ურთიერთობა ცოტა გაუფუჭდა. ბაღაფში სწორედ ამ დროს წავიდა თურქეთში. ეს უბრალო დამთხვევაა თუ რაღაცაშია საქმე?***

— ეს ვიზიტი მხოლოდ რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვას არ უკავშირდება. ბაღაფში დიდი ხანია ცდილობდა იქ ჩასვლას, თუმცა ეს ვიზიტი რუსეთის ამბიციებზე ერთგვარი პასუხია. რუსეთს სოჭსა და ბზიფს შორის არსებულ ტერიტორიებზე აქვს პრეტენზიები. ეს პრეტენზიები ახალი არ არის. მოსკოვი ამ მიწებს ადრეც ითხოვდა. ახლა აფხაზეთში საქართველოს იურისდიქცია აღარ ვრცელდება. შესაბამისად, რუსეთი უფრო თამამად ითხოვს ამ ტერიტორიებს. რუსეთთან ურთიერთობა სახუმარო არ არის. ეს ძალიან კარგად იციან აფხაზებმა. ბაღაფში იმიტომაც ჩავიდა თურქეთში, რომ რუსებისთვის ეჩვენებინა, თქვენს იქითაც გვაქვს გზაო. თურქეთი შეეცდება აფხაზეთში თავისი გავლენის გაფართოებას, თან შეეცდება, ეს ისე გააკეთოს, რომ საქართველოსთან ურთიერთობა არ გაიფუჭოს. ამასთან, არ დაგვავიწყდეს, რომ რუსეთს ძალიან დიდი გავლენები აქვს. ის არ დაუშვებს, აფხაზეთში თურქული დიასპორა გაძლიერდეს.

## პატრიარქმა თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ნერგები დარგო



კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე გამწვანების აქციაში მიიღო მონაწილეობა და მოქალაქეებს წელიწადში 12 ნერგის დარგვისკენ მოუწოდა. პატრიარქთან ერთად ნერგების დარგვაში მონაწილეობა მიიღო თბილისის მერმა გიგი უგულავამ და ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა.

რეკრეაციული ზონების შექმნისა და გაჯანსაღებისთვის წამოწყებული სამუშაოების გამო, ილია მეორემ გიგი უგულავას წმინდა ნიკოლოზის სახელობის მედალი გადასცა.

— მოვუწოდებ ყოველ მოქალაქეს და განსაკუთრებით ჩვენს ახალგაზრდობას, რომ ყურადღება მიაქციონ გამწვანებას. ეს არის ჩვენი ჯანრთელობა, მომავალი თაობის ჯანსაღი ცხოვრება. ასეთი ლოცვა კურთხევა ეძლევა ყველას, რომ წელიწადში 12 ნერგი დარგოს. ამით გამწვანდება მთელი საქართველო და ბედნიერი იქნება, — აღნიშნა პატრიარქმა.

გიგი უგულავას განცხადებით მერიამ აქტიურად დაიწყო თბილისში და მის შემოგარენში ტყეების შესწავალა და გაჯანსაღება.

გამწვანების სამდღიანი აქცია ხვალ უკვე მცხეთაში გაგრძელდება და კონკრეტული ტერიტორიების გამწვანებას ჩაუყრის საფუძველს.

**მედიანიუსი**

## ცხინვალის რეგიონსა და რუსეთს შორის მიმოსვლა შეწყვეტილია

ოკუპირებულ ცხინვალსა და რუსეთს შორის მიმოსვლა შეწყდა. ამის მიზეზი დიდთოვლობა გახდა.

როგორც ოსური სააგენტო „რესი“ იუწყება, დიდთოვლობის გამო სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის დამაკავშირებელი ტრანსკავკასიური მაგისტრალი ჩაიკეტა.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის საგანგებო სიტუაციების სამსახურის ინფორმაციით, მაგისტრალი ზვავსაშიშროების გამო 11:30 საათზე ჩაიკეტა. დიდთოვლობის მიზეზით, ასევე გართულებულია მიმოსვლა ცხინვალის რეგიონის განაპირა სოფლების მიმართულებით.

**მედიანიუსი**

## ზაზა გაბუნიამ ომბუდსმენის ანგარიშთან დაკავშირებით ინიციატივები წარადგინა

— საქართველოს სახალხო დამცველის ბოლო ანგარიშმა ნათლად აჩვენა ის მძიმე სურათი, რაც ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებსა და მოხუცთა თავშესაფრებში არსებობს, — ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე თბილისის საკრებულოს ქრისტიან-დემოკრატმა წევრმა, ადამიანის უფლებების დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ზაზა გაბუნიამ განაცხადა.

დეპუტატის თქმით, წინა წლების მსგავსად, პრობლემად რჩება პერსონალისგან აღსაზრდელთა მიმართ ძალადობის შემთხვევები, ჯანმრთელობისათვის საზიანო გარემო პირობები, ბავშვთა ექსპლუატაციისა და მათი დისკრიმინაციის ფაქტები, მოხუცთა მედიკამენტებით დროული და სათანადო უზრუნველყოფა, ასევე, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ნაკლებობა.

— არსებული რეალობის გათვალისწინებით ქრისტიან-დემოკრატები გამოვდივართ ორი ინიციატივით: აღნიშნულ დაწესებულებებში აღსაზრდელთა და აღმზრდელთა უფლებების დაცვის მიზნით გამოიყოს სპეციალური შტატი, რომელიც კრიზისული ვითარების პრევენციას მოახდენს; შექმნილი მძიმე სიტუაციის გამო და არსებული პრობლემების ეფექტურად დაძლევის მიზნით ასეთი ტიპის დაწესებულებები ფედერალური მართვიდან გადავიდეს მუნიციპალურ მართვაში, — განაცხადა საკრებულოს ქრისტიან-დემოკრატმა წევრმა.

ზაზა გაბუნია აღნიშნულ ინიციატივებს განხილვისათვის სახალხო დამცველს, პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს გადაუგზავნის.

**მედიანიუსი**

## დუშეთში „ქართული პარტიის“ ოფისი გაიხსნა

„ქართულმა პარტიამ“ მცხეთა-თიანეთის რეგიონში გუშინ თავისი პირველი ოფისი გახსნა, რომელმაც ფუნქციონირება დუშეთში, ყაზბეგის №16-ში დაიწყო.

ოფისის გახსნაში „ქართული პარტიის“ თავმჯდომარე სოზარ სუბარი, პარტიის პოლიტიკური მდივანი ეროსი კიწმარიშვილი და პარტიის აღმოსავლეთ საქართველოს რაიონული ორგანიზაციების კოორდინატორი ლევან ტერაშვილი მონაწილეობდნენ. ღონისძიებას დაესწრნენ ქართული პარტიის„ ადგილობრივი აქტივისტები და მხარდამჭერები, მასმედიის წარმომადგენლები, რიგითი მოქალაქეები.

პარტიის დუშეთის რაიონული ორგანიზაციის საინიციატივო ჯგუფმა „ქართულ პარტიაში“ გაწევრიანების მსურველთა რეგისტრაცია დაიწყო. გარდა ამისა, საინიციატივო ჯგუფი მოამზადებს ქართული პარტიის„ დუშეთის რაიონული ორგანიზაციის დამფუძნებელ კონფერენციას, რომლის დელეგატებიც ადგილობრივ პარტიულ ლიდერს აირჩევენ. დამფუძნებელი კონფერენცია დუშეთში, სავარაუდოდ, მაისის მეორე ნახევარში ჩატარდება.

უახლოეს მომავალში ქართული პარტიის„ ოფისები დუშეთის გარდა მცხეთა-მთიანეთის სხვა რაიონულ ცენტრებშიც გაიხსნება.

**ინტერპრესნიუსი**

## რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაღუპულის ცხედრის ექსჰუმაცია ჩატარდა

ცხინვალთან რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაღუპულის ცხედრის ექსჰუმაცია ჩატარდა. ამის შესახებ სააგენტო „რესს“ ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახალხო დამცველმა, დავით სანაკოევმა განუცხადა.

სანაკოევის ინფორმაციით, ცხინვალის შემოგარენში აღმოჩენილი ნეშტი შემდგომი ექსპერტიზისთვის და გარდაცვლილის ვინაობის დადგენის მიზნით წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლებს გადაეცათ. ვინაობის დადგენის შემდეგ კი, ნეშტს გარდაცვლილის ნათესავებს გადასცემენ.

— ღონისძიება უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და ცხედრების მოძიების სამმხრივი საკოორდინაციო მექანიზმის ფარგლებში ჩატარდა. ექსჰუმაციაში სამხრეთ ოსეთისა და წითელი ჯვრის სასამართლო სამედიცინო ექსპერტები მონაწილეობდნენ, — განაცხადა სანაკოევმა.

უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და ცხედრების მოძიების სამმხრივი საკოორდინაციო მექანიზმი 2010 წლის თებერვალში ჟენევაში შეიქმნა და მასში ქართული, რუსული და ოსური მხარეები მონაწილეობენ.

**ინტერპრესნიუსი**

# პატიმართა სიკვდილის გამომწვევი მიზეზი წამებაა!

დასაწყისი მე-4 გვერდზე

მყოფოდან გაჰყავთ და კოლონიებში აგზავნიან. ეს კი დაავადებას კიდევ უფრო ართულებს, რაც პატიმართა სიკვდილიანობაზეც აისახება. საპყრობილეში პატიმრების მიყვანისთანავე ხდება ე.წ. ფიზიკური დამუშავება, რათა მათში შიშის სინდრომი ჩანერგონ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა მე-5, მე-6, მე-8 სასჯელთაღსრულების დაწესებულებებში, სადაც ტუბერკულოზი მძვინვარებს, პატიმართა უმეტესობა უმძიმეს მდგომარეობაშია, მაგრამ ისინი სამედიცინო დაწესებულებაში არ გადაჰყავთ.

— ***ხელისუფლებას ძალიან უჭირს დაავადებული პატიმრების დროზე ადრე გათავისუფლება იმ ვითარებაში, როცა პატიმარი ძლიერ დაავადებულია. დაავადება კიდევ უფრო მძაფრდება და სიკვდილის მიზეზი ხდება. როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ ავლენს დღევანდელი ხელისუფლება ჰუმანურობას?***

— სამწუხაროდ, დღევანდელმა პრეზიდენტმა უარი თქვა ციხეებიდან პატიმრების დროზე ადრე გათავისუფლებაზე, ანუ ე.წ. უდოზე. თუკი ადრე არსებობდა ვადაზე ადრე პატიმართა გათავისუფლება და მუშაობდა „უდოს" კომისია (რომელშიც უფლებადამცველებიც მონაწილეობდნენ), რატომ არის დღეს ეს კომისია დახურული, გაურკვეველია. მოვუწოდებ ქალბატონ ხათუნა კალმახელიძეს, რომ თუ მართლა არ აწამებენ პატიმრებს, თუ ისეა მოგვარებული პატიმრების პრობლემები, როგორც ეს საპიარო გადაცემებშია ასახული, მაშინ გაგვიღოს ციხის კარი უფლებადამცველ ორგანიზაციებს. გვინდა, ჩვენი თვალით ვნახოთ, რა ხდება ციხეებში. თუ რევოლუციამდე უფლებადამცველებს ციხეებში მონიტორინგის უფლება გვქონდა, რატომ ჩაკეტეს კარი რევოლუციის შემდეგ? პატიმართა ახლობლები დღემდე ვერ ახერხებენ მედიკამენტების ციხეში შეგზავნას, ციხის ექიმები კი პატიმრების მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას იჩენენ, ნახევრად განკურნებულ პატიმრებს ისევ კოლონიებში აბრუნებენ. ამ დროს ციხის ექიმები ღირსეულად ვერ ასრულებენ პროფესიულ მოვალეობას. მე ვფიქრობ, ციხის ექიმების პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დადგეს.

— ***უკანონო პატიმრებზე რას იტყოდით?***

— მოგეხსენებათ, რომ ციხეში უკანონო პატიმრების რიცხვი იზრდება. უკანონოდ დაპატიმრებული არიან ის ადამიანები, რომლებიც სასჯელს იხდიან იმ დანაშაულისათვის, რომელიც მათ არ ჩაუდენიათ. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პირი, ილჰამ ქარიმოვი, იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით დააკავეს. გამოძიებას მის მიმარ არავითარი მტკიცებულებები არა აქვს.

სამწუხაროდ, გამოძიება ხშირად აბსურდამდეც მიდის. დაკავებული პირების პატიმრობაში დატოვება დოგმად იქცა. პირობითი სასჯელი აღარ არსებობს, მიზეზად კი ის გარემოება მოჰყავთ, რომ ესა თუ ის პირი დაემალება გამოძიებას. ვერც გამოძიება და ვერც პროკურატურა ვერ ასაბუთებს იმას, თუ რატომ დაემალება პირი გამოძიებას, რატომ არის ამის საშიშროება. უკანონო პატიმრობაში არიან ადვოკატებიც, რომელთა მიმართ გამოტანილი განაჩენი აბსურდულია. დღემდე უკანონო პატიმრობაში რჩებიან ადვოკატები მარინა იველაშვილი და გივი ექვთიმიშვილი. ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორია შეშფოთებას გამოხატავს ქართველი ადვოკატების გამო, რომლებიც მუდმივად ჩაგვრის, მუქარისა და დაშინების მსხვერპლნი არიან. 2010 წლის დეკემბერში ობსერვატორიამ ყურადღება გაამახვილა ადვოკატთა უკანონოდ დაპატიმრებებზეც. 2008 წელს — 26 ადვოკატი, 2009 წელს — 23 და 2010 წელს 21 ადვოკატი დააკავეს. რამდენიმე საათის განმავლობაში უკანონოდ დააკავეს ადვოკატი ვალერიან ტაბალუა. ადვოკატები ხშირად არიან თავისუფლებაალკვეთილი რამდენიმე საათის განმავლობაში. საერთაშორისო ადვოკატთა ობსერვატორია ხელისუფლებას მოუწოდებს, ადვოკატებს მისცენ საშუალება, შეასრულონ პროფესიული მოვალეობა და გაუწიონ დახმარება თავიანთ კლიენტებს. ადვოკატი დევნის საგანი არ უნდა გახდეს, მაშინ როდესაც მას კანონი არ დაურღვევია. უფრო მეტიც, საერთაშორისო სასამართლომ ხელისუფლებას მიუთითა იმის შესახებ, რომ ჰედლაინებით განაჩენის გამოტანა და წინასწარი პატიმრობის მისჯა ყოვლად დაუშვებელია. დღეს მოსამართლეები ნოტარიუსის როლს ასრულებენ, თუმცა ნოტარიუსი ფაქტს მაინც ამოწმებს. ამ ბოლო დღეებში რამდენიმე ქართულმა სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა, ალბათ — ესეც საპიაროდ.

— ***მაშინ, დღეს როგორ ხორციელდება პატიმრების შეწყალება?***

— შეწყალების კომისია მუშაობს, მაგრამ, თუ შესაწყალებელია 50 პატიმარი, იწყალებენ 5-ს. ესეც შერჩევით ხდება. საკითხავია, რა კრიტერიუმით არჩევენ შესაწყალებელ პატიმრებს!

— ***ბატონო გიორგი, მზადდება ფართო ამნისტიის პროექტი, რომელიც „წინააღმდეგობის მოძრაობის" მიერ არის შემუშავებული. როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია ფართო ამნისტია დღეს?***

— საზოგადოების გადასაწყვეტია, მოხდება თუ არა ფართო ამნისტია. თუ საზოგადოების დიდი ნაწილი ხელს მოაწერს ამ პროექტს, მაშინ ამნისტია რეალური გახდება. ვფიქრობ, პირველ რიგში, ეს უნდა შეეხოს იმ ადამიანებს, რომლებიც უკანონოდ იხდიაგ სასჯელს. თუმცა, ფართო ამნისტია არ ნიშნავს საზოგადოებისათვის საშიში დამნაშავეების გარეთ გამოშვებას.

ამნისტია უნდა შეეხოს პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირებსაც და ყველა იმ უდანაშაულო ადამიანს, რომლებიც შეთითხნილი ბრალდებებით იხდიან სასჯელს.

**განცხადება**

**2011 წლის 4 მაისს დღის 13.00 საათზე ტარდება ს/ს „თბილისის ცენტრალური ა/ვაგზლის" აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

1. 2010 წლის წლიური ბალანსის განხილვა;
2. სხვადასხვა.

*სამეთვალყურეო საბჭო*

# სააკაშვილმა ისრაელთან ურთიერთობა გააფუჭა

*შორენა კოწოწაშვილი*



ქართულ-ებრაული ურთიერთობები ბოლო პერიოდში სულ უფრო იძაბება. ქართული მხარის არაგონივრული მოქმედებები ისრაელის ხელისუფლებამ სათანადოდ შეაფასა და არა მხოლოდ ქართველ მაღალჩინოსნებს ურჩია ისრაელში ოფიციალურ შეხვედრებსა და კონფერენციებზე ჩასასვლელად ბარგის ჩალაგებისგან თავი შეიკავონ, არამედ ისრაელმა საქართველო საშიშ ქვეყნებს შორის დაასახელა და ამით ყველაფერი თქვა.

ამასთან, რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ ებრაული კომპანია „ელბიტი" საქართველოს ხელისუფლებისგან 100 მლნ დოლარის დაბრუნებას სასამართლოს გზით შეეცდება. გავრცელებული ინფორმაციის თამახმად, კომპანიამ თავის აქციონერებს ლონდონის სასამართლოში სარჩელის შეტანის შესახებ შეატყობინა.

„ელბიტი" აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ 2007 წელს გაფორმებული კონტრაქტის თანახმად, მოწოდებული შეიარაღების თანხა არ გადაიხადა. საუბარია 40 უპილოტო თვითმფრინავზე, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ ებრაული კომპანიისგან შეიძინა. ებრაული გაზეთის ცნობით, მაშინ საქართველოს ხელისუფლებას უპილოტო თვითმფრინავების საფასური არ გადაუხდია და ეს ქვეყანაში 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ წარმოშობილი სირთულეებით ახსნა.

დღეს ებრაული კომპანია თავის კუთვნილ თანხას ითხოვს. კომპანიის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ საქართველოს ხელისუფლებას სასამართლოში მოუწევს წარდგენა და საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულება.

სამხედრო ექსპერტები ფიქრობენ, რომ ებრაული კომპანიის მხრიდან უპილოტო თვითმფრინავების საფასურის ამ გზით ამოღების საფუძველი იმ ორი ებრაელი ბიზნესმენის საქართველოს ხელისუფლების მხრიდან დაპატიმრებაა, რომლებიც თავად პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა მოიწვია საქართველოში. ქართველმა სამართალდამცავებმა კი ეს ბიზნესმენები ფინანსთა მინისტრის მოადგილისთვის ქრთამის შეთავაზების ბრალდებით დააპატიმრეს.

გთავაზობთ ინტერვიუს სამხედრო ექსპერტ **ნოდარ ეფრემიძესთან:**

— ***ბატონო ნოდარ, როგორ ფიქრობთ, საქართველოს პრობლემები აქვს თავდაცვითი შეიარაღების კუთხით? ფაქტია, სენატორი მაკკეინი ღიად ლობირებს საქართველოში თავდაცვითი იარაღის შემოტანას და ეს მან ღიადაც განაცხადა.***

— არა, ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ყოველთვის ეხმარებოდა. იმიტომ, რომ ჩვენ განგვიხილავენ, როგორც ერთ-ერთ სტრატეგიულ პარტნიორად. ეს დახმარება ამერიკიდან, რა თქმა უნდა, არის. ისინი ძალიან აქტიურად არიან ჩართულები ჩვენი ჯარის აღმშენებლობის საქმეში. მაკკეინის განცხადების შემდეგ, რუსეთში სხვადასხვა განხცადებები გაკეთდა და ეს გასაგებიცაა. რუსეთს მცდელობა აქვს საქართელო წარმოადგინოს, როგორც მილიტარისტულ და აგრესიულ სახელმწიფოდ. იმიტომ, რომ ამით უნდა პოლიტიკური სიტუაცია მოიგოს საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში. მაგრამ ეს აბსოლუტურად არაფერს არ ნიშნავს. იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანას ნამდვილად ესაჭიროება შეიარაღებაც, ძლიერი არმიაც და თავდაცვისუნარიანი უნდა იყოს ჩვენი შეიარაღებული ძალები. ამერიკის შეერთებული შტატები კი ამაში გვეხმარება.

— ***შეიარაღების კუთხით, ერთი მხრივ, პრეტენზიები გაჩნდა უკრაინასთან, მეორე მხრივ კი, ისრაელი ცდილობს უპილოტო თვითმფრინავების საფასური საქართველოს ხელისუფლებისგან სასამართლოს გზით ამოიღოს.***

— საქართველოს ხელისუფლებას ამ მხრივ იმიჯი დიდი ხანია შეერყა. უკრაინასთან შეიარაღების შესყიდვებთან დაკავშირებით მართლაც იყო სერიოზული პრობლემები. სკანდალიც იყო. ისრაელის სახელმწიფოს დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, შეიცვალა ებრაელი ბიზნესმენების დაკავების შემდეგ, მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ავტორიტეტი დააბალანსებს ამ საკითხებს.

— ***თქვენი აზრით, ებრაული მხარე უპილოტო საფრენი აპარატების ღირებულებას რომ ითხოვს, ებრაელი ბიზნესმენების დაკავებას უკავშირდება?***

— რა თქმა უნდა. მე ვფიქრობ, რომ არა პირდაპირ, მაგრამ ირიბად ეს კავშირშია. იმიტომ, რომ ჩვენ, ყველამ, კარგად ვიცით, ისრაელის სახელმწიფო როგორ იცავს თავისი მოქალაქეების ინტერესებს ჩვენი ქვეყნისგან განსხვავებით. ჩვენ უამრავი გახმაურებული საქმე გვახსოვს, როდესაც სახელმწიფომ არ გამოიჩინა კეთილი ნება თავისი მოქალაქეების ინტერესების დასაცავად, როდესაც აშკარად და ღიად მათი უფლებები და ღირსება ირღვეოდა ქვეყნის გარეთ. ხოლო ისრაელი ის სახელმწიფოა, რომელიც თავის მოქალაქეებს იცავს პლანეტის ნებისმიერ წერტილში. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ეს ირიბი გამოხმაურებაა ორი ებრაელი ბიზნესმენის დაკავებასთან დაკავშირებით.

— ***ეს გასაგებია, მაგრამ ქართულ მხარეს დავალიანება ებრაული კომპანიის მიმართ ხომ ისედაც უნდა გადაეხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში?***

— სახელმწიფოებს შორის არის ის ურთიერთობები, როდესაც, დავუშვათ, ხდება რაღაც დავალიანების გადავადება. ეს ჩვეულებრივი ამბავია იმ კეთილგანწყობიდან გამომდინარე, რაც ისრაელს აქვს ჩვენთან მიმართებაში. ის ისტორიული ურთიერთობები, ის ებრაელი ხალხის დამოკიდებულება საქართველს მიმართ, ბუნებრივია, დადებითია. ჩვენ, ყველას, კარგად გვახსოვს, როდესაც საქართველოს უჭირდა, ებრაელი ხალხი ყოველთვის ჩვენ გვერდით იყო. ძალიან აქტიურად გვლობირებდნენ კიდეც. რა თქმა უნდა, მათთვის ეს სერიოზული წყენის საბაბი იყო, როდესაც ასეთ დამამცირებელ გარემოებაში მოხდა ებრაელი ბიზნესმენების დაკავება. ჩემი აზრით, ეს სახელმწიფო დონის აფიორას ჰგავდა. როდესაც ნიკა გილაურმა ეს ბიზნესმენები ჩამოიყვანა ისრაელიდან მოსალაპარაკებლად, ხოლო ისინი ერთ-ერთ რესტორანში რაღაც ჩახლართულ სიტუაციაში ფარული კამერებით და მოსასმენი აპარატურის მეშვეობით დააპატიმრეს. რა თქმა უნდა, ამ ფაქტს არ შეიძლებოდა არ ემოქმედა ჩვენს ურთიერთობებზე. ანუ სააკაშვილი აფუჭებს იმას, რაც 26 საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბდა ჩვენსა და ებრაელებს შორის.

— ***ქართულ ჯართან დაკავშირებით რას იტყვით, წინსვლა იგრძნობა ახალაიას მინისტრობის პერიოდში? გახსოვთ, პრეტენზიები იყო რეზერვისტებთან მიმართებაში და ა.შ.***

— მე ადრეც აღვნიშნე და ახლაც მინდა გავიმეორო, რომ ყველა მინისტრმა თავი ვალდებულად ჩათვალა, ასე ვთქვათ, რეფორმა გაეტარებინა. რატომღაც თავს ვალდებულად თვლიდნენ. ყველა სამოქალაქო პირი იყო და მანამდე სამხედრო ძალებთან თითქმის არც ერთს შეხება არ ჰქონია, ბეჟაშვილის გარდა. აი, ასეთი ადამიანები როდესაც სამხედრო ძალებში მოვიდნენ, მათ ჩათვალეს, რომ ამ სფეროში დიდი სპეციალისტები და პროფესიონალები იყვნენ და ყველამ გადაწყვიტა რეფორმა ჩაეტარებინა. რა თქმა უნდა, ყველამ თავისი „კვალი" დატოვა. ბუნებრივია, აქ კარგ კვალზე არ არის საუბარი. ამ რეფორმების შედეგად მოხდა სამხედო ძალებიდან უამრავი პროფესიონალი სამხედრო კადრის დათხოვნა. იმასაც გეტყვით, რომ საერთოდ სამართლებრივი ჩარჩოებიდან ამოვარდნილად. ანუ ხდებოდა მაღალი რანგის ოფიცრების დაბარება. განსაკუთრებით მათი, ვისაც წელთა ნამსახურების მიხედვით რამდენიმე წელი ჰქონდათ პენსიამდე დარჩენილი. იმის გამო, რომ მათთვის პენსია არ გადაეხადათ, მათ აიძულებდნენ ნებაყოფლობით დაეწერათ განცხადება სამხედრო ძალებიდან წასვლის შესახებ. ვინც ამას არ აკეთებდა, მათთან მიმართებაში ხორციელდებოდა სხვადასხვა ტიპის და ფორმის ზეწოლა. ანუ მთავარი პრობლემა სამხედრო ძალებში არის საკადრო პრობლემა. 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ, თქვენ ყველამ კარგად იცით, უამრავი სამხედრო ოფიცრის გაშვება მოხდა სამხედრო ძალებიდან. ჯარში მეთაურებად ინიშნებიან ერთგულების ნიშნით. ანუ თანამდებობაზე დანიშვნისას პროფესიონალიზმზე კი არ კეთდება აქცენტი, არამედ ხელისუფლებისადმი ერთგულებაზე და იმაზე, ვინ ვისი კაცია და ვინ ვისი გარანტი იქნება. სამწუხაროდ, აი, ასეთი არმია შექმნა ფერადი რევოლუციის შემდგომ პერიოდში მიხეილ სააკაშვილმა. ხოლო რაც შეეხება ტექნიკურ აღჭურვილობას და მატერიალურ ბაზას, რა თქმა უნდა, შევარდნაძის მთავრობის დროსთან შედარებით პოზიტივი არის. ანუ სამხედრო ძალები რეგულარულად და მუდმივად იღებენ კარგ ანაზღაურებას. მე იმასაც ვიტყოდი, რომ საუკეთესო ანაზღაურებას იღებენ მინისტრები. ალბათ, აშშ-ის თავდაცვის მინისტრს არ ჰქონდა ასეთი ხელფასი, რაც საქართველოს თავდაცვის მინისტრს აქვს. ანუ სამხედრო ძალებში მატერიალური კუთხით პრობლემები აღარ არის, მაგრამ სერიოზული პრობლემა შეიქმნა საკადრო პოლიტიკის თვალსაზრისით.

— ***დაბოლოს, არაერთხელ მიუთითეს ოპოზიციურმა პარტიებმა, რომ რუსეთის მხრიდან ინტენსიურად ხდება საზღვრების გადმოწევა და ამაზე საქართველოს ხელისუფლება არ რეაგირებს. რა შეგიძლიათ თქვათ ამასთან დაკავშირებით. ეს პროცესი შეწყდა?***

— რა თქმა უნდა, საზღვრების გადმოწევა მოხდა, განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდში. ის ზონა, სადაც ჩვენ რუსეთი გვესაზღვრება, ფაქტობრივად მათ ყველგან საზღვარი გადმოწიეს. გარდა ამისა, ჩრდილო კავკასიაში მიდის სერიოზული საინჟინრო სამუშაოები. ალბათ, ჩვენი სპეციალური სამსახურები დაინტერესდებიან და გაარკვევენ, თუ რას აკეთებენ იქ. გადის გზები, რას ემსახურება, ეს ალბათ ჩვენმა მთავარობამ უნდა იცოდეს. ტერიტორიების მითვისების მცდელობა, რა თქმა უნდა, არის. ეს არავისთვის საიდუმლო არ არის. ეს განხილვის საგანი იყო ჯერ კიდევ 2008 წლის პერიოდში, რიდესაც რუსულმა მხარემ რაჭის რეგიონში, იმერეთის რეგიონში ტერიტორიები გადმოწია. რაც შეეხება იმას, თუ რატომ დუმს ამაზე საქართველოს ხელისუფლება, ფაქტია, რომ ხელისუფლება არის შეშინებული. ერთი მხრივ, სააკაშვილი თითქოს რუსეთის მთავრობას აკრიტიკებს, იძახის, რომ მათზე მან გაიმარჯვა, მაგრამ ფაქტობრივად თუნდაც იმ პერიოდში, როდესაც ფორმალურად მოხდა დიპლომატიური ურთიერთობების შეწყვეტა, რუსულმა მხარემ უამრავი სტრატეგიული ობიექტი შეიძინა. რუსული კომერციული ფირმები საქართველოში თავს პრივილეგირებულ მდგომარეობაში გრძნობენ. ამ თვალსაზრისით, ჩემი აზრით, საქმე ორმაგ სტანდარტებთან გვაქვს. იმიტომ, რომ ზუსტად მაშინ მოხდა რუსული მხარისთვის ენგურჰესის გადაცემა, როდესაც თითქოსდა დიპლომატიური ურთიერთობები იყო შეწყვეტილი რუსეთთან.

**ნათელმხილველი მანანა**
**იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბარაქაზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნერვოზის განკურნება.**
**მიღება წინასწარი შეთანხმებით!**
**მის.: მეტრო „ავლაბართან", მახათის შესახვევი N6. ტელ: 897-29-27-50.**

# „ვეფხისტყაოსნის“ ახალი ხელნაწერი შეიქმნება

**საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ინტერნეტფორუმ „ებლიტფოს“ მომხმარებელთა ინიციატივით დაიწყო ახალი პროექტი, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ 21-ე საუკუნის ხელნაწერის შექმნას ითვალისწინებს.**

ეკა ირემაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი გააგრძელებს ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებულ პროექტს — „უნიკუმური გამოცემები ბიბლიოთეკაში“. ასეთი ორი ტომი უკვე არსებობს. „ჩემი ხუთი ლექსი“, სადაც 92-მა თანამედროვე პოეტმა თვითონ შეარჩია საკუთარი ხუთი ლექსი და „ჩემი მოთხრობა“, სადაც თავისი მოთხრობა 60-მდე მწერალმა გაგზავნა. კეთდება მესამე ტომი ორ წიგნად — „ვთარგმნე“, სადაც ასევე თანამედროვე ავტორების მიერ ნებისმიერი ენიდან თარგმნილი პროზა და პოეზია შევა. „ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი“ მეოთხე ტომი იქნება. ამით ეროვნული ბიბლიოთეკა ხელნაწერთა გამოცემებს დაიწყებს. ამ პროექტის ფარგლებში დაგეგმია 21-ე საუკუნის პოეზიის გაკეთება, რომელიც გადაწერილი იქნება არა ავტორების, არამედ პოეზიის მოყვარულთა მიერ.

შოთა რუსთაველის პოემის ერთი სტროფის გადაწერა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, რომელმაც ქართული ანბანი იცის და ეს ნაწარმოები მისთვის ფასეულობას წარმოადგენს. გადამწერს შესაძლებლობა აქვს, აირჩიოს მისთვის სასურველი სტროფი. გადაწერილი სტროფები აღირიცხება და „ებლიტფოს“ გვერდზე ქვეყნდება, რაც მის გამეორებას გამორიცხავს.

პოემას არ ექნება სარჩევი, ისევე, როგორც მის სხვა ხელნაწერებს. ქვესათაურებს ერთი კალიგრაფისტი გააკეთებს, გაფორმდება ასევე მსურველთა მხრიდან შესრულებული ორიგინალი ილუსტრაციებით და იქნება ერთადერთი ეგზემპლარი, რომელიც ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეინახება.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ „ფეისბუქზე“ შექმნა ლიტერატურული გვერდი „ებლიტფო“, რომელიც დამოუკიდებელ ფორუმს წარმოადგენს და სხვადასხვა ლიტერატურულ პროექტს ახორციელებს. როგორც „ებლიტფოს“ მოდერატორი, ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე გიორგი კილაძე ამბობს, ყველაზე დიდი მოთხოვნაა სტროფზე ნესტანის წერილიდან: „ჰე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები“. ვინაიდან ეს სტროფი პირველმა უხუცესმა ბიბლიოთეკარმა ლეილა ზამბახიძემ გადაწერა, XXI საუკუნის „ვეფხისტყაოსანში“ სწორედ მისი ხელნაწერი შევა.

— პირველი ხელნაწერი კი, რომელიც საზოგადოებისგან მივიღეთ, ცნობილ მთარგმნელ ალექსანდრე ელერდაშვილს ეკუთვნის და იგი პოემის შესავალი ნაწილის სტროფია: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები...“ გადამწერთა შორის არიან ოჯახები, გვაქვს 7 წლის ბავშვის ხელნაწერიც. იმის გამო, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სრულიად საქართველოს კუთვნილებაა და იგი სიმბოლოა განათლებული, ჰუმანური იდეებით გამსჭვალული საზოგადოებისა, ეს გადამწერთა ვინაობაშიც ჩანს. მოგვდის ხელნაწერები საქართველოში მცხოვრები სომეხი, რუსი, ქურთი, პოლონელი მოქალაქეებისაც. დარწმუნებული ვართ, ამ პროექტში ჩაერთვება საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნოსის წარმომადგენელი. ხელნაწერებს გვიგზავნიან უცხოეთში მცხოვრები ქართველები და ქართველოლოგებიც. ვფიქრობთ, პოემის გადაწერა წელიწად-ნახევარში დასრულდება, — ნათქვამია ეროვნული ბიბლიოთეკის, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე გიორგი კილაძის განცხადებაში.



# 7 ათასამდე ფურცელს რესტავრაცია ჩაუტარდა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის რესტავრაციისა და მიკროფილმირების ლაბორატორიაში 2011 წლის პირველ კვარტალში სარესტავრაციო და საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდა 7000-მდე ფურცელს, 616 ფოტოპოზიტივს, 53 ტექნიკურ ნახაზს.

ამავე პერიოდში დამუშავდა და შეკეთდა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელ ნოე ჟორდანიას პირადი ფონდის საქმეების 9595 ფურცელი, დამზადდა საქმეებისათვის საჭირო 383 ყდა. რესტავრირებულ დოკუმენტთა შორისაა საისტორიო ცენტრალური არქივის ძველ საბუთთა განყოფილების მე-19 საუკუნის პერიოდის ხელნაწერი დოკუმენტები, რომლებიც სამაჩაბლოს, კერძოდ, ცხინვალისა და მისდამი დაქვემდებარებული სოფლების ისტორიას ასახავს.

ამავე პერიოდში რესტავრაცია ჩაუტარდა ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების 1208 ფურცელსა და 8 აფიშას, ასევე ცნობილი ფოტოგრაფის ნიკოლოზ სალაძის ფოტოალბომს (616 ფოტო), სადაც წარმოდგენილია მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე ქუთაისში, ალექსანდრე მიხაილოვის ფოტოატელიეში გადაღებული ეთნოგრაფიული ხასიათის სურათები.

უნიკალური მასალების რესტავრაციის ჩატარების პარალელურად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსი გამოაცხადა. შერჩეული კანდიდატები სტაჟირების კურსს 2011 წლის მაისიდან ეროვნული არქივის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში გაივლიან.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ უმაღლესი განათლების მქონე ან უმაღლესი სასწავლებლის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს. საკვალიფიკაციო მოთხოვნებია სახელმწიფო ენის, ეროვნული არქივის საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების ცოდნა და კომპიუტერთან მუშაობის უნარჩვევები.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღება ეროვნული არქივის მოქალაქეთა მისაღებში 21 აპრილამდე იწარმოებს. სტაჟიორები, რომლებიც კონკურსის შედეგების მიხედვით შეირჩევიან, 3-დან 6 თვემდე ვადით სტაჟირებას გაივლიან სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკაში, საისტორიო, უახლესი ისტორიისა და კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ არქივებსა და თბილისის არქივში.

სტაჟიორებს საშუალება ექნებათ, გაიღრმავონ თეორიული ცოდნა, ამასთან, გაეცნონ საარქივო საქმიანობის პრაქტიკულ მხარეს. პროგრამის დასრულების შემდეგ წარმატებულ სტაჟიორებს გადაეცემათ სერტიფიკატები. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება ეროვნული არქივის საიტზე შეუძლიათ.

# ნიკო გომელაურის გარდაცვალებიდან ერთი წელი გავიდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ფილმი „ნიკო... აპლოდისმენტები“ გამოგონილი გმირების გარეშეა და მასში ის რეალური ისტორიებია გაერთიანებული, რომლებიც ფართო საზოგადოებისთვის უცნობია. როგორც სცენარის ავტორი პაველ ფინი ამბობს, ეს ფილმი-აღსარებაა. ფილმში მონაწილე ადამიანები იტყვიან ნიკოზე იმას, რაც მათგან მხოლოდ მას თუ სმენია ან რისი მოსმენაც არ დასცალდა. თეატრისა და კინოს ცნობილი სახეები ამჯერად პერსონაჟებად კი არ გარდაისახებიან, არამედ საკუთარ თავს განასახიერებენ.

ნიკო გომელაურმა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი დაამთავრა, სიცოცხლის ბოლო წუთამდე მუშაობდა გრიბოედოვისა და თავისუფალ თეატრებში, იყო კოტე მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი. მისი გარდაცვალების შემდეგ კი თავისუფალი თეატრის დამაარსებელმა და რეჟისორმა ავთანდილ ვარსიმაშვილმა ნიკო გომელაურს მშობლიური თეატრის წინ ვარსკვლავიც გაუხსნა.

ნიკო გომელაურს 2009 წელს ფილტვის კიბო აღმოუჩინეს. მსახიობი 2010 წლის 13 აპრილს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 39 წლის ასაკში გარდაიცვალა. თეატრალური მოღვაწეობის პარალელურად, ხელოვანმა მოასწრო და ხუთამდე ფილმში ითამაშა — „ანემია“, „უცხო“, „ძვირფასო მ.“, „იდიოტოკრატია“ და „ყველაფერი კარგად იქნება“.

მისი გარდაცვალების შემდეგ მსახიობის მეუღლემ ნინა ჩოდრიშვილმა გამოსცა კრებული სახელწოდებით „უბრალოდ ნათქვამი“. მისი პრეზენტაცია თავისუფალ თეატრში ნიკოს დაბადების დღეს, 12 ივლისს გაიმართა. წიგნში მსახიობისა და პოეტის რჩეული ლექსები და 1999 წლიდან 2010 წლის ჩათვლით გამოქვეყნებული ინტერვიუებია დაბეჭდილი.

„ნიკო... აპლოდისმენტების“ შემდეგ კი თბილისის კინოთეატრებში კიდევ ერთი ფილმი გამოვა, რომელიც ნიკო გომელაურის ხსოვნას ეძღვნება. რეჟისორმა ავთო ვარსიმაშვილმა უკვე დაასრულა გადაღებები ფილმზე „მიდი, ძმაო, მიდი!“, რომელიც თავისუფალი თეატრისა და „ვარს-სტუდიოს“ ახალი ნამუშევარია. ეს არის ახალი ქართული კომედია, რომლის რეჟისორია ავთო ვარსიმაშვილი, ოპერატორი — მიშა მაღალაშვილი, მთავარ როლებში — აპოლონ კუბლაშვილი, ირაკლი აფაქიძე, ქეთა ლორთქიფანიძე, გოგა ბარბაქაძე, ჯაბა კილაძე, კახა მიქიაშვილი, სანდრო მარგალიტაშვილი. ნიკო გომელაურის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფილმის პრემიერას ავთანდილ ვარსიმაშვილი ფართო საზოგადოებას უახლოეს მომავალში შესთავაზებს.

ეკა ირემაშვილი

# ჩრდილების თეატრი მულტიმედიურ წარმოდგენას გამართავს

ეკა ირემაშვილი

15 აპრილს საქართველოს ჩრდილების სახელმწიფო თეატრი რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე ჯაზის საღამოს უმასპინძლებს მულტიმედიური წარმოდგენის თანხლებით. პროექტი ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება და მასში ქართველ ჯაზმენებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს ლიტველი საქსოფონისტიც.

ჩრდილების თეატრი მაყურებელს შესთავაზებს სპექტაკლს „რა საოცარი დღეა“, რომელიც მაყურებლისთვის ახლებური ინტერპრეტაციით იქნება წარმოდგენილი. მუსიკოსების ცოცხალ შესრულებას ჩაენაცვლება ლუი არმსტრონგის, ელა ფიტცჯერალდის, მაილს დევისის, ბენი გუდმენისა და სხვა ცნობილი ჯაზმენების ჩანაწერები, რომლებიც განსხეულებულნი იქნებიან ჩრდილების სახით.

სპექტაკლის რეჟისორი გელა კანდელაკია, მუსიკალური ხელმძღვანელი კი — თამაზ ყურაშვილი. პროექტში მონაწილეობენ ჯაზის მუსიკოსები: კესტუტის ვაიგინისი (საქსოფონი) ლიტვა, რეზო კიკნაძე (საქსოფონი), გია რაქვიაშვილი (ფორტეპიანო), თამაზ ყურაშვილი (ბასი), გია სალალიშვილი (დასარტყამი ინსტრუმენტები) და ჩრდილების თეატრის რვა მსახიობი.

სპექტაკლში გაცოცხლდება ამერიკული ჯაზის ისტორია. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ჩრდილების თეატრი საკუთარ წარმოდგენას ცოცხალი მუსიკის თანხლებით ითამაშებს. ჩრდილების თეატრის სპექტაკლი ჯაზმენებისა და ცოცხალი მუსიკის თანხლებით მხოლოდ ერთი დღით გათამაშდება. ბილეთის ფასი 10-12 ლარია.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)



## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

● ბათუმში, ახლად აშენებულ სახლში, 60 კვ.მ. ბინა, ევრორემონტით, ზღვის ხედით, მე-10 სართულზე. მის.: ვახტანგ გორგასლის 195. ტ.: 877-46-46-68.

## განცხადებები

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● გარანტიით, სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს და შარდსასქესო სისტემის სხვა დაავადებებს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებას და სხვა. ერთი პროცედურის მინიმალური ფასი 15 ლარი. ტელ: 899-97-85-46. ბიოენერგო-ინფორმაციული მედიცინის სპეციალისტი, რეაბილიტოლოგი ბ-ნი ლევანი.

# სამი მატჩი დიდი ბასკების რეკორდამდე

შაბათს ლეო მესიმ ბრაზილიელი რონალდოს რეკორდი გაიმეორა ერთ სეზონში გატანილი გოლების რაოდენობით — „ალმერიას" (3:1) კარში შეხვედრის ბოლო წუთზე გატანილი მისთვის 47-ე იყო ამ სეზონში ყველა საკლუბო მატჩში (29 პრიმერაში, 7 — თასზე, 8 — ჩემპიონთა ლიგაში და 3 ესპანეთის სუპერთასზე). ის, რომ არგენტინელი რონალდოს რეკორდს დაამხობს კიდეც, ეჭვიც კი არავის ეპარება — სეზონის ბოლომდე თვეზე მეტი რჩება.

მატჩისწინა პრესკონფერენციაზე ლეომ თქვა, რომ რონალდოს რეკორდმა ის მოაჯადოვა და ამიტომ ველარ გაჰქონდა გოლები (მართლაც, მას შემდეგ, რაც "არსენალის" კარში დუბლი შეასრულა, არგენტინელს თავი არ გამოუჩენია), თუმცა ჯადოს ძალა შაბათს "ალმერიასთან" მატჩში გაუვიდა, როცა ჯერ პენალტით გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი ახლო მანძილიდან "ბარსას" მე-3 გოლი შეაგდო.

რონალდოს რეკორდი 1996-97 წლების სეზონზე მოდის, ბრაზილიელმა ფორვარდმა მაშინ 47 გოლი გაიტანა. სხვათა შორის, მესიმ ეს რეკორდი მეორედ გაიმეორა — შარშანდელ სეზონში მის ანგარიშზე ზუსტად 47 გოლია. ახლა, კი ლეოს წინ 9 თამაში ესპანეთის პრიმერაში აქვს დარჩენილი.

შემდეგ ტურში ერთმანეთის წინააღმდეგ ლა ლიგის ორი საუკეთესო მეგოლე წარდგება მესი (29) კრიშტიანო რონალდოს (28) უშუალოდ მოედანზე გაეჯიბრება, რაც "კლასიკოს" კიდევ უფრო მეტ ხიბლს მატებს.

ამასობაში გაირკვა, ზუსტად რამდენ ხანს იუქმებს იძულებით "ალმერიასთან" დაშავებული ბოიან კრკიჩი. მან პირველ ტაიმში მარჯვენა მუხლის ჯვარედინი იოგები ნაწილობრივ დაიზიანა. ექიმთა თქმით, ახალგაზრდა ფორვარდის გამოჯანმრთელებას 6-დან 8 კვირამდე დასჭირდება. ასე რომ, პირველადი დასკვნა, რომ ბოიანისთვის სეზონი დასრულებულია, დადასტურდა.

არგენტინელი ხავიერ მასკერანო კი „კლასიკოს" დააკლდება — მე-17 წუთზე, ისე რომ ამის აუცილებლობა არ იყო, ყვითელი ბარათი "აიკიდა", რომელიც მისთვის მეხუთეა სეზონში. ეს კი ესპანეთში ავტომატურად ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას ნიშნავს.

ხოსეპ გვარდიოლა თამაშამდე აფრთხილებდა ყველას, რომ "ალმერიასთან" სამი ქულის დაკარგვა არაფრით არ შეიძლებოდა, ამ სამი ქულის მოპოვება კი გაჭირდებოდა. და მართლაც, აუტსაიდერმა მებრძოლი ხასიათი გამოავლინა და მეორე ტაიმში დაწინაურდა კიდეც, მაგრამ "ბარსას" ფეხბურთელებმა საოცარი შემართება გამოავლინეს და მალევე აღკვეთეს სეზონის სენსაცია. მოკლედ, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მწვრთნელი მატჩის წინ ამბობდა.

— დღეს მეტოქე ძალიან მომეწონა. მათი დაცვის ხაზი სოლიდური იყო. სულ მცირე, 15 წუთი დაგვჭირდა, სანამ თამაშის რიტმში ჩავჯდებოდით. ამის შემდეგ სიტუაციას სულ ჩვენ ვაკონტროლებდით. მაშინაც კი, როცა გაგვიტანეს, ჩვენ კარგად ვთამაშობდით. ასეთი ტიპის თამაშები ხშირად ძნელად მოსაგებია და ამ სეზონში ანალოგიურს ველი "რეალ სოსიედადთან", "ოსასუნასთან" და "ესპანიოლთან", — განაცხადა გვარდიოლამ.

ბუნებრივია, გვარდიოლას თამაშზე მეტად მომავალ "კლასიკოზე" უსვამდნენ კითხვებს, "ბლაუგრანას" ახალგაზრდა თავკაცს ამ კითხვებისთვის თავი არ აურიდებია:

— ჩინებული შანსი გვაქვს, ლიგის მოგების სერიოზული განაცხადი გავაკეთოთ. "ბერნაბეუზე" ფრეზე თამაში ჩვენი მხრიდან დიდი შეცდომა იქნება. რომც წავაგოთ, უნდა შევუტიოთ "რეალს", რადგან ამ შემთხვევაშიც კი ჩემპიონობის მოგების უკეთესი შანსი გვექნება, ხოლო თუ მეტოქეს "კლასიკოზე" დავჯაბნით, ვფიქრობ, ჩემპიონის ვინაობაც გაირკვევა. ამ ორი გუნდის თამაში არასოდეს არ არის იოლი, "რეალი" ძალზე სახიფათო გუნდია, განსაკუთრებით, როცა კონტრშეტევებზე თამაშობს, — აღნიშნა პეპმა.

სხვათა შორის, "ალმერიასთან" მატჩის დაწყებამდე არც კი იცოდა პეპმა ვის ჩააყენებდა კარში. ვიქტორ ვალდესი დისკვალიფიკაციის გამო ტოვებდა ამ თამაშს, ხოსე მანუელ პინტოს კი ტრავმა აწუხებდა. თუმცა გამოცდილმა გოლკიპერმა "ბარსა" გასაჭირში არ დატოვა და კარში მაინც ჩადგა:

— ეს სამი დღე კოჭი ძალიან მაწუხებდა, თუმცა თამაშის წინ შვება ვიგრძენი და გავრისკე თამაში. რაც მთავარია, 90 წუთი გავძელი. ისე კი, შესაძლოა, ღამე კოჭმა არც კი დამაძინოს. ლა ლიგაში ყველა გაორმაგებული ძალებით გვეთამაშება და "ალმერიას" საამისოდ სწრაფი და ტექნიკური ბიჭები ჰყავდა შეტევაში. მე გამაოცა მათმა შემართებამ, — განაცხადა პინტომ თამაშის შემდეგ.

**ანდრეს ინიესტა:**

— „ალმერიასთან" მატჩი ძალზე დაძაბული იყო, ასეთივე იქნება ყველა დარჩენილი მატჩი ჩვენთვის. როცა აგებ, ყოველთვის უფრო ძნელია, მაგრამ ჩვენ ერთი წუთითაც არ დაგვიკარგავს სიმშვიდე და მიზანს მივაღწიეთ. 8 ქულა ძალზე კარგი ჰანდიკაპია, მაგრამ ახლა "შახტართან" მატჩზე ვფიქრობ, მხოლოდ ამის შემდეგ ვიფიქრებთ, როგორ დავამარცხოთ "რეალი" "ბერნაბეუზე".

ბუნებრივია, ყველაზე დასამახსოვრებელი ეს საღამო ტიაგო ალკანტარასთვის იყო, რომელმაც თინეიჯერობის ბოლო დღეს (მეორე დღეს 20 წლის გახდა) თავით გადამწყვეტი გოლი გაიტანა. ბრაზილიელი მსოფლიოს ჩემპიონი მაზინიოს ვაჟი ორშაბათს "ბარსა ტვ-ის" პოპულარულ გადაცემა "ელ მარკადორში" მიიწვიეს. ტიაგო ამბობს, რომ მისთვის და მისი თანაგუნდელებისთვის სარეზერვო გუნდიდან, პირველ გუნდში გატარებული დრო საჩუქარივითაა, რომელიც მათ კარგი თამაშისთვის დაიმსახურეს. "სარეზერვო გუნდის ბიჭები მზად ვართ, ნებისმიერ დროს შევასრულოთ მწვრთნელის მითითებები".

— თავური გოლების სპეციალისტი ნამდვილად არ ვარ, ამ ეპიზოდში უფრო გამიმართლა, — განაცხადა ბრაზილიური წარმოშობის ესპანელმა.

# ოთარ გაბელია: „ავსტრიაში ვნახეთ, ვინ რას წარმოადგენს"



**საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ავსტრიის ოთხთა ტურნირზე საკმაოდ ცუდად გამოვიდა. ოთარ გაბელიას შეგირდებმა სამი შეხვედრა გამართეს და სამივეში დამარცხდნენ — საბოლოოდ, ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდნენ და მხოლოდ ორი გოლის გატანა შეძლეს.**

**ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოთარ გაბელიამ განვლილი ტურნირი მოკლედ შეაფასა და სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.**

**ოთარ გაბელია:**

— დავიწყებ იმით, რომ ადგილზე ძალიან კარგი პირობები გვქონდა შექმნილი მოსამზადებლად და სავარჯიშოდ. მეტოქეებიც საკმაოდ კარგი დონის გუნდები იყო. ჩვენთვის კი, უაღრესად სასარგებლო და გამოსადეგი ტურნირი გამოდგა. ყველა მონაწილე გუნდს თავისი მიზანი ჰქონდა. მაგალითად, ისრაელი ევრო 2013-სთვის ემზადება, რომლის ფინალური ეტაპის მასპინძლები თავად არიან. ჩვენი მთავარი მიზანი იყო, ნაკრების ყველა გამოძახებულ ფეხბურთელზე დაკვირვება. პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ კატასტროფული სიტუაციაა. განსაკუთრებით, დაცვის ხაზში. მეკარეების თამაშითაც არ ვარ კმაყოფილი, გაცილებით მეტს ველოდი. ამ შემთხვევაში, მე შედეგს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდი. რა თქმა უნდა, არაა სასიამოვნო, როცა ყველა თამაშს წააგებ, მაგრამ ახალი გუნდი კეთდება და ორიენტაცია ახალი ფეხბურთელების გასინჯვა□დაკვირვებაზე გვქონდა აღებული. პირველ თამაშში, ისრაელის ნაკრების წინააღმდეგ, პირველი ტაიმი 0:0 ვითამაშეთ, თუმცა, მეორე ტაიმში თითქმის მთელი შემადგენლობა შევცვალეთ და მოედანზე ახალი ფეხბურთელები შევუშვით. 20 კაცი გვყავდა წაყვანილი და ტურისტებად ხომ არ დავტოვებდით?! ეს მიზანი გვქონდა, თორემ, სულ არ შევცვლიდი შემადგენლობას და შეიძლება, არც წაგვეგო.

*— ანუ, შუახაზელებითა და შემტევებით უფრო კმაყოფილი ხართ?*

— შეიძლება ასეც ითქვას, ოღონდ, დაცვის ხაზთან შედარებით. აქაც ერთი რამ მინდა აღვნიშნო: შეიძლება, წინა ხაზის მოთამაშეები უფრო გამოცდილი ბიჭები არიან და თავიანთ კლუბებშიც აქვთ მეტ-ნაკლები სათამაშო პრაქტიკა, მაგრამ სიმართლე გითხრათ, საქმისადმი პროფესიონალურ მიდგომაში მოიკოჭლებენ. ის მონდომება და ჟინი ვერ შევატყვე, რაც სპორტსმენისთვის აუცილებელია. მარტო თამაშებზე და ვარჯიშებზე არ მაქვს საუბარი... ზოგიერთს ჰგონია, რომ უკვე დიდი ფეხბურთელია და ამგვარ დამოკიდებულებაშია პრობლემა. დისციპლინა საკმაოდ მაღალ დონეზეა გუნდში და ზედმეტების უფლებას არავის მივცემ. სულ ვეუბნები, რომ ეს ვარსკვლავური თავაწეულობა ჯერ ძალიან ადრეა. მათი კარიერა ახლა იწყება და სწორედ ახლაა საჭირო თავაუღებელი შრომა.

*— რომელ თამაშში გაგიჭირდათ ყველაზე მეტად?*

— სიმართლე გითხრათ, საკმაოდ შეფიქრიანებული ვიყავი ბოლო თამაშის წინ. რუმინეთის ნაკრები ძალიან კარგი გუნდია და ეს ოთხთა ტურნირი მოიგეს კიდეც. იქედან გამომდინარე, რა თამაშიც პირველ ორ შეხვედრაში ვაჩვენეთ, მეშინოდა, დიდი ანგარიშით არ წაგვეგო. თუმცა, ისე მოხდა, რომ ვიგებდით და ფაქტიურად, ბოლო 15 წუთში წავაგეთ თამაში; დაცვაში დაშვებული სულელური შეცდომების გამო. იყო მომენტი, როცა მსაჯმაც გააზვიადა და პენალტი დანიშნა, მაგრამ ვიმეორებ, რომ ჩვენივე შეცდომების გამო დავმარცხდით. მანამდე ჯერ რუმინელებს გაუძევეს ფეხბურთელი, მერე მსაჯთან შეკამათების გამო, კაკუბავაც „გააწითლეს". მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ წაუგებელი წავაგეთ. არადა, მანამდე საკმაოდ გამართულად ითამაშეს. ვერც ერთ თამაშზე ვერ ვიტყვი, რომ მოწინააღმდეგემ გადაგვიარა. სამივე თამაშში მსგავსი შეცდომები განმეორდა, ჩემი დავალება არ შეასრულეს, აირივნენ და ერთმანეთზე უფრო სულელური გოლები გავუშვით. შემიძლია გითხრათ, რომ იმ შემადგენლობიდან, ვინც იქ გვყავდა წაყვანილი, ალბათ, ნახევარიც ველარ მოხვდება განაცხადში. იმ აწყობილ და შეთამაშებულ გუნდებთან ძალიან კარგად გამოჩნდა ამათი სისუსტეები.

*— სულ უფრო ცოტა დრო რჩება შესარჩევი ციკლის დაწყებამდე. მზადებას როგორ გააგრძელებთ?*

— საფიქრალი და საზრუნავი, მართლაც, ძალიან ბევრი გვაქვს. მოსაძიებელი გვყავს უკეთესი ფეხბურთელები. დაგეგმილ ამხანაგურ შეხვედრებთან დაკავშირებით თუ არაფერი შეიცვლება, ძალიან კარგი იქნება, რადგან რამდენიმე ახალი ფეხბურთელის გამოცდასაც მოვასწრებთ. მთელი უბედურება ისაა, რომ საქართველოს ჩემპიონატში მოწონებული ფეხბურთელების დონე საერთაშორისო ასპარეზზე საკმარისი არაა. თვითონ ფეხბურთელებიც სერიოზულად უნდა მოეკიდონ საქმეს. ასე არ შეიძლება, მინიმალურით კმაყოფილდებიან. პროფესიონალურ მიდგომებს თუ არ შეეჩვივნენ, დიდ ფეხბურთს ვერ ითამაშებენ და ძალიან გაუჭირდებათ.

*— შეკრება ხომ არ გაქვთ დაგეგმილი?*

— დიდ შეკრებას ვერ დავგეგმავთ, შეუძლებელია. ყველას თავ□თავის კლუბებში აქვთ სათამაშო და ფეხბურთელებს არავინ გამოუშვებს. თუმცა, 3 ივნისამდე ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ერთად დავჯდებით და გეგმას შევიმუშავებთ, რომ ხორვატიაში წასვლამდე ერთკვირიანი შეკრება მაინც გავაკეთოთ. მაისის ბოლოს, თითქმის ყველა ჩემპიონატი მთავრდება და ნაკრების კანდიდატები რომ არ შევკრიბოთ, სულ ამოვარდებიან ფორმიდან. გულწრფელად რომ გითხრათ, ამ გუნდით ჯგუფიდან გასვლა ძალიან გაგვიჭირდება, თუმცა, უიმედოდ ნამდვილად არ ვართ. რაც მთავარია, ნეტავ ის შევძლოთ, რომ პირველ ნაკრებს 1-2 ფეხბურთელი მაინც მოვუმზადოთ და მივაწოდოთ. სირთულეების მიუხედავად, ვეცდებით, ჯგუფიდან გასვლაზეც ვიბრძოლოთ.

# ალვარო არბელოა: „ლივერპულს" რომ მოენდომებინა, გუნდს არ დავტოვებდი

ესპანეთის ეროვნული ნაკრების მცველი ალვარო არბელოა, ინგლისური „ლივერპულიდან" მადრიდის „რეალში" 2 წელია გადავიდა, მაგრამ მაინც რჩება ინგლისელ გულშემატკივრების საყვარელ ფეხბურთელად.

გარდიანის ჟურნალისტი არბელოას ინგლისში გატარებულ პერიოდზე ესაუბრა. ფეხბურთელმა იმ მიზეზების გარკვევაც სცადა, რის გამოც იმავე □„ლივერპულის"□ გულშემატკივრებმა ლონდონის „ჩელსიში" გადასული ესპანელი ფორვარდი, ფერნანდო ტორესი მოიძულეს. ასევე ისაუბრა „ბარსელონას" არგენტინელ შემტევ ლიონელ მესისთან ურთიერთობაზე. მომავალ ტურში, არბელოას „რეალს" სწორედ „ბარსელონასთან" ელის შეხვედრა და 28 წლის მცველი ერთ-ერთ იმ ფეხბურთელად მიიჩნევა, რომელსაც არგენტინელის თამაშიდან გათიშვა საუკეთესოდ ეხერხება.

*— თქვენ ერთ-ერთი ხართ იმ ფეხბურთელთაგან, რომელსაც მესის წინააღმდეგ თამაში გამოსდის. თქვენი მოძრაობები სხვა მცველებმა რომ გაიმეორონ, ისინიც შეძლებენ „ბარსელონას" ლიდერის გაუვნებელყოფას?*

— მთავარი სირთულე ისაა, რომ მესი ახლა სრულიად განსხვავებულ სტილში თამაშობს. ის მხოლოდ ფლანგის მოთამაშე აღარაა და მთელს მოედანზე ძალიან ბევრს მოძრაობს. ჩემი მეთოდი მხოლოდ ისაა, რომ მას ყველგან ვსდიო და ეს კარგად გამომდის. მის წინააღმდეგ ორჯერ ვითამაშე და ორივე თამაშით კმაყოფილი დავრჩი.

*— ამბობთ, რომ მესის მთელს მოედანზე დასდევთ. თამაშის დროს მასთან თუ საუბრობთ?*

— ვისთან ვისთან და მესისთან საუბრის წამოწყება ძალიან რთულია. ის ჩუმი ადამიანია და სიტყვას ვერ დააცდევინებ. ორივე მატჩის განმავლობაში, ერთმანეთისთვის სიტყვაც არ გვითქვამს. მეც არ ვეკუთვნი იმ ფეხბურთელთა რიცხვს, რომლებიც თამაშის დროს ბევრს საუბრობენ და ცეცხლზე ნავთს ასხამენ. მატჩზე იმდენად ვარ კონცენტრირებული, რომ თავს საუბრით გართობის უფლებას არ ვაძლევ.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ლივერპული-სიტი ........ 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 32 | 20 | 9 | 3 | 70:32 | 69 |
| 2.არსენალი | 31 | 18 | 8 | 5 | 62:30 | 62 |
| 3.ჩელსი | 31 | 17 | 7 | 7 | 55:25 | 58 |
| 4.სიტი | 32 | 16 | 8 | 8 | 50:30 | 56 |
| 5.ტოტენჰემი | 31 | 14 | 11 | 6 | 44:36 | 53 |
| 6.ლივერპული | 32 | 14 | 6 | 12 | 45:38 | 48 |
| 7.ევერტონი | 33 | 10 | 14 | 8 | 45:41 | 44 |
| 8.ბოლტონი | 32 | 11 | 10 | 11 | 46:43 | 43 |
| 9.ნიუკასლი | 32 | 10 | 9 | 13 | 48:47 | 39 |
| 10.ვესტ ბრომ. | 32 | 10 | 9 | 13 | 46:59 | 39 |
| 11.ფულემი | 32 | 8 | 14 | 10 | 36:36 | 38 |
| 12.სტოკი | 32 | 11 | 5 | 16 | 39:42 | 38 |
| 13.სანდერლ. | 33 | 9 | 11 | 13 | 37:48 | 38 |
| 14.ას. ვილა | 32 | 9 | 10 | 13 | 40:53 | 37 |
| 15.ბირმინგემი | 30 | 7 | 14 | 9 | 30:41 | 35 |
| 16.ბლექბერნი | 32 | 9 | 8 | 15 | 40:52 | 35 |
| 17.ბლექპული | 32 | 9 | 6 | 17 | 46:66 | 33 |
| 18.ვესტ ჰემი | 32 | 7 | 11 | 14 | 38:56 | 32 |
| 19.ვულვზი | 32 | 9 | 5 | 18 | 36:56 | 32 |
| 20.უიგანი | 31 | 6 | 13 | 12 | 29:49 | 31 |

**იტალია. სერია ბ**

მოდენა-ატალანტა ........ 1:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სარაგოსა-ხეტაფე ........ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 31 | 27 | 3 | 1 | 85:16 | 84 |
| 2.რეალი | 31 | 24 | 4 | 3 | 72:22 | 76 |
| 3.ვალენსია | 31 | 18 | 6 | 7 | 51:35 | 60 |
| 4.ვილიარეალი | 31 | 16 | 6 | 9 | 48:36 | 54 |
| 5.სევილია | 31 | 13 | 7 | 11 | 48:46 | 46 |
| 6.ატლეტიკო | 31 | 13 | 6 | 12 | 48:41 | 45 |
| 7.ბილბაო | 31 | 14 | 3 | 14 | 47:45 | 45 |
| 8.ესპანიოლი | 31 | 14 | 2 | 15 | 38:43 | 44 |
| 9.ლევანტე | 31 | 11 | 6 | 14 | 34:41 | 39 |
| 10.მალიორკა | 31 | 11 | 6 | 14 | 33:42 | 39 |
| 11.ხიხონი | 31 | 9 | 11 | 11 | 29:35 | 38 |
| 12.ოსასუნა | 31 | 9 | 8 | 14 | 36:37 | 35 |
| 13.სოსიედადი | 31 | 11 | 2 | 18 | 40:54 | 35 |
| 14.დეპორტივო | 31 | 8 | 11 | 12 | 25:40 | 35 |
| 15.ხეტაფე | 31 | 9 | 7 | 15 | 42:51 | 34 |
| 16.რასინგი | 31 | 9 | 10 | 12 | 31:45 | 34 |
| 17.სარაგოსა | 31 | 8 | 9 | 14 | 31:44 | 33 |
| 18.ერკულესი | 31 | 8 | 6 | 17 | 28:48 | 30 |
| 19.მალაგა | 31 | 8 | 6 | 17 | 39:62 | 30 |
| 20.ალმერია | 31 | 5 | 11 | 15 | 32:54 | 26 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბოხუმი-ჰერტა ........ 0:2

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ტური-აიაჩო ........ 2:2

**ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი**

კამბური-დენ ბოსხი ........ 2:2

**პორტუგალია. ა ლიგა**

ბრაგა-გიმარაეში ........ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 26 | 24 | 2 | 0 | 61:11 | 74 |
| 2.ბენფიკა | 26 | 18 | 1 | 7 | 53:25 | 55 |
| 3.ბრაგა | 26 | 13 | 4 | 9 | 44:31 | 43 |
| 4.სპორტინგი | 26 | 11 | 9 | 6 | 36:26 | 42 |
| 5.ნაციონალი | 26 | 9 | 8 | 9 | 23:28 | 35 |
| 6.გიმარაეში | 26 | 9 | 7 | 10 | 29:35 | 34 |
| 7.ფერეირა | 26 | 8 | 9 | 9 | 25:37 | 33 |
| 8.მარიტიმუ | 26 | 8 | 8 | 10 | 32:27 | 32 |
| 9.რიუ ავე | 26 | 9 | 6 | 11 | 30:28 | 33 |
| 10.ლეირია | 26 | 8 | 6 | 12 | 21:34 | 30 |
| 11.ბეირა მარი | 26 | 7 | 11 | 8 | 30:30 | 32 |
| 12.ოლჰანენსე | 26 | 6 | 10 | 10 | 20:31 | 28 |
| 13.აკადემიკა | 26 | 7 | 7 | 12 | 30:41 | 28 |
| 14.სეტუბალი | 26 | 6 | 9 | 11 | 24:36 | 27 |
| 16.ნავალი | 26 | 5 | 8 | 13 | 25:44 | 23 |
| 15.პორტიმორ. | 26 | 4 | 7 | 15 | 25:44 | 19 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ტომი-ანჟი ........ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ვოლგა | 4 | 3 | 0 | 1 | 8:2 | 9 |
| 2.ზენიტი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 8 |
| 3.კრასნოდარი | 4 | 2 | 2 | 0 | 4:1 | 8 |
| 4.რუბინი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:1 | 7 |
| 5.ყუბანი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| 6.დინამო | 4 | 2 | 0 | 2 | 6:7 | 6 |
| 7.ცსკა | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| 8.ნალჩიკი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | 5 |
| 9.ანჟი | 4 | 1 | 2 | 1 | 1:2 | 5 |
| 10.როსტოვი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 4 |
| 11.კრ.სოვეტ. | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| 12.ლოკომოტ. | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| 13.ტერეკი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:3 | 4 |
| 14.ამკარი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 4 |
| 15.სპარტაკი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:7 | 4 |
| 16.ტომი | 4 | 0 | 1 | 3 | 0:5 | 1 |

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

სპარტა-სლავია ........ 2:0

**დანია. სასლიგა**

ლუნგბიუ-ესბიერგი ........ 1:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

კალმარი-დიურგარდენი ........ 3:2

მალმიო-ჰალმშტადი ........ 3:1

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ვიკინგი-მიოლდე ........ 2:2

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

ატლანტა-მაიამი ........ 90:98

ზაზა ფაჩულია: 9 ქულა, 5 მოხსნა

ვაშინგტონი-ბოსტონი ........ 95:94(ოტ)

ნიუ ჯერსი-შარლოტი ........ 103:105

ფილადელფია-ორლანდო ........ 85:95

დეტროიტი-კლივლენდი ........ 101:110

მილუოკი-ტორონტო ........ 93:86

ნიუ ორლეანი-იუტა ........ 78:90

ჰიუსტონი-დალასი ........ 91:98(ოტ)

დენვერი-გოლდენ სტეიტი ........ 134:111

საკრამენტო-ოკლაჰომა ........ 112:120

ფინიქსი-მინესოტა ........ 135:127(ოტ)

### ჩოგბურთი

**ატპ. მონტე კარლო. თიხა**

რობრედო-დოდიგი ........ 6:4;6:2

ჟილი-სტახოვსკი ........ 6:1;6:3

შტეპანეკი-ბაგდატისი ........ 3:6;6:1;7:6

დავიდენკო-ჰაასი ........ 5:7;6:4;4:6

მონაკო-ცონგა ........ 6:4;3:6;2:6

ჩილიჩი-ვოლანდრი ........ 6:2;6:1

ნიემინენი-ბენეტო ........ 4:6;6:3;7:6

სიმონი-ბელუჩი ........ 6:3;6:2

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

მინესოტა-დალასი ........ 5:3

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# თბილისის მოდის კვირეული იწყება

დასაწყისი მე-12 გვერდზე




ჩვენება. თბილისის მოდის კვირეულის ორგანიზატორები საპატიო სტუმრებთან ერთად მოდის კრიტიკოსებს, ბაიერებს, ჟურნალისტებსა და ცნობილ ფოტოგრაფებსაც ელოდებიან. ქართველი დიზაინერები ცდილობენ, წლევანდელ მოდის კვირეულზე რადიკალურად განსხვავებული კოსტიუმები წარმოადგინონ და მათი ხედვა ორიგინალური იყოს. თაკო ჩხეიძის განცხადებით, თბილისს ეწვევიან საზღვარგარეთ უკვე წარმატებით მოღვაწე ქართველი დიზაინერებიც — ანა მიმინოშვილი მოსკოვიდან ჩამოვა, გიორგი შალაშვილი — დანიიდან, ხოლო დემნა გვასალია — პარიზიდან.

როგორც მემოდელეები აცხადებენ, წლევანდელი მოდის ტენდენციები აბსოლუტურ თავისუფლებას აძლევს ჩაცმის მოყვარულთ და ამიტომ ფერების შეხამებაც კი არაორდინარულია. თუმცა, ქართველ დიზაინერთა უმეტესობა შემოდგომისა და ზამთრის კოლექციებს მაინც მუქ ფერებში ხედავს.

თბილისის მოდის კვირეულის ორგანიზატორთა თქმით, ბევრი ახალბედა დიზაინერი, რომლებიც გასულ წელს ნამდვილი აღმოჩენა გახდნენ და დიდი მოწონებაც დაიმსახურეს, წელს უკვე მთავარ სიაში არიან გადაყვანილი. მათ შორის გამორჩეულია გიორგი ქებურია, რომელმაც შარშან მოდის კვირეულის სტუმრებიცა და მასპინძლებიც აღფრთოვანებული დატოვა.

თბილისის მოდის კვირეული „შერატონ მეტეხი პალასში“ 3 მაისს გაიხსნება, უკვე 4 მაისს კი სპეციალური კონკურსი გაიმართება, რომელიც სილამაზის კონკურსისათვის საუკეთესო მოდელებს შეარჩევს. კონკურსის „FORD MODELS SUPERMODELSOF THE WORLD" სამოდელო სააგენტო „ჯეომოდელსი“ ოფიციალური პარტნიორია. ეს კონკურსი 1980 წლიდან არსებობს და ამდენი წლის განმავლობაში არაერთი ტოპმოდელი აღმოაჩინა. ლამაზმანებს კონკურსის ორგანიზატორები მსოფლიოს 50 ქვეყანაში ეძებენ და საუკეთესოებს საკმაოდ სარფიან კონტრაქტებს სთავაზობენ. შერჩეულთა შორის მხოლოდ 4 საუკეთესო დასახელდება, რომლებიც ფულად ჯილდოებს მიიღებენ. უკვე ცნობილია, რომ პირველი ადგილის მფლობელი 250.000 დოლარს მიიღებს, მეორე ადგილზე გასულს 150.000 დოლარი გადაეცემა, მესამე ადგილზე გასულს — 100.000 დოლარი, ხოლო მეოთხე ადგილზე გასულს — 75.000 დოლარი. კონკურსში გამარჯვებულები კონტრაქტის საფუძველზე მსოფლიოში ცნობილ და წამყვან დიზაინერებთან, ჟურნალისტებთან, ფოტოგრაფებთან და ბრენდებთან იმუშავებენ.

ამ კონკურსის შესარჩევი ეტაპი უკვე დაწყებულია. კონკურსი ჩატარდება თბილისის მოდის კვირეულის ფარგლებშიც 4-7 მაისის ჩათვლით. გამარჯვებული ნიუ იორკში გაემგზავრება, სადაც ფინალურ კონკურსში მიიღებს მონაწილეობას. ამ კონკურსში მონაწილეობის მსურველთა ვადა 15 აპრილს იწურება. ვინაიდან კონკურსის ოფიციალური პარტნიორი საქართველოში თაკო ჩხეიძის სამოდელო სააგენტო „ჯეომოდელსია“, მსურველებმა სწორედ ამ სააგენტოს უნდა მიმართონ. ეს კონკურსი საქართველოში პირველად ტარდება.

თბილისის მოდის კვირეული 8 მაისს საზეიმოდ დაიხურება.

**თაკო ჩხეიძე, „ჯეომოდელსის“ ხელმძღვანელი:**

— ჩვენი წლევანდელი თბილისის მოდის კვირეული მეტად მრავალმხრივია. გარდა ახალი და ორიგინალური კოლექციების გაცნობისა, ჩვენი კვირეულის სტუმრები ნახავენ აქსესუარების გამოფენას, მოეწყობა მასტერკლასები, შოურუმები. ველოდებით საპატიო სტუმრებსაც, ცნობილ ფოტოგრაფსა და ფრანგ მუსიკოსს. ჩვენი მასპინძელი სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასია“, რომელიც წელს იუბილარია. თბილისის მოდის კვირეული სწორედ ამ სასტუმროს დაბადების დღეზე გაიხსნება და მის 20 წლის იუბილეს ასე გრანდიოზულად შევხვდებით.

***— როგორია საქართველოში მოწვეულ სტუმართა სია?***

— ჩვენ ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი ფიგურა მოვიწვიეთ, რომლებიც მსოფლიო მოდაში თავიანთ სათქმელს ამბობენ. პირობას გაძლევთ, რომ თბილისის მოდის კვირეული მოსულ საზოგადოებას ბევრ სიურპრიზს შესთავაზებს. ქართველ დიზაინერებთან ერთად მოდის კვირეულის ფარგლებში ფრანგი ბექსთეიჯის ფოტოგრაფი ვინსენტ ლაპარტინტი და ასევე ფრანგი მუსიკოსი ალექსანდრ მაქსველი იმუშავებენ. დამეთანხმებით, რომ დიზაინერისთვის ძალიან მნიშვნელოვანია გემოვნებიანი მუსიკა, რაშიც ჩვენ დავეხმარებით და მათთვის ჩამოგვყავს ეს ადამიანი. რაც შეეხება ფოტოგრაფს, ის პარიზის მოდის კვირეულის ფარგლებში შანელის, ივ სენ ლორანის, დიორისა და სხვა მრავალი ცნობილი დიზაინერის ბექსთეიჯებში იღებდა.

***— რაც შეეხება კონკურსს, რომელიც საქართველოში პირველად ჩატარდება...***

— ეს ძალიან მნიშვნელოვანი კონკურსია და მასში მონაწილეობა ალბათ ნებისმიერ ადამიანს ენდომება. ჩვენი სააგენტო „ჯეომოდელსი“ მისი ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში. კვირეული სწორედ მსოფლიოში პოპულარული სამოდელო კონკურსის შესარჩევი ტურით დაიხურება, რომელიც საქართველოში პირველად გაიმართება. ამ კონკურსის ორგანიზატორები საქართველოთიც დაინტერესდნენ და 50 ქვეყანასთან ერთად ჩვენთანაც იწყებენ ახალი სახეების ძიებას. მოკლედ, კვირეულზე მოსულ სტუმრებს ძალიან ბევრ სიახლეს ვპირდებით.

**მაკა ყუბუსიძე, თბილისის მოდის კვირეულის ორგანიზატორი:**

— ჩვენთვის ეს კვირეული მეტად მნიშვნელოვანია. ყველა დღეს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასი“ უმასპინძლებს. ჩვენებები ჩატარდება ყველგან, ათვისებული გვექნება როგორც ჰოლი, ასევე წვეულებათა დარბაზები, ეზო. ფოიეში მოეწყობა აქსესუარების გამოფენა. ჩვენებები გაიმართება თბილისის მოდის კვირეულის კარავშიც. კვირეულის გახსნის ღონისძიება შედგება ფოიეში, რესტორან „ნარიყალაში“, აუზთან. ძალიან დატვირთული, საინტერესო და მნიშვნელოვანი კვირეულია. ველოდებით საპატიო სტუმრებს. ასე რომ, ჩვენი კვირეული ყველასთვის საინტერესო უნდა იყოს.

***— ძირითადი ჩვენებები მხოლოდ სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ იქნება?***

— თბილისის მოდის კვირეულის ძირითადი ჩვენებები სასტუმრო „შერატონში“ ჩატარდება, თუმცა, იქნება ალტერნატიული და სხვა საინტერესო ადგილებიც. შემდგარი თუ დამწყები დიზაინერებისთვის, მოდელებისა და ამ სფეროს სხვა წარმომადგენლებისთვის თბილისის მოდის კვირეული არის ღონისძიება, რომლის ფარგლებში მათ შეუძლიათ, საკუთარი თავი და შესაძლებლობები წარმოაჩინონ.

**ტონი ტოშევი, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასის“ გენერალური დირექტორი:**

— ჩვენთვის ორმაგად სასიხარულოა, რომ ასეთ მნიშვნელოვან ღონისძიებას ვმასპინძლობთ და თან ჩვენი სასტუმროს 20 წლის იუბილეს ვზეიმობთ. სასტუმრო მთლიანად თბილისის მოდის კვირეულის ორგანიზატორთა განკარგულებაში იქნება. მაქსიმალურად შევეცდებით, ყველაფერმა უმაღლეს დონეზე ჩაიაროს და ყველა სტუმარი კმაყოფილი დარჩეს.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. პოპულარული არომატული მატონიზირებელი სასმელი; 2. საყანედ გაკაფული ტყის ზოლი; 3. მსუბუქი ავტომობილის ძარის ერთ-ერთი ტიპი; 4. პატარა მდინარე; 5. თბილისელი სახალხო მკურნალი, დასტაქარი; 6. ემილ ზოლას რომანი; 7. გემის სამზარეულო; 10. დედალი ჯიხვი; 11. გადაჭარბებული სიყვარული ყველაფერი ფრანგულისა; 12. ავტოდრომი საფრანგეთში; 13. ტბა თბილისში; 16. იოსებ სტალინის ლიტერატურული ფსევდონიმი; 18. ძველი დროის დამახასიათებელი ნიშნები; 19. ცხარე საწებელი; 21. მთიდან დაცურებული თოვლის დიდი მასა; 24. ვინჩენცო ბელინის ოპერა.

**თარაზულად:** 1. უძველესი ქართული ხალხური სანახაობითი თამაში-წარმოდგენა; 3. სხივურ-კვანტური გენერატორი; 8. ბეტონიტური თიხის საბადო გურიაში; 9. პოპულარული ბალნეოლოგიური კურორტი საფრანგეთში; 14. გარითმული აფორიზმი; 15. კომბინაცია პრეფერანსში; 17. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული საბერძნეთში; 20. მუსლიმანთა ლოცვა, რომელიც დღეში ხუთჯერ სრულდება; 22. ზოდიაქოს ნიშანი; 23. ფაკულტეტის ხელმძღვანელი უმაღლეს სასწავლებელში; 25. პირველი ზანგი ჩოგბურთელი მამაკაცი, რომელმაც უიმბლდონის ტურნირი მოიგო; 26. ფულის საერთაშორისო ერთეული; 27. წითელი ფერის ძვირფასი ქვა; 28. თბილისელი გიტარისტი, მომღერალი, კომპოზიტორი, პოეტი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფიტი; 2. ქერჩი; 3. ამირა; 4. ბანგი; 5. ტოლედო; 6. კარამელი; 8. ილუმინაცია; 10. გიბრალტარი; 11. მინიატიური; 14. კვაისა; 15. „როგანი“; 16. კუპრი.

**თარაზულად:** 1. ფუნქცია; 4. ბოტანიკა; 7. „ტატრა“; 9. განგი; 12. „ბოჟოლე“; 13. ფუქსი; 14. კათეტი; 17. „ფაუსტი“; 18. ემანსიპაცია; 19. მაყვალი; 20. ტიტანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჯეკი; 2. ინა; 3. რაფინადი; 4. პო; 5. კანონადა; 6. ჯარა; 7. „შარდონე“; 10. ბარი; 11. სიურპრიზი; 12. კაროლინა; 13. ფეტა; 16. ტროფეი; 18. სალიამი; 19. ოფორტი; 21. შტილი; 24. დაზგა.

**თარაზულად:** 1. ჯამბაზი; 3. როკაპი; 8. თამაშა; 9. კობე; 14. არავა; 15. სევანი; 17. რაჯა; 20. დეპეშა; 22. დრაჟე; 23. ფოლადი; 25. ლია; 26. ფინო; 27. ლიპი; 28. ზანზალაკი.

# ამერიკელებმა საზღვაო ლაზერი გამოსცადეს

აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებმა წარმატებით გამოსცადეს ახალი მძლავრი ლაზერი და მისი საშუალებით სამიზნე-ხომალდი დააზიანეს.

მსგავსი ლაზერული ქვემეხები წარსულში მხოლოდ ხმელეთზე იყო გამოცდილი, რადგან მიაჩნდათ, რომ ზღვის ნოტიო ჰაერი ლაზერის იმპულსის ენერგიის შემცირებას იწვევდა.

ამჯერად მეცნიერებმა მეტი ენერგია გამოიყენეს და სამიზნე ხომალდის ძრავა კალიფორნიის ნაპირებთან დააზიანეს. მომავალში ამ ტიპის ლაზერულ ქვემეხებს ამერიკულ კრეისერებსა და ნაღმოსნებზე დაამონტაჟებენ.

მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება მცირე ზომის სარაკეტო და სატორპედო კატარღებისაგან, აგრეთვე ფრთოსანი რაკეტებისაგან, უპილოტო თვითმფრინავებისა და ბალისტიკური რაკეტებისაგან თავდაცვის მიზნით.

გარდა ამისა, ნაკლები სიმძლავრის ლაზერის გამოყენება შესაძლებელია მეკობრეების, ტერორისტებისა და კონტრაბანდისტების წინააღმდეგ.

ამ ლაზერისადმი ინტერესი მრავალმა სანაოსნო კომპანიამ გამოხატა. ასე მაგალითად, კონცერნმა „ბიეიიმ“ 2010 წელს შეიმუშავა ოპტიკური დიაპაზონის ლაზერი, რომელსაც ადამიანში დროებითი სიბრმავის გამოწვევა შეუძლია. მის გამოყენებას ასევე მეკობრეების წინააღმდეგ აპირებდნენ. მისი გამოცდა კვლავაც გრძელდება.

ამერიკელმა მკვლევარებმა ინტერნეტში გამოაქვეყნეს ლაზერის გამოცდის ვიდეოჩანაწერი. ჩანაწერიდან ჩანს, რომ ცეცხლი ჯერ ნავის ერთ ძრავას ედება, შემდეგ კი მთელ ნავს ეკიდება.

როგორც ჩანს, ვიდეოჩანაწერიდან სპეციალურად არის ამოჭრილი კადრები, რათა ცნობილი არ ყოფილიყო, თუ რა მანძილიდან განხორციელდა ლაზერული ქვემეხის გამოცდა.

მხოლოდ ის ითქვა, რომ ეს მანძილი კილომეტრებით იზომება.

საბრძოლო ლაზერების გამოცდას აშშ 1970-იანი წლებიდან აწარმოებს. წარსულში პროტოტიპები იყენებდნენ ენერგიის ქიმიურ წყაროებს, ბოლო დროს მიმდინარეობდა ლაზერების გამოცდა, სადაც ენერგიას მყარი სხეული ასხივებდა. მაღალენერგეტიკულ ლაზერებს დღემდე სარაკეტო თავდაცვისა და სახმელეთო სამიზნეების დასაზიანებლად იყენებდნენ. გამოცდების ბოლო სერიამ ლაზერების მეტი შესაძლებლობების დემონსტრირება მოახდინა.

**გ.თ.**

# ალვარო არბელოა: „ლივერპულს“ რომ მოენდომებინა, გუნდს არ დავტოვებდი

დასაწყისი მე-9 გვერდზე

***— შეძლებდა ლიონელი მესი ინგლისში თამაშს და ბრიტანული ცივი, ნესტიანი ჰაერით დატკბობას?***

— ალბათ, მესი შეძლებდა და ალბათ, ის ერთადერთია, ვინც ამას მოახერხებდა. ინგლისში თამაში რომ ძალიან რთულია, ეჭვი არავის ეპარება. მრავლად არიან ისეთი ფეხბურთელები, ძალიან ტექნიკურები, რომლებიც პრემიერლიგის კლუბებში გადავიდნენ, მაგრამ სულაც არ ბრწყინავდნენ, რადგან ადაპტაცია ვერ გაიარეს.

***— რა როლი შეასრულა თქვენს ცხოვრებაში ინგლისში და ინგლისურ ფეხბურთში გატარებულმა წლებმა?***

— ამ პერიოდმა დაუვიწყარი შთაბეჭდილებები დამიტოვა. ინგლისი დამეხმარა ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში. ძალიან მომწონს ის, თუ როგორ ცხოვრობენ იქ გულშემატკივრები ფეხბურთით. ინგლისში ყველა ფეხბურთით ცხოვრობს. ძალიან დიდი გამოცდილება შევიძინე და ყველას ვურჩევდი, რომ საკუთარი შესაძლებლობები იქ მოესინჯა.

***— თუ ასეა, ინგლისი რატომ დატოვეთ?***

— საქმე ისაა, რომ „ლივერპულის“ ხელმძღვანელობასთან ახალი კონტრაქტის პირობები ვერ შევათანხმე, ამ დროს ჩემით მადრიდის „რეალი“ დაინტერესდა და მეც იქ გადავედი. აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდში „ლივერპულმა“ ჯონსში 17 მილიონი გირვანქა გადაიხადა და აქ ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა. სხვა გამოსავალი აღარ იყო. „ლივერპულს“ რომ ჯონსთან კონტრაქტი არ გაეფორმებინა, ვფიქრობ, ინგლისში აუცილებლად დავრჩებოდი.

***— მიუხედავად იმისა, რომ „ლივერპულში“ აღარ თამაშობთ, ამ გუნდის გულშემატკივრებში ძველებურად პოპულარობით სარგებლობთ.***

— დიახ, ეს ასეა, მაგრამ, ვფიქრობ, მე მათგან ასეთი დიდი ყურადღება არ დამიმსახურებია. მაგალითისთვის, ხაბი ალონსო ავიღოთ, რომელმაც ლივერპულში მთელი ხუთი წელიწადი გაატარა და მისი გულისცემა გახლდათ. ბოლო სეზონში ის „ლივერპულის“ შემადგენლობაში საუკეთესო იყო. როდესაც მან გუნდი დატოვა, ის „ლივერპულს“ უფრო მეტად დააკლდა, ვიდრე ტორესი. აი, ესაა დამსახურება. მე ამ გუნდის შემადგენლობაში სულ რაღაც ორნახევარი წელიწადი გავატარე, მაგრამ ვაღიარებ — ასეთი დამოკიდებულება ძალიან მსიამოვნებს.

***— თქვენ და ხაბი ალონსოს, გუნდის გულშემატკივრები ახლაც დიდ პატივს გცემენ, აი, ფერნანდო ტორესის შემთხვევაში კი სულ სხვა სიტუაციაა.***

— როგორც არ უნდა თქვა, გულშემატკივრისთვის ზოგიერთი ჩვენი გადაწყვეტილება გაუგებრად რჩება და ეს განსაკუთრებით „ლივერპულის“ გულშემატკივრებს ეხებათ, რომლებსაც მუდამ გამარჯვება სწყურიათ. შესაძლოა, ტორესი „ჩელსის“ ნაცვლად „ინტერში“ რომ გადასულიყო, გულშემატკივრებს ასეთი მძაფრი რეაქცია არ ჰქონოდათ. შესაძლოა, საქმე არც მთლად ასეა... გასათვალისწინებელია ის მომენტიც, თუ როგორ გააფორმებს კლუბი ფეხბურთელის წასვლას. ფერნანდოს ვესაუბრე და გულდაწყვეტილია, რადგანაც მართლაც ცუდი სიტუაციაა.

***— თქვენც დაგწყდათ გული?***

— დიახ, ძალიან. „ლივერპულში“ მისი კარიერა წარმოუდგენლად კარგად დაიწყო და გულშემატკივარმაც შეიყვარა. სამწუხაროა, ყველაფერი ასე რომ დასრულდა. ტორესს „ატლეტიკოსთანაც“ მსგავსი სიტუაცია შეექმნა. მას სხვა არჩევანი აღარ დაუტოვეს და თქვა, რომ მიდიოდა. ასეთი გადაწყვეტილებების მიღება იოლი არასდროს არაა.

***— „ლივერპულს“ რომ ფული ჰქონოდა, თქვენ ყველანი იქ დარჩებოდით?***

— „ლივერპულში“ თამაში ერთი სიამოვნებაა, მაგრამ ფინანსები არ ჰყოფნის, რათა ტოპ-კლუბებს ებრძოლოს. არადა, ასეთი დიდი ისტორიის გუნდი იმის ღირსი ნამდვილადაა, რომ ეს ისტორია გარკვეულწილად გაიმეოროს.

# „ფეისბუქს“ კვლავ სასამართლოში უჩივიან


AFP

აშშ-ის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ტყუპ ძმებს უინკლვოსებს უფლება არა აქვთ, უარი თქვან შეთანხმებაზე, რომელიც, ინტერნეტ-საიტ „ფეისბუქის“ მფლობელთან უთანხმოების მოგვარებას მათთვის 65 მილიონი დოლარის გადაცემის სანაცვლოდ გულისხმობდა.

ეს გარიგება „ფეისბუქის“ მფლობელ მარკ ცუკერბერგსა და ტყუპ ძმებს შორის 2008 წელს დაიდო, მაგრამ მიმდინარე წლის იანვარში უინკლვოსებმა დავის განახლება გადაწყვიტეს. ისინი ამტკიცებენ, რომ 2003 წელს მათ ცუკერბერგს მათი ინტერნეტ-საიტის, „ქონექთიუსთვის“ პროგრამული კოდის დაწერა სთხოვეს, მან კი მათი იდეა მიითვისა.

„ფეისბუქის“ მფლობელი ამ ბრალდებებს უარყოფდა. სასამართლომ კი მორიგი განხილვის შედეგად მიიჩნია, რომ მომჩივნებს საქმის განახლების საფუძველი არ გააჩნიათ.

როგორც ფედერალური სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაშია ნათქვამი, უინკლვოსები პირველები არ არიან, რომლებიც კონკურენტს ჩამორჩნენ და შემდეგ სასამართლოს საშუალებით სცადეს მიეღწიათ იმისთვის, რისი მიღწევაც თავისუფალ ბაზარზე ვერ შეძლეს.

სასამართლოს გადწყვეტილებით, ეს დავა ოდესმე უნდა დასრულდეს და ეს მომენტი დადგა.

ძმები უინკლვოსები ამტკიცებენ, რომ ცუკერბერგმა, რომელიც მათთან ერთად სწავლობდა ჰარვარდის უნივერსიტეტში, მათი სოციალური ქსელისათვის დაწერილი კოდი გამოიყენა და მის საფუძველზე 2004 წელს თავისი „ფეისბუქი“ აამოქმედა.

2008 წელს კომპანია „ფეისბუქი“ საქმის სასამართლოს გარეშე მოგვარებას დათანხმდა, რაც მიზნად ამ დაპირისპირების დასრულებას ისახავდა, მაგრამ ცუკერბერგს სხვისი იდეის მითვისებაში დამნაშავედ არ ცნობდა.

ამ შეთანხმების თანახმად, უინკლვოსებმა 20 მილიონი ნაღდი ფული, გარდა ამისა, საერთო ღირებულებით 45 მილიონი დოლარის 36-დოლარიანი აქციების პაკეტი მიიღეს.

მოსამართლის თქმით, რალაც მიზეზის გამო მათ საქმის ხელახლა გადასინჯვა გადაწყვიტეს და სასამართლო ამის საფუძველს ვერ ხედავს.

ძმების ინტერესების დამცველი ადვოკატი ჯერომ ფალკი ამტკიცებს, რომ სასამართლოს ვერდიქტს არ ეთანხმება და უახლოესი ორი კვირის განმავლობაში ახალი განხილვის თხოვნის წარდგენას აპირებს.

„ფეისბუქის“ წინააღმდეგ დაწყებული დავა დრამატულად არის წარმოდგენილი ფილმში „სოციალური ქსელი“, რომელიც „ოსკარზე“ საუკეთესო ფილმის ნომინაციაზეა წარდგენილი.

თავად მარკ ცუკერბერგი, რომელსაც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერად მიიჩნევენ, ყოველთვის ამტკიცებდა, რომ „ფეისბუქი“ მისი ქმნილებაა. დღეს ეს სოციალური ქსელი 500 მილიონამდე მომხმარებელს ითვლის.

# ფუკუსიმას ატომური ელექტროსადგური ძალიან სახიფათოდ მიიჩნიეს

იაპონიის ხელისუფლებმა ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურში საფრთხის დონე ბირთვული მოვლენების საერთაშორისო სკალის მაქსიმალურ მნიშვნელობამდე, 7-მდე გაზარდეს.

გაეროს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს კლასიფიკაციით ეს დონე „მსხვილ ავარიას“ შეესაბამებოდა. დღემდე იგი მხოლოდ 1986 წელს ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარ კატასტროფას შეუფარდეს.

ეს გადაწყვეტილება 11 მარტს მომხდარი მიწისძვრისა და ცუნამის შედეგად მძიმედ დაზიანებულ სადგურში რადიაციის დონის გაზომვების შემდეგ მიიღეს. ამ მიწისძვრამ 28 ათასი ადამიანის დაღუპვა და უგზო-უკვლოდ დაკარგვა გამოიწვია.

იმავდროულად, იაპონიის აღმოსავლეთით, ოკეანეში კიდევ ერთი მიწისძვრა დაფიქსირდა, რომლის სიმძლავრემ 6.3 ბალი შეადგინა. ბოლო ერთი დღე-ღამის განმავლობაში ეს უკვე მეორე ძლიერი მიწისძვრაა. მანამდე იაპონიის ჩრდილო-აღმოსავლეთით 7.1-ბალიანი მიწისძვრა მოხდა, რის გამოც სადგურიდან ლიკვიდატორები გაიყვანეს.

ამერიკულმა ბანკმა „ჯიპი მორგანმა“, თავის მხრივ, შეაფასა იმ კომპენსაციის ოდენობა, რომლის გადახდაც ფუკუსიმას ოპერატორ კომპანია „ტეპკოს“ მოუწევს. თანხამ 2 ტრილიონი იენი (23.6 მილიარდი დოლარი) შეადგინა.

ატომურ ელექტროსადგურში საფრთხის დონის გაზრდის შესახებ განცხადება იაპონიის ბირთვული უსაფრთხოების კომისიის წარმომადგენლებმა გაავრცელეს.

მათი თქმით, ეს წინასწარი შეფასება გაეროს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ უნდა დაადასტუროს.

კომისიის წარმომადგენლების თქმით, რადიაციის ზრდა დაფიქსირებულია ჰაერში, ბოსტნეულში, ოკეანისა და მილსადენის წყალში.

ამასთან, იაპონიის ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, ფუკუსიმას სადგურიდან რადიაციის გაჟონვა ჯერჯერობით ჩერნობილის მასშტაბებს ვერ შეედრება და დაახლოებით მის 10%-ს შეადგენს.

საფრთხის დონის გაზრდის გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც ატომურ ელექტროსადგურში რამდენიმე საათის განმავლობაში საათში 10 ათასი ტერაბეკერელი რადიაცია დაფიქსირდა. არსებული ინფორმაციის თანახმად, გაურკვეველია, თუ როდის დაფიქსირდა ეს რადიაცია, თუმცა მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია რადიაციის საათში 1 ტერაბეკერელამდე შემცირების შესახებ. პარალელურად იაპონიის ხელისუფლებმა ატომური ელექტროსადგურის გარშემო ევაკუაციის ზონის გაფართოების შესახებ გამოაცხადეს. ევაკუაცია შეეხება ხუთ დასახლებულ პუნქტს, რომლებიც ამჟამინდელი 20-კმ-იანი გაუცხოების ზონის ფარგლებს გარეთ მდებარეობს. იაპონიის ბირთვული უსაფრთხოების კომისიის მონაცემებით, ზონა, სადაც რადიაციის დონე წლიურ ლიმიტს, 1 მილიზივერტს შეადგენს, ატომური ელექტროსადგურიდან ჩრდილო-დასავლეთით 60 კმ-ის მანძილზე, სამხრეთ-აღმოსავლეთით კი 40 კმ-ის მანძილზე ვრცელდება.

# მოსკოვში გაგარინის გაფრენის იუბილე აღნიშნეს



რუსეთში კოსმოსში ადამიანის პირველი გაფრენისადმი მიძღვნილი ღონისძიებები დაიწყო. 1961 წლის 12 აპრილს, დილის 9 საათზე, იური გაგარინმა წარმოთქვა თავისი „პოეხალი“ და კოსმოსურ ხომალდ „ვასტოკით“ ბაიკონურის კოსმოდრომიდან დედამიწის გარშემო ორბიტაზე გაემართა.

მისია 108 წუთი გრძელდებოდა და წარმატებით დასრულდა. მან გაგარინს მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი.

გაგარინის გაფრენის წყალობით სსრკ-მ 1961 წელს აშშ-ზე მნიშვნელოვანი პროპაგანდისტული გამარჯვება იზეიმა. აშშ იძულებული გახდა, კოსმოსურ შეჯიბრებაში ჩაბმულიყო და საბოლოოდ რუსეთს გაუსწრო კიდეც.

მოსკოვში საზეიმო ღონისძიებები კოსმოსის მკვლევართა მონუმენტის ყვავილებით შემკობით დაიწყო. გარდა ხელისუფლების წარმომადგენლებისა, ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვს უცხოეთის კოსმოსური სააგენტოების წარმომადგენლები, აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის პირველი კოსმონავტები ეწვივნენ.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 12 აპრილი ადამიანის კოსმოსში გაფრენის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა.

ვენაში, გაეროს საერთაშორისო ცენტრში, ორგანიზაციის ჟენევის განყოფილებასა და ნიუ იორკში, გაეროს შტაბბინაში გაიმართა გამოფენები, სადაც წარმოდგენილია კოსმოსური ხომალდების მაკეტები, გაგარინის ბიუსტები, აგრეთვე პირველი კოსმონავტის გაფრენისათვის მზადების ამსახველი ფოტომასალები.

ამ თარიღთან დაკავშირებით ფოტოგამოფენები გაიმართა აგრეთვე ევროპის კომისიის ოფისსა და ნატოს შტაბბინაში.

1960-იანი წლების დაძაბული ვითარებისაგან განსხვავებით, ამჟამად კოსმოსურ სივრცეს ერთობლივად რამდენიმე ქვეყანა იკვლევს. ამ თანამშრომლობის ძირითად შედეგს წარმოადგენს საერთაშორისო კოსმოსური სადგური, რომელმაც რუსული „მირი“ შეცვალა.

გაგარინის კოსმოსში გაფრენის იუბილეს წინ რუსეთში გამოქვეყნდა მანამდე გასაიდუმლოებული ინფორმაცია 1968 წლის 27 მარტს იური გაგარინის დაღუპვის შესახებ.

სახელმწიფო კომისიის წარმომადგენლების თქმით, თვითმფრინავი, რომელსაც იური გაგარინი და ვლადიმირ სერიოგინი ხელმძღვანელობდნენ, სავარაუდოდ, მეტეოროლოგიური ზონდისათვის გვერდის ავლის მანევრის დროს ჩამოვარდა. სახელმწიფო კომისიის დასკვნები ზოგადი სახით ჯერ კიდევ 1968 წელს გამოქვეყნდა, იური გაგარინის დაღუპვის შემდეგ.

ამ დასკვნების თანახმად, საწვრთნელი თვითმფრინავის მიგ-15-უტის ეკიპაჟმა ფრენის დროს ვითარების შეცვლის გამო მკვეთრი მანევრი შეასრულა, რის შედეგადაც თვითმფრინავი შტოპორში ჩავარდა.

კატასტროფის სხვა დეტალების შესახებ მაში არაფერი თქმულა, თუმცა, ავიაციის ზოგიერთი ექსპერტის ვარაუდით, გაგარინისა და სერიოგინის დაღუპვის გარემოებების განმარტება მეტად ბუნდოვანი იყო.

# მინსკის მეტროს აფეთქების ორგანიზატორის ვინაობა დადგენილია

ბელორუსიის ხელისუფლებმა მინსკის ცენტრში, მეტროს სადგურ „ოქტიაბრსკაიაში“ მომხდარი აფეთქება ოფიციალურად ტერაქტად შეაფასეს. აფეთქების შედეგად 12 ადამიანი დაიღუპა, 126 დაშავდა.

დაშავებულთაგან 20-ის მდგომარეობას ექიმები აფასებენ, როგორც მძიმეს.

ტრაგედიის გამოსაძიებლად შსს და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებისაგან საგამოძიებო ჯგუფი შეიქმნა. ამასთან, ბელორუსიის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებმა პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოსაგან „ყველაფრის ამობრუნების“ განკარგულება მიიღეს.

სახელმწიფოს მეთაურმა არ გამორიცხა, რომ ეს „საჩუქარი“ ბელორუსიაში „გარედან შემოიტანეს“, მაგრამ განაცხადა, რომ გამოძიება საჭირო. აფეთქება სადგურ „ოქტიაბრსკაიაში“ საღამოს პიკის საათში, 17.55-ზე მოხდა. „ოქტიაბრსკაია“ მინსკის მეტროს ერთადერთი სადგურია, სადაც ორი ხაზი ერთმანეთს კვეთს. ამ დროს სადგურში განსაკუთრებით მრავლად არიან ხოლმე მგზავრები, მათ შორის სტუდენტები და მოსწავლეები.

გამოძიების თანახმად, ასაფეთქებელი ნივთიერება სადგურში მატარებლის მეორე ვაგონში იყო. ამასთან, თვითმხილველების თქმით, აფეთქების მომენტში სადგურში ორი მატარებელი იყო.

ადგილიდან გავრცელებული ცნობების თანახმად, აფეთქების შედეგად აქეთ-იქით გაიფანტა ნაღმის ლითონის ფრაგმენტები, რაც დაჭრილთა და დახოცილთა დიდ რაოდენობას ხსნის. დაშავებულთა რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ აფეთქების შემდეგ სასწრაფო დახმარების მანქანებს ისინი მინსკის პრაქტიკულად ყველა საავადმყოფოსკენ მიჰყავდათ.

საავადმყოფოები გაზრდილი მზადყოფნის მდგომარეობაში გადაიყვანეს.

გამოძიებაში მონაწილეობის მისაღებად ბელორუსიას რუსეთის უფს-ის თანამშრომლები ეწვივნენ. ბელორუსიაში ჩავიდნენ აგრეთვე ბრიტანელი და ისრაელის სპეციალისტები.

გამოძიების თანახმად, სავარაუდოდ, უკვე დადგენილია აფეთქების აღმსრულებლის ვინაობა.

ასაფეთქებელი მოწყობილობის სიმძლავრემ 5-7 კგ ტროტილის ეკვივალენტი შეადგინა. ნაღმი მეტროს სადგურში სკამის ქვეშ იყო ჩადებული და, სავარაუდოდ, რადიოთი იმართებოდა.

ბელორუსიის პრეზიდენტმა ხალხისადმი სატელევიზიო მიმართვაში 2008 წლის ივლისი ახსენა, როდესაც დამოუკიდებლობის დღესასწაულის დღეს მომხდარმა აფეთქებამ 509 ადამიანი დააშავა.

მაშინ ეს დანაშაული ხულიგნობით ახსნეს, მაგრამ ვერ გახსნეს. ამჯერად ლუკაშენკომ განაცხადა, რომ ჯერ კიდევ მაშინ გასცა ქვეყნის „გაწმენდის“ და ვისაც ასაფეთქებელს უპოვიდნენ, მათთვის „ხელების დაჭრის“ განკარგულება.

ლაპარაკია ე.წ. შავ მთხრელებზე, ცალკეულ პირებზე ან პირთა ჯგუფზე, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროიდან შემორჩენილი იარაღითა და საჭურვლით ვაჭრობენ. ბელორუსიის ტერიტორიაზე ეს „სიმდიდრე“ საკმარისად შემორჩა. ალექსანდრ ლუკაშენკო ბელორუსიას 1994 წლიდან ხელმძღვანელობს. 2010 წლის დეკემბერში მან პრეზიდენტის არჩევნებში მორიგი გამარჯვების შესახებ გამოაცხადა. მიუხედავად ამისა, უცხოელი მიმომხილველების უმეტესობამ განაცხადა, რომ კენჭისყრა უსამართლო და გაუმჭვირვალე იყო.

გასული წლის დეკემბერში არჩევნების ოფიციალური შედეგებით უკმაყოფილო ოპოზიციის მიერ გამართული საპროტესტო აქციის მონაწილეები დააკავეს, ზოგიერთი მათგანი დღემდე გისოსებს მიღმა რჩება.

ამ მოვლენების შემდეგ აშშ-მ და ევროკავშირმა ლუკაშენკოსა და მისი გარემოცვის წევრების მიღება აკრძალა. ლუკაშენკომ მიტინგს დასავლეთის მიერ ფინანსირებული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა უწოდა.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# სამგლოვიარო განცხადებები



**ჩემი ძმის, ომარ სამხარაძის მონატრება**

მშვიდობით, ძმაო, შენი ამქვეყნიდან მარადიულ სასუფეველში გადასვლა ჩვენს წინაპართა სულებს დიდ შვებას მიანიჭებს, შენი კეთილშობილური თვისებების გამო.

2007 წლიდან ვცდილობდით, შენი სიცოცხლე როგორმე გაგვეხანგრძლივებინა, რისთვისაც ხუთი წელი მე და შენ საავადმყოფოებში გავატარეთ. მოურჩენელმა სენმა შენი თავი ხელიდან მაინც გამოგვაცალა. ალბათ, შეხვდი რამაზის და ნელის, მათ ხომ ძალიან უყვარდი.

შენ ჩვენს გულებში მუდამ იცოცხლებ. ნუგეშად ისღა დაგვრჩენია, რომ 2011 წლის 14 აპრილს, აღვნიშნოთ შენი სასუფეველში გადასვლის ორმოცი დღე, ქედი მოვიხაროთ შენს საფლავთან. ძალიან ძნელია უშენობა, ჩემო ძმაო, ჩვენს დედმამიშვილურ სიყვარულს ლოცვასა და შენს მოგონებაში გავატარებ.

ყველას ძალიან ენატრები, განსაკუთრებით შენს შვილებს. ვლოცულობთ შენთვის, ნათელში გამყოფოს უფალმა.

*კუკური*

შვილები თამრიკო და მაია გრიგორაშვილები, ძმები შოთა, გია ქისტაურები, რძალი მოცო ბილიხოძე, შვილიშვილი ლევან ლომიშვილი, ძმისშვილები ლევან და ნინო ქისტაურები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლედი ქისტაური**

პანაშვიდი: 13 აპრილს, 17 საათზე.
დაკრძალვა: 14 აპრილს, 14 საათზე.
მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი, V კვარტალი, IV კორპუსი, ბინა 228.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 13 აპრილი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** აუდიტორია **13.30** დამზადებულია საქართველოში **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" **17.00** ან. ფილმი "გოძილა" **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "ბარბი" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00** ჩემპიონთა ლიგა. საფეხბურთო გადაცემა **23.00 ჩემპიონთა ლიგა**. განმეორებითი მეოთხედფინალი. **00.40** მოამბე **01.00** მხ.ფ.**"რომელი პლანეტიდან ხარ?"** (**12**) (ა.ბენინგი) **02.55** ჩვენი ეზო **03.55** მხ. ფილმი **"რაინდის ამბავი"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **"ჰარვარდელი უსახლკარო"** **01.00** მხ. ფილმი **"გლორია"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმჯყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.20** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** კომედი შოუ **15.40** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **16.40** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** იღბლიანი ბორბალი **22.40 ჩემპიონთა ლიგა**. **00.40** პატრული **01.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **01.20** მხ. ფილმი **"კალენდრის გოგოები"** (**18**)

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ.**"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** სერ.**"ორნახევარი კაცი"** **15.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **16.20** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ.**"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.25** ტვ-მარკეტი **12.35** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ყოფილი ცოლების კლუბი **23.00** თბილისი ლაივი **23.30** ღამის შოუ **00.30 შეგირდი** **01.00** მხ. ფილმი **"კომანდო"** (**15**) (სუბტ.) **03.00** მხ. ფილმი **"განდგომილები"** (**15**) (ლ. დი კაპრიო) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.30, 19.30** სერ. **"წყნარი ოკეანის მარგალიტი"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"ლინდა და ბრიგადირი"** **22.00** სცენა **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.20** სალვთისმეტყველო საუბრები **11.00** მგზავრები წუთისოფლისა **11.25** დროის ჩანაწერები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"როგორ ვიცხოვროთ უშენოდ"** **13.35** კონცერტი – "ქართული მუსიკის საღამო" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი **"მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ"** **16.55** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.25** "განთიადის" არქივიდან **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ.ფ.**"ცისკრის ზარები"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** გზა, რომლითაც ვიარე **22.20** ქართული ალბომი **22.35** დოკ. ფ."წმინდა მიწაზე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15, 00.35** სუფთა დაფა **00.50** გადაცემა "კარაბადინი"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**13 აპრილი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6454

ევრო —2,3806

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6917

რუსული რუბლი — 0,0588

## ამინდის პროგნოზი 13 აპრილისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 6-13, ღამით — 1-3

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — §-11, ღამით — 1-4,

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 6-8, ღამით — -2-1







## წამალი „ფერდი“

წამალი „ფერდი” შეიცავს არა ერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. „ფერდი“ დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი,აგრეთვე კუჭ-ნაწლავის, ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირის ღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

**შემადგენლობა:**

- „ფერდი“-ს ფხვნილი (PULVER ,,PHERDI’’) – 1 კაფსულა – 0,3გ;
- „ფერდი”-ს ფხვნილი მზადდება წყავის (აუროცერასუს officinalis Roem.) ფოთლების საფუძველზე. ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები – გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა – 0,4 – 5%; მთრიმლავი ნივთიერებები – 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა – 1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;
- პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60


## ასტროპროგნოზი 13 აპრილისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!** ჰარმონიული დღეა.

**ვერძი** — ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — სამსახურში სიახლე დაგხვდებათ, შეიძლება დაგაწინაურონ კიდეც. **ლომი** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **ქალწული** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ღრიანკალი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **მშვილდოსანი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, დაისვენეთ. **თხის რქა** — თქვენი საქმე კარგად მიდის, არ მოდუნდეთ. **მერწყული** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იმოქმედეთ. **თევზები** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. პოპულარული მუსიკალური, საესტრადო ნაწარმოები; 2. ქალაქი ესტონეთში; 3. ავტოდრომი იტალიაში; 4. ქართველი სუმოისტი; 5. შავი ზღვისპირეთში მდებარე ისტორიული ქართული სამთავრო; 6. გერმანული ბულდოგი; 8. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 10. წმინდანად შერაცხული ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი; 11. ერეკლე მეორეს კარზე მოღვაწე სომეხი აშუღი; 14. ცხენოსანი მწყემსი აშშ-ში; 15. შოტლანდიის ეროვნული გმირი; 16. თეთრი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო.

**თარაზულად:** 1. ხელის კუნთების სავარჯიშო სატანვარჯიშო იარაღი; 4. ფარიკაობის ძველი ქართული სახელწოდება; 7. მდინარე რომში; 9. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 12. შტატი აშშ-ში; 13. ბატის რბილი, წმინდა ბუმბული; 14. სამხედრო ფორმის პიჯაკი; 17. მგალობელი ჩიტი; 18. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 19. ხეხილის ბაღი; 20. რეგიონი კახეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## ნიკო გომელაურის გარდაცვალებიდან ერთი წელი გავიდა



13 აპრილს ერთი წელი შესრულდა ცნობილი მსახიობისა და პოეტის ნიკო გომელაურის გარდაცვალებიდან. ამ დღესთან დაკავშირებით თბილისის კინოთეატრებში მისული მაყურებელი ნახავს ახალ ქართულ მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმს „ნიკო... აპლოდისმენტები“, რომელიც მთლიანად ნიკო გომელაურს, მის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება. მისი გარდაცვალების დღეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ნიკო გომელაურის ახლობლები, მეგობრები, ოჯახის წევრები და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები შეიკრიბებიან, საღამოს კი თბილისის კინოთეატრებში ახალი ფილმის პრემიერა გაიმართება.

ფილმის პროდიუსერები არიან ნათია მეფარიშვილი და დავით ბეჟიტაშვილი, სცენარის ავტორი — პაველ ფინი, რომელიც პირადად იცნობდა ნიკოს. ფილმის რეჟისორი და ოპერატორია გიორგი ბერიძე, კომპოზიტორი — გია ყანჩელი. ფილმში გამოყენებულია ნიკოს ცხოვრებისეული კადრები, კულისური და ბუნებრივი, სპექტაკლებიდან, ლექსების კითხვისას სცენაზე და სახლში, შემთხვევით გადაღებული, ყოფითი, სატელევიზიო სიუჟეტები, ფოტოები — ეს ყველაფერი ერთ ფილმშია გაერთიანებული. ფილმში ნიკო გომელაურის მეგობარი, მსახიობი ზურა ყიფშიძეც მონაწილეობს, რომელიც წიგნიდან „უბრალოდ ნათქვამი“ ნაწყვეტებს კითხულობს.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## იუმორი



***

— გაგიჟდი? ზღვაზე შავი კაბა რად გინდა?

— ჩემმა ქმარმა ცურვა არ იცის და მინდა, ყველაფრისთვის მზად ვიყო...

***

— უკვე მიდიხართ? გარეთ წვიმს, იქნებ ვახშმად დარჩენილიყავით?

— ვახშმად რა გაქვთ?

— მოხარშული მაკარონი.

— იცით, არც ისე ძალიან წვიმს...

***

ინგლისი, ბასკერვილების ციხე-კოშკი. სერ ჰენრი ვახშმობს. გარედან გულისგამგმირავი ღმუილი მოისმა.

— რა არის ეს, ბარიმორ?

— ბასკერვილების ძაღლია, სერ.

რამდენიმე წუთის შემდეგ გულისგამგმირავი ჩხავილი ისმის.

— ეს რაღაა, ბარიმორ?

— ბასკერვილების კატაა, სერ.

კიდევ რამდენიმე წუთი გავიდა.

— ბარიმორ, თუ შეამჩნიე, რომ ძარღვებში სისხლისგამყინავი სიჩუმე ჩამოწვა. რა არის ეს?

— ბასკერვილების თევზია, სერ!

***

ტელეფონის ოპერატორი:

— ... „დააჭირეთ თითი ვარსკვლავს“.

აბონენტი:

— ვარსკვლავი რომელია, ბანჯგვლიანი წერტილი?

## 17-წლამდელთა ნაკრები ყაზახეთისთვის ზუგდიდში მოემზადება



ვასილ მაისურაძის 17-წლამდელთა ნაკრები გუნდი, წინასაყაზახეთო საწვრთნელ შეკრებას ზუგდიდში, „ბაიას“ ბაზაზე გაივლის.

17-წლამდელები შეკრებაზე დღეს მიემგზავრებიან. გუნდის მთავარ მწვრთნელს თან 19 ფეხბურთელი მიჰყავს, რომელთა შორის, რამდენიმე ახალი სახეა. ვასილ მაისურაძის თქმით, ახლადგამოძახებულ ფეხბურთელებს ის სწორედ ამ შეკრებაზე დააკვირდება. ზუგდიდურ შეკრებაზე წამსვლელთა სია კი ასეთია:

გიორგი გელბახიანი, ალექსანდრე ადამია, გიორგი აბურჯანია, გიორგი პაპუნაშვილი, ლაშა დვალი, ალექსანდრე ჩაკვეტაძე, ცოტნე ქებურია, ილია კერძევაძე, ჭიაბერ ჭეჭელაშვილი, ოთარ კაკაბაძე, თორნიკე მაჭავარიანი, სანდრო გურეშიძე, ივანე წილოსანი, ნიკოლოზ ახვლედიანი, გიორგი თევზაძე, გიორგი როსტიაშვილი, ალექსანდრე მზევაშვილი, დავით მაკარაძე, მერაბ ნიკურაძე, ირაკლი ციცხვაია, უჩა მირგათია.

ყაზახეთში, „პრეზიდენტის თასზე“ საასპარეზოდ 17-წლამდელთა ნაკრები 23 აპრილს გაემგზავრება.

შეგახსენებთ, რომ ამ საერთაშორისო ტურნირში, საქართველოს გარდა, მონაწილეობას კიდევ შვიდი ქვეყნის — უკრაინის, თურქეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ირანის, უზბეკეთისა და ყაზახეთის ასაკობრივი ნაკრები მიიღებენ. შეჯიბრება 26 აპრილს დაიწყება.

**მ. ჟ.**

## თბილისის მოდის კვირეული იწყება



ეკა ირემაშვილი

**3 მაისს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ რიგით მეოთხე თბილისის მოდის კვირეული გაიხსნება, რომელიც, მისი ორგანიზატორების თქმით, პომპეზური, საინტერესო და მრავალმხრივი იქნება.**

**როგორც სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ ჟურნალისტებისთვის გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე გახდა ცნობილი, თბილისის მოდის კვირეული წელს 13 ცნობილ და 14 ახალბედა ქართველ დიზაინერს უმასპინ ლებს.**

— თბილისის მოდის კვირეული მოტივირებულია, გააცნოს ქართული მოდის სამყაროში მიმდინარე სიახლეები ფართო საზოგადოებასა და მოდის სფეროთი დაინტერესებულ ადამიანებს. წლევანდელი კვირეული მეტად მრავალმხრივი და დატვირთული იქნება. ჩვენ, ახალი კოლექციების ჩვენების პარალელურად, გავითვალისწინეთ ისიც, რომ კვირეული იყოს მრავალკომპონენტიანი, ამიტომ, ჩვენებების გარდა, მოეწყობა მასტერკლასები, შოურუმები და აქსესუარების გამოფენები, — განაცხადა პრესკონფერენციაზე სამოდელო სააგენტო „ჯეომოდელსისა“ და თბილისის მოდის კვირეულის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, მოდელმა თაკო ჩხეიძემ.

თბილისის მოდის კვირეული უკვე მეოთხედ იმართება. წელს მას სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასი“ უმასპინძლებს, რადგან თავად სასტუმროც იუბილარია — მისი დაარსებიდან 20 წელი გავიდა. კვირეულში მონაწილე დიზაინერები შემოდგომა-ზამთრის 2010-2011 წლის კოლექციებს წარმოადგენენ.

ქართველ მოდელებს ფრანგი მუსიკოსის ალექსანდრ მაქსველის მუსიკაზე მოუწევთ პოზირება და კოსტიუმების

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ტესტი

## შეგიძლიათ თუ არა სხვებზე ზეგავლენის მოხდენა?



**ტესტის შეკითხვებს დადებითი ან უარყოფითი პასუხი გაეცით:**

1. შეგიძლიათ თუ არა უთხრათ თქვენს უფროსს, რომ იგი მართალი არ არის?
2. გიყვართ თუ არა ბინაში ავეჯის გადაადგილება?
3. გაღიზიანებთ თუ არა სხვების წარმატებები იმ სფეროში, რომელშიც თქვენც ისურვებდით წარმატების მიღწევას?
4. თუ გსურთ, გარს მუდმივად მეგობრების ერთი და იგივე წრე გერტყათ?
5. შეგიძლიათ თუ არა, ადამიანს პირადი განცდები გაუზიაროთ?
6. შეგიძლიათ თუ არა მიზნის მისაღწევად რაიმე მსხვერპლის გაღება?
7. გაღიზიანებენ თუ არა ადამიანები, რომლებიც ექსტრავაგანტურად იქცევიან?
8. დასცინით თუ არა მას, ვისაც საკუთარ თავზე დიდი შეხედულება აქვს?

### პასუხები

**დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:**

**0-4 ქულა:** არ შეგიძლიათ სხვა ადამიანებზე ზემოქმედების მოხდენა, მიუხედავად იმისა, რომ უმეტეს შემთხვევაში მართალი ხართ.

**5-8 ქულა:** სხვა ადამიანების თქვენი ზეგავლენის ქვეშ მოქცევის ყველა თვისება გაგაჩნიათ, თავს შესანიშნავად გრძნობთ ამ ამპლუაში.

**გ.თ.**